ირინა ხაკამადა: ნორდ-ოსტში გაზი პირადად პუტინის ბრძანებით გაუშვეს A5

ჩვენისთანა კულტურული... A8

მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 15 იანვარი, 2004 წელი. №11 (560) | ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## კორუფციასთან ბრძოლისათვის განვითარებისა და რეფორმების ფონდი იქმნება

საქართველოში კორუფციასთან ბრძოლისათვის განვითარებისა და რეფორმების ფონდი შეიქმნება. ფონდის შექმნის იდეა იუსტიციის სამინისტროდან მოდის და შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტში სამშაბათს შევიდა, გუშინ კი პარლამენტართა განხილვის საგნად იქცა.

A2

### ეკონომიკა

## საქართველოს ეკონომიკის ახალი მინისტრი ჰყავს

საქართველოში მოვლენები კვლავ "რევოლუციურ ტემპებში" ვითარდება. გუშინ თანამდებობიდან გადადგა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი. გუშინვე საქართველოს პარლამენტმა ამ თანამდებობაზე ახალი კადრი - ირაკლი რეხვიაშვილი დაამტკიცა.

A2

### უცხოეთი

## ირანის მთავრობა გადადგომით იმუქრება

გუშინ ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ განაცხადა, რომ მთელი ადმინისტრაცია გადადგება, თუ ქვეყნის უმაღლესი მმართველი ორგანო - გუშაგთა საბჭო რეფორმატორ პოლიტიკოსებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის ნებას არ დართავს.

A5

### საზოგადოება

## გია ბარამიძე ტრადიციას არ ღალატობს

*დიღმის ბავშვთა სახლში გია ბარამიძე, როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ყოველთვის ტრადიციული სტუმარი იყო. ამ ტრადიციას იგი არც მას შემდეგ ღალატობს, რაც შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა.*

A6

### სამართალი

## გახდება თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო აჭარელთათვის სამართლიანობის აღდგენის გარანტი

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით, აბაშიძემ კიდევ ერთხელ მოახდინა საკუთარი ძალის დემონსტრირება. ყოველივე ამის გამო ათობით აჭარელი უკვე ციხეშია გამოკეტილი და არ არის გამორიცხული, რომ მათი რაოდენობა ცოტა ხანში კიდევ უფრო გაიზარდოს. ცენტრალური ხელისუფლება კი ამ ხნის განმავლობაში დუმილს ამჯობინებს.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | ღრუბლიანი |
| ქუთაისი | 10 | წვიმა |
| ბათუმი | 12 | წვიმა |
| სოხუმი | 7 | წვიმა |
| ფოთი | 9 | წვიმა |
| თელავი | 8 | ღრუბლიანი |
| ზუგდიდი | 9 | წვიმა |
| გორი | 6 | წვიმა |
| ახმეტა | 8 | ღრუბლიანი |
| ჭიათურა | 7 | წვიმა |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.7105 |
| გირვანქა სტერლ. | 3.9348 |
| რუბლი | 0.0741 |

# საქართველოს თავზე ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებს



*ახალი დროშა პარლამენტმა თითქმის ერთხმად მიიღო.*

*სამფეროვანი დროშა ისტორიას ჩაბარდა – ამიერიდან ჩვენი ქვეყნის სიმბოლო ის ხუთჯვრიანი დროშა იქნება, რომელიც ამ ბოლო დროს მრავალი კამათისა და დაპირისპირების თემას წარმოადგენდა და რომელიც, ვარდებთან ერთად, ხავერდოვანი რევოლუციის სიმბოლოდ იქცა. ერთი სიტყვით, 25 იანვარს, საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, კანონით გათვალისწინებულ ყველა ადგილზე მისი პარტიის ანუ "ნაციონალური მოძრაობის" ხუთჯვრიანი დროშა იფრიალებს. "ეს საქართველოს გამარჯვების სიმბოლო იქნება," – აცხადებენ "ნაციონალები", რომლებიც პარლამენტის გუშინდელი გადაწყვეტილების შემდეგ კმაყოფილებას არც კი მალავდნენ.*

თამარ მჭედლიშვილი

ის, რაც გუშინ პარლამენტის სხდომათა დარბაზში ხდებოდა, სულაც არ ჰგავდა ჩვეულებრივ, სკანდალურ სხდომებს, რომლითაც ჩვენი დეპუტატები ასე ხშირად გვანებივრებდნენ ხოლმე. საკითხის განხილვის დაწყებისთანავე, პარლამენტის აპარატის თანამშრომლებისათვის განკუთვნილი აივანი "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებით შეივსო, რომლებმაც სულ მალე ხუთჯვრიანი დროშები ააფრიალეს და აპლოდისმენტებით ეგებებოდნენ ყველა იმ გამომსვლელს, რომელიც ამ დროშის ქვეყნის სიმბოლოდ გამოცხადების მომხრე იყო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მემარჯვენე ორიენტაციის პარტიები თათბირობენ

*"ახალი მემარჯვენეები", "ეროვნულ-დემოკრატები" და "ტრადიციონალისტები" ერთიანი პოლიტიკური მემარჯვენე გაერთიანების შექმნის თაობაზე ბჭობენ. მართალია, კონსულტაციები ამის თაობაზე ჯერ კიდევ ახალი წლის დადგომამდე მიმდინარეობდა, მაგრამ, ჯერჯერობით, მოლაპარაკებები მხოლოდ საწყის ეტაპზეა და ჯერ კიდევ უცნობია, რა სახის გაერთიანებასთან გვექნება საქმე - მხოლოდ საარჩევნო ბლოკთან, რომელიც 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიშლება, თუ ერთიან მემარჯვენე პოლიტიკურ გაერთიანებასთან, რომელიც უახლოეს ხანეში პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდება.*

თამარ ასათიანი

როგორც ჩანს, გრძელვადიან პერსპექტივებთან ერთად, სამივე პარტია 28 მარტის არჩევნებისთვის ერთიანი პარტიული ბლოკის სახით გამოსვლისათვის ემზადება. ყოველ შემთხვევაში, ამას აცხადებს "ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარის მოადგილე გუბაზ სანიკიძე. თუმცა, იქვე იმასაც დასძენს, რომ ერთიანი საარჩევნო სიის შედგენის საკითხი ამ ეტაპზე ჯერ არ განიხილება.

მართალია, გუბაზ სანიკიძემ არ დააზუსტა, ოფიციალურად როდის გაფორმდება ახალი ბლოკი, თუმცა

გაგრძელება A2 გვერდზე

# რა აღაფრთოვანებთ ამერიკელებს

## ინტერვიუ აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან ლინ პასკოსთან

ეკა კვესიტაძე

**- რა შეიცვალა საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობაში რევოლუციისა და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ამ ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყო?**

- როგორც ვაშინგტონში შეხვედრის დროს გითხარით, ჩვენი მთავარი მიზანია, საქართველოს მოსახლეობას ჰყავდეს მთავრობა, რომელსაც ის იმსახურებს, რომელიც მას ქვეყნის პროგრესს დაანახვებს და აყვავებული საზოგადოების შექმნას შეუწყობს ხელს. ის პროცესები, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში განვითარდა, აშკარად მიანიშნებდა იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობას ცვლილებები სჭირდებოდა და უნდოდა, რომ ქვეყნის განვითარების გზა სხვა მიმართულებით წაეყვანა.

გაგრძელება B1 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

## სტუდენტი, რომელსაც რთული გამოცდა ელის

### სამი გზავნილი ევროპისკენ სავალ გზაზე შემდგარ საქართველოს

ვერიკო თევზაძე

*რეფორმები სახელისუფლებო სტრუქტურებში, ქვეყნის შინაგანი ერთიანობა და ევროპულ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად აქტიური მუშაობა – ძირითადად, ამ სამ გზავნილს ანუ რეკომენდაციას სთავაზობს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაცია "გარდამავალი დემოკრატიების პროექტის" პრეზიდენტი ბრიუს ჯექსონი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ევროპაში ინტეგრაციისთვის აუცილებელი პროცესების მომზადებაში ეხმარება.*

ბატონი ჯექსონი ბოლო პერიოდში რეგულარულად სტუმრობს საქართველოს. ამჟამინდელი 5-დღიანი ვიზიტისას განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა საქართველოში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარება, ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები და, რასაკვირველია, საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების პოტენციალი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## კრწანისის რეზიდენციის სიახლოვეს სამალავი აღმოაჩინეს

სოფიკო ჩხაიძე

*ქართველი სამართალდამცველების მიერ არაერთხელ გახმაურებული ოპერატიული მონაცემები დესტრუქციული ძალების მხრიდან ახალარჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის მზადების შესახებ ფაქტობრივი მტკიცებულებითაც გამყარდა. შინაგანი ჯარის ჯარისკაცებმა კრწანისის რეზიდენციის, კერძოდ, იმ სახლის სიახლოვეს, სადაც, ოჯახთან ერთად, დროებით ცხოვრობს მიხეილ სააკაშვილი, ხეზე მოწყობილი საეჭვო სამალავი აღმოაჩინეს.*

გაგრძელება A7 გვერდზე

## ქართველების ულევი ოპტიმიზმი

შოთა უტიაშვილი

**"2004 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში მთავარი ცხელი წერტილი საქართველო იქნება, სადაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთად კიდევ ერთი რეგიონი – აჭარა შეეცდება დამოუკიდებლობის მოპოვებას. ახალმა ცენტრალურმა მთავრობამ შეიძლება თავისი ძალაუფლების აღსადგენად ძალის გამოყენება სცადოს, რაც ქვეყანას სამოქალაქო ომამდე მიიყვანს. ამ ომში მოსკოვი და ვაშინგტონი სხვადასხვა მხარეებს დაუჭერენ მხარს, რა თქმა უნდა, ფარულად. ერთი რამ უკვე შეიძლება ითქვას: საქართველოს დეზინტეგრაცია გაგრძელდება. ეს კი ხელს შეუშლის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას, რომელიც 2005 წელს უნდა დასრულებულიყო,"** – ასეთ, საქართველოსათვის პესიმისტურ პროგნოზს აკეთებს ცნობილი ანალიტიკური ცენტრი "სტრატფორი".

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 რეკლამა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პრობლემა

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## მემარჯვენე ორიენტაციის პარტიები თათბირობენ

პირველი გვერდიდან

მან ერთი, საკმაოდ საინტერესო მინიშნება გააკეთა - როგორც გაირკვა, მემარჯვენეთა გაერთიანებაში მეოთხე სუბიექტად "მრეწველები" აღარ მოიაზრებიან.

გუშინ ჩვენ უშედეგოდ ვცდილობდით თავად "მრეწველებთან" დაკავშირებას, მაგრამ მაინც გავარკვიეთ, თუ რა იყო "მრეწველთა" უარის მიზეზი. როგორც აღმოჩნდა, ოფიციალურ განცხადებას საკუთარი პოლიტიკური მომავლისა და გეგმების თაობაზე პარტიის ლიდერები 25 იანვრის, ანუ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის შემდეგ გააკეთებენ.

ასე რომ, კონსულტაციებს დღეისათვის, როგორც უკვე ვთქვით, სამი პოლიტიკური პარტია აწარმოებს.

როგორც "24 საათს" "ეროვნულ-დემოკრატიული" პარტიის ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ გაუცხადა, ეს შეხვედრები, ჯერჯერობით, არაოფიციალურ ხასიათს ატარებს. მისი თქმით, **"აუცილებელია მემარჯვენე ალტერნატივის შექმნა და ეს გადაულახავი პრობლემა არ არის".** თუმცა, ქარდავა იმასაც ამბობს, რომ გარკვეულ დეტალებზე შეთანხმება არ ყოფილა. **"ჩვენ მხოლოდ ნიადაგი მოვსინჯეთ და შედეგი აშკარად იმედისმომცემია. უფრო სერიოზული მოლაპარაკებები მალე დაიწყება",** – ასეთია ქარდავას კომენტარი.

სხვათა შორის, ეროვნულ-დემოკრატების აზრით, მოლაპარაკებები თითქმის ყველა საკითხს უნდა შეეხოს და უკვე დღეს ამ ალტერნატივას მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები უნდა ჰქონდეს - დაწყებული საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობით, ჩრდილოვანი მინისტრთა კაბინეტის შექმნით დამთავრებული. საბოლოო "სამიზნე" კი რამდენიმე წელიწადში ხელისუფლებაში მოსვლა უნდა იყოს.

რაც შეეხება "ახალ მემარჯვენეებს", მოლაპარაკებების ფაქტს პარტიის გენერალური მდივანი დავით საგანელიძეც არ უარყოფს, თუმცა აცხადებს, რომ მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებისთვის გაერთიანებას აზრი არ აქვს, რადგან პარტიული ბლოკი, როგორც წესი, იშლება. **"ბლოკის სუბიექტებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ – პარლამენტში შესვლა. ჩვენ ვამბობთ - თუკი გვსურს ქვეყანაში მემარჯვენეობის განვითარება, აუცილებელია ამ ორიენტაციის პარტიათა გაერთიანება, სერთო პლატფორმა, შესაძლოა ერთიანი პოლიტიკური სუბიექტის შექმნაც კი, რომელსაც მთავარი კომიტეტი ან პოლიტიკური საბჭო უხელმძღვანელებს. იდეალური ვარიანტი იქნება, თუკი ჩვენ მოლაპარაკებების დასრულებას და პოზიციების შეჯერებას ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე მოვახერხებთ. თუმცა, არც ის იქნება ურიგო, თუკი ამ დროისთვის სიტყვიერ შეთანხმებას მაინც მივაღწევთ",** – განუცხადა დავით საგანელიძემ "24 საათს".

## შესაძლებელია, მირცხულავას ბრალი პარასკევს წარუდგინონ

"საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის დავით მირცხულავას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება გამოძიებას ხელს არ აძლევს. გამომძიებლები მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას ელოდებიან და ცდილობენ, რაც შეიძლება გაწელონ ექსპერტიზის დასკვნის მიღება," – ამბობს მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია.

ადვოკატის ინფორმაციით, მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერ კიდევ მძიმეა. მას დღეს კორონოგრაფიულ გამოკვლევას ჩაუტარებენ. სწორედ ამ გამოკვლევაზე იქნება დამოკიდებული ექსპერტების პასუხი.

თავის მხრივ, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში აცხადებენ, რომ ექსპერტიზის ჩატარების გადადება მირცხულავას დაცვის მხარეს აწყობდა.

"როგორც მოგეხსენებათ, მირცხულავა კარდიოლოგიური ცენტრიდან №9 საავადმყოფოში იმიტომ გადაიყვანეს, რომ მისთვის სასწრაფოდ უნდა ჩაეტარებინათ კორონოგრაფიული გამოკვლევა, რაც დღემდე არ გაუკეთებიათ. არადა, ვიდრე ეჭვმიტანილს კორონოგრაფიულ გამოკვლევას არ ჩაუტარებენ, მანამდე ექსპერტიზის დასკვნა ვერ გაიცემა. აქედან გამომდინარე, გასაგებია, ვის სურს ექსპერტიზის გაჭიანურება. ჩვენ, თავად მივიღეთ ზომები, რომ მირცხულავას კორონოგრაფიული გამოკვლევა დღეს ჩაუტარდეს და პარასკევს ექსპერტიზაც დავნიშნავთ, სადაც დაცვის შუამდგომლობით ჩართული სამი მათი ექსპერტიც მიიღებს მონაწილეობას. ჩვენი ვარაუდით, ექსპერტიზის პასუხი იმავე დღეს იქნება და დამტკიცდება, რომ მირცხულავას საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია. თუ მართლაც ასეთ პასუხს მივიღებთ, ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს ბრალი პარასკევსვე წარედგინება და აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით სასამართლოსაც იმავე დღესვე მივმართავთ," - აღნიშნა ჩვენთან საუბარში გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ პაატა ჯაველიძემ.

შეგახსენებთ, დავით მირცხულავა სომხეთის ენერგოფირმებთან ანგარიშსწორებისას 6 მლნ აშშ დოლარის გაფლანგვაში ეჭვმიტანილად ჯერ კიდევ გასული წლის 24 დეკემბერს ცნეს, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო იგი კარდიოლოგიურ კლინიკაში გადაიყვანეს და მას ბრალი დღემდე ვერ წარუდგინეს. კანონმდებლობიდან გამომდინარე, შესაძლოა, მირცხულავას ეჭვმიტანილის სტატუსი 24 იანვრამდე ჰქონდეს.

*24 საათი*

## ხავიერ სოლანა თბილისშია

გუშინ, თბილისში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანა ჩამოვიდა. ევროკავშირის წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში ირანიდან ჩამოვიდა, თბილისის აეროპორტში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე და სხვა ოფიციალური პირები დახვდნენ. სოლანას განცხადებით, მისი ვიზიტის მთავარ მიზანს საქართველოში შექმნილი ვითარების უკეთ გაცნობა წარმოადგენს. მისი აზრით, საქართველოს ამჟამად ყველა პერსპექტივა აქვს იმისთვის, რომ ის ახლო მომავალში ევროსტრუქტურების სრულუფლებიანი წევრი გახდეს. ხავიერ სოლანა ოფიციალურ შეხვედრებს საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებთან დღეს გამართავს. **ინტერ-პრესი**

## სოხუმის ხელისუფლება თამაზ ნადარეიშვილის გადადგომასთან დაკავშირებით სინანულს გამოთქვამს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება თბილისში მოქმედი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის თანამდებობიდან გადადგომის გამო სინანულს გამოთქვამს და აცხადებს, რომ სოხუმი ე.წ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოებას "პიროვნებების ცვლის" შემთხვევაშიც არ აპირებს. სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, იგი ნადარეიშვილის გადადგომის გამო "ძალზე წუხს", ვინაიდან ნადარეიშვილი თავისი საჯარო გამოსვლებით "აფხაზური მხარის წისქვილზე ასხამდა წყალს" და თვალსაჩინოდ წარმოადგენდა, "თუ როგორი ოპონენტები ჰყავდა აფხაზურ მხარეს." მისივე თქმით, სოხუმის ხელისუფლება აფხაზეთში 1992 წლის აგვისტოში საომარ მოქმედებათა დაწყებაზე პასუხისმგებლობას, ნადარეიშვილთან ერთად, უმაღლესი საბჭოს მთელ ქართულ დეპუტაციას აკისრებს. შამბას განმარტებით, აფხაზეთში კვლავაც კარგად ახსოვთ, რომ სწორედ საქართველოს ხელისუფლებისადმი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მთელი ქართული დეპუტაციის მიმართვის საფუძველზე, 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში ქართული საჯარისო ფორმირებები იქნა შეყვანილი, რის შემდეგაც აფხაზეთში ომი დაიწყო. შამბას განცხადებით, იმის გამო, რომ თბილისსა და სოხუმს შორის მოლაპარაკებათა ფორმატი არ ითვალისწინებს თბილისში მოქმედ ე.წ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების წარმოებას, აფხაზური მხარე, ნადარეიშვილის გადადგომის მიუხედავად, "ავტონომისტებთან" დიალოგის წარმართვას არ გეგმავს. **ინტერ-პრესი**

## ირაკლი ოქრუაშვილი გენერალური პროკურორი გახდა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ირაკლი ოქრუაშვილი პარლამენტმა გენპროკურორად დაამტკიცა.*

გუშინ პარლამენტმა, 151 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს გენერალური პროკურორის პოსტზე "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, შიდა ქართლში აწ უკვე პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ირაკლი ოქრუაშვილი დაამტკიცა. მისი კანდიდატურის განხილვას დარბაზში არანაირი ვნებათაღელვა და დაპირისპირება არ გამოუწვევია, თავად ოქრუაშვილიც საკმაოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა და განაცხადა, რომ იგი ბოლომდე იქნება კანონისა და ადამიანის უფლებათა დამცველი და კორუფციასთან მებრძოლი. გუშინვე ირაკლი ოქრუაშვილმა პროკურატურის რეფორმის აუცილებლობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ მხრივ, საკმაოდ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. რაც შეეხება სახელმწიფო მინისტრს. ზურაბ ჟვანია ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ იგი ამ საკადრო ცვლილებით კმაყოფილია.

**"დარწმუნებული ვარ, რომ შს მინისტრთან გიორგი ბარამიძესთან ერთად, ოქრუაშვილი შეძლებს, ქვეყანაში სიტუაცია რეალურად შეცვალოს,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

*24 საათი*

## კორუფციასთან ბრძოლისათვის განვითარებისა და რეფორმების ფონდი იქმნება

*საქართველოში კორუფციასთან ბრძოლისათვის განვითარებისა და რეფორმების ფონდი შეიქმნება. ფონდის შექმნის იდეა იუსტიციის სამინისტროდან მოდის და შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტში სამშაბათს შევიდა, გუშინ კი პარლამენტართა განხილვის საგნად იქცა.*

ფონდში უნდა მოხდეს საჯარო სამსახურის რეფორმირებისთვის აუცილებელი სახსრების აკუმულირება. სავარაუდოა, რომ მასში თავს მოიყრის ძირითადად გრანტის სახით მიღებული სახსრები, თუმცა არ არის გამორიცხული გარკვეული შემოწირულობების მიღება სხვადასხვა წყაროებიდან.

როგორც იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა გუშინ პარლამენტში გამართულ განხილვაზე განაცხადა, **"აღნიშნული ფონდის შექმნის შემდეგ საჯარო მოხელეებს შესაძლებლობა ექნებათ, ადეკვატური ანაზღაურება მიიღონ".**

როგორც მან აღნიშნა, ფონდის ძირითადი შემოსავალი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან გაწეული დახმარებები იქნება. **"ფონდი დააფინანსებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მომზადებას, საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციასა და გადამზადებას"** - განაცხადა ადეიშვილმა.

სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ რეფორმების ფონდის შექმნას უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციონალური გადაწყვეტილება უწოდა. როგორც ჟვანიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა, უცხოელი დონორების მხარდაჭერის შედეგად ქვეყანას შესაძლებლობა ექნება, კორუფციის წინააღმდეგ იბრძოლოს.

**"ჩვენ ხშირად გვეკითხებიან, როგორ ვაპირებთ კორუფციის დამარცხებას. ეს იქნება პირველი ინსტიტუციონალური, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც დაგვეხმარება ამ საქმეში,"** - განაცხადა ჟვანიამ.

*24 საათი*

## საქართველოს ეკონომიკის ახალი მინისტრი ჰყავს

თამარ ივანიძე

*საქართველოში მოვლენები კვლავ "რევოლუციურ ტემპებში" ვითარდება.*
*გუშინ თანამდებობიდან გადადგა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი. გუშინვე საქართველოს პარლამენტმა ამ თანამდებობაზე ახალი კადრი - ირაკლი რეხვიაშვილი დაამტკიცა.*

ირაკლი რეხვიაშვილი მართლაც პირველი ახალი კადრია. ეკონომიკურ დარგში დღემდე საკადრო ცვლილებები, ძირითადად, ფინანსთა სამინისტროს შეეხო და აქ კარგად ნაცნობი კადრების დანიშვნით ან კვლავ მობრუნებით აღინიშნა.

ფინანსთა სამინისტროს შემდეგ ეკონომიკის სამინისტრო პირველია, რომელსაც ახალი ხელმძღვანელი ჰყავს და თან ეს ხელმძღვანელი არც პარტიული აქტივისტების წარმომადგენელია (რომლებიც საკმაოდ მომრავლდნენ დღეს სახელისუფლებო უწყებების ქვედა ფენებში) და არც ძველი, "გამოცდილი" კადრი.

"პრეზენტაცია" საქართველოს პარლამენტში ახალ კადრს ზურაბ ჟვანიამ გაუკეთა.

მისი განცხადებით, ახალი მინისტრის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება აუცილებელი იყო იმისათვის, რომ სავალუტო ფონდის მისიას, რომელიც ორ კვირაში საქართველოში უნდა ჩამოვიდეს, მთავრობის ეკონომიკური გუნდი მომზადებული დახვდეს.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, რეხვიაშვილი, თავისი ასაკის მიუხედავად (ახალი მინისტრი 28 წლისაა), გამოცდილი სპეციალისტი არის. იგი პრინსტონის უნივერსიტეტის ერთ-ერთი წარჩინებული კურსდამთავრებულია და პრაქტიკა გავლილი აქვს ცენტრალური ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ზურაბ ჟვანიას ინფორმაციით, რეხვიაშვილს სერიოზული რეპუტაცია აქვს იმ წრეებში, სადაც ის დღემდე საქმიანობდა. ამის გარდა, შეუბღალავი რეპუტაცია აქვს ქვეყნის შიგნით, რადგან მას საქართველოში არც ერთ ფინანსურ დაჯგუფებასთან კავშირი არასდროს ჰქონია.

საინტერესოა, რომ ეკონომიკის ახალ მინისტრს სერიოზული დასავლური სკოლა აქვს გავლილი - 1998 წელს მან დაამთავრა პრინსტონის უნივერსიტეტის ვუდროუ ვილსონის სახელობის საერთაშორისო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სასწავლებელი; 1996 წელს - თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი, 1993-94 წლებში გაიარა სტაჟირების კურსი მაკროეკონომიკაში ნიუ-იორკის უნივერსიტეტის "ჰანტერ" კოლეჯში. იმავე წლებში იყო გაერო-ში საქართველოს წარმომადგენლობის ასპირანტი, ნიუ-იორკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. ბოლო პერიოდში - 2002-2004 წლებში იყო ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო სამსახურის რეფორმების ინსტიტუტის პროგრამების მენეჯერი (ბუდაპეშტი, უნგრეთი).

ეკონომიკის მინისტრის კანდიდატურის განხილვა გუშინ საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში, შემდეგ - ბიუროზე, შემდეგ კი - სხდომაზე დაჩქარებულ ტემპებში წარიმართა და გუშინვე პარლამენტმა კანდიდატურა დაამტკიცა.

## 2003 წლის ბიუჯეტი 15,6 პროცენტით გაირღვა

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედეგები შეაჯამა, რომლის მონაცემებით, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სპეცსახსრების გარეშე 84,4 პროცენტით შესრულდა. როგორც საბიუჯეტო ოფისის დასკვნაშია აღნიშნული, 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში შემოვიდა 947,86 მილიონი ლარი, რაც წლიური გეგმის 84,4 პროცენტს შეადგენს. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ბიუჯეტში მიღებულია 104,05 მილიონი ლარით მეტი. საკუთარი შემოსავლების მიხედვით, ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 78,21 მილიონი ლარი. ოფისში მიაჩნიათ, რომ 2003 წლის სახელმწიფო ბიჯეტის 12 თვის წინასწარი მაჩვენებლებიდან იკვეთება, რომ ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკის დაბალი ეფექტიანობის შედეგად ვერ მოხერხდა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების სრული მოცულობით შესრულება, რაც ისედაც არსებულ საბიუჯეტო დავალიანებებს კიდევ უფრო გაზრდის. **ინტერ-პრესი**

## თელასი ურჩ გადამხდელებს დროს აძლევს

სს „თელასის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ელექტროენერგიის საფასურის დავალიანების მქონე 500-მდე საბიუჯეტო ორგანიზაციას ელექტროენერგიის მიწოდება არ შეუწყდება. „თელასმა" ამ ორგანიზაციებს დაახლოებით 4 მილიონი ლარის დავალიანების გადახდა თვის ბოლომდე გადაუვადა. შეგახსენებთ, რომ „თელასი" დავალიანების მქონე ორგანიზაციებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში გეგმავდა, ხოლო ზოგიერთ მათგანს დენის მიწოდება გასულ კვირას შეუწყვიტა. აღსანიშნავია, რომ გასათიშ ორგანიზაციათა ნუსხაში შედის: თბილისის მეტროპოლიტენი, თბილწყალკანალი და თბილქალაქგანათება. „თელასი" მათგან მიმდინარე (1-3 თვე) დავალიანების დაფარვას ითხოვს.

## ხუთჯვრიანი დროშისთვის აჭარის მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის ბრძოლა გრძელდება

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში აჭარის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების 300-მდე თანამშრომელი სოფელში იმ ოჯახებს არბევდა, რომლებმაც გუშინ, საკუთარი საცხოვრებელი სახლის სახურავებზე, "ნაციონალების" ხუთჯვრიანი დროშები აღმართეს.

"სახალხო მოძრაობა - ჩვენი აჭარის" კოორდინატორის ჯონი მიქელაძის ინფორმაციით, სადამსჯელო ოპერაციას გონიოში პირადად აჭარის უშიშროების მინისტრი სერგო გოგიტიძე და შს მინისტრის მოადგილეები ხელმძღვანელობენ. ჯონი მიქელაძის თქმით, აჭარის სამართალდამცავები დაუნდობლად უსწორდებიან იმ მოქალაქეებს, რომლებთანაც მათ მიერ ჩატარებულმა ახსნა-განმარტებითმა სამუშაოებმა ხუთჯვრიანი დროშების ჩამოხსნასთან დაკავშირებით შედეგი არ გამოიღო. 13 იანვარს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოს მცხოვრებლები სოფლის გამგეობის შენობის თავზე ხუთჯვრიანი დროშის აღმართვას შეეცადნენ, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური ჩარევის შემდეგ დროშა სახელმწიფო დაწესებულების სახურავიდან ჩამოხსნეს. გასულ კვირასვე გონიოს მცხოვრებლებმა ზღვის დონიდან 650 მეტრზე მდებარე "მთა შიშველაზე" 30-მეტრიანი ხუთჯვრიანი დროშა აღმართეს.

ჯონი მიქელაძის მტკიცებით, დღევანდელი დაპირისპირება გონიოს მოსახლეობასა და აჭარის სამართალდამცავებს შორის სწორედ მას შემდეგ გამწვავდა, რაც "მთა შიშველაზე" აღმართული დროშის ჩამოხსნის შემდეგ მოსახლეობამ ხუთჯვრიანი დროშები საკუთარ სახლებზე აღმართა. **ინტერ-პრესი**

## ნუგზარ გაბრიჩიძემ უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა



ზაურ გულაშვილის ფოტო

*ყოფილმა გენპროკურორმა უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა.*

საქართველოს პარლამენტმა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ირაკლი ოქრუაშვილის დამტკიცებამდე სულ ცოტა ხნით ადრე დააკმაყოფილა ყოფილი გენპროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძის თხოვნა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ამავე დროს გამართლდა მიხეილ სააკაშვილის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ გაბრიჩიძე სასამართლო ხელისუფლებაში გადასვლას გეგმავდა, მეტიც, გაბრიჩიძის კანდიდატურა უზენაესი სასამართლოს წევრობაზე სწორედ ახალარჩეულმა პრეზიდენტმა წარადგინა და არც საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს გაუწევია მისთვის წინააღმდეგობა. ნუგზარ გაბრიჩიძე უზენაეს სასამართლოში მოსამართლე ჯემალ ლეონიძეს ჩაენაცვლა, რომელიც, თავის მხრივ, ამ ცოტა ხნის წინათ მცხეთის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარედ გადაიყვანეს. სავარაუდოდ, ყოფილი გენერალური პროკურორი იმ თანამდებობასაც დაიკავებს, რომელიც ჯემალ ლეონიძემ დატოვა, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარისას.

## ასლან აბაშიძეს ძველი კადრების იმედი აქვს

აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე 28 მარტისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ რაიონის გამგეობებსა და პოლიციის განყოფილებებში ძველ, ერთგულ და გამოცდილ კადრებს ნიშნავს. მისი განკარგულებით, ხულოს რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლებული ავთანდილ რიშვაძის ნაცვლად, 1994-1999 წლებში რაიონის გამგებელი შოთა აბაშიძე დაინიშნა. მისივე განკარგულებით, თანამდებობიდან გათავისუფლებული, ხელვაჩაურის რაიონის გამგებლის ვახტანგ აბაშიძის ნაცვლად, ასევე გამგებლად ნამუშევარი ანზორ დევაძე დაინიშნა. გამგებლის საკადრო ცვლილება განხორციელდა ქედის რაიონშიც, სადაც გამგებლად მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენი, აბაშიძის ნათესავი ელდარ დევაძე დაინიშნა. სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი დამფუძნებლის თამაზ დიასამიძის განცხადებით, განხორციელებული საკადრო ცვლილებები იმაზე მიუთითებს, რომ ასლან აბაშიძე "ყველაზე ერთგულ კადრებს აწინაურებს". მისივე თქმით, ახლადდანიშნულმა პიროვნებებმა 90-იან წლებში დიდი წვლილი შეიტანეს აბაშიძის რეჟიმის ჩამოყალიბებაში და "რეაქციული შეხედულებებითა და ასლან აბაშიძისადმი მონური ერთგულებით" გამოირჩევიან. დიასამიძის მტკიცებით, მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მის რაიონულ ქვედანაყოფებში, სადაც ასევე ინიშნებიან "ძველი კადრები". დიასამიძის შეფასებით, ასლან აბაშიძე განხორციელებული საკადრო ცვლილებებით საპარლამენტო არჩევნებისათვის ემზადება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი "საპარლამენტო არჩევნებზე სერიოზულ ბრძოლას გეგმავს" და 28 მარტისათვის დანიშნული არჩევნები აჭარაში სულაც არ იქნება "იოლი გასეირნება", როგორც ეს 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები იყო. **ინტერ-პრესი**

## სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარების საკითხში დიდი ბრიტანეთის სპეციალური წარმომადგენელი ბრაინ ფოლი გუშინ სოხუმში გაემგზავრა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სოხუმში გამგზავრებამდე ფოლი საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს შეხვდა.*

სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარების საკითხში დიდი ბრიტანეთის სპეციალური წარმომადგენელი ბრაინ ფოლი გუშინ სოხუმში გაემგზავრა. მას განზრახული აქვს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზები განიხილოს. არსებული მონაცემებით, ფოლს კონფლიქტის მოგვარების კონკრეტული პროგრამა აქვს, თუმცა მისი შინაარსი, ჯერჯერობით, არ ხმაურდება. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთი, როგორც საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრი, აქტიურად მონაწილეობს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში. **ინტერ-პრესი**

## დავით თევზაძე დღეს ერაყში მიემგზავრება

საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე დღეს გაემგზავრება ერაყის ქალაქ ტიკრიტში, სადაც სამშვიდობო მისიის შესასრულებლად ქართული ასეული იმყოფება. თევზაძე ასეულის წევრებს საახალწლო საჩუქრებს გადასცემს და, პარალელურად, ასეულის ინსპექტირებას მოახდენს. თავდაცვის მინისტრის ერაყში გამგზავრება ჯერ კიდევ საშობაოდ იყო დაგეგმილი, თუმცა, 15 იანვრისთვის გადაიდო. შეგახსენებთ, რომ ტიკრიტში მყოფ ასეულში შედიან კოჯრის სპეცდანიშნულების ბატალიონის 34 ქვეითი, აგრეთვე, 20-მდე სამხედრო ექიმი და ამდენივე სამხედრო ინჟინერი. მათ როტაციის ექვსთვიანი ვადა თებერვალში ეწურებათ, რის შემდეგაც ერაყში მორიგი ქართული ასეული ჩავა. **მედია-ნიუსი**

## ჯუმბერ პატიაშვილს მინისტრობა არ უნდა

გავრცელებულ ინფორმაციას, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრად პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერის ჯუმბერ პატიაშვილის დანიშვნის შესახებ, თავად "ერთობის" ლიდერი არ ადასტურებს.

როგორც პატიაშვილმა განაცხადა, აღნიშნული ინფორმაცია არასწორია, "ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის აღნიშნული თანამდებობა არც შემოუთავაზებიათ და რომც შემომთავაზონ, დღევანდელ დღეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მონაწილეობის არავითარი სურვილი არ მაქვს." ჯუმბერ პატიაშვილის განცხადებით, იგი თავის პარტიასთან ერთად პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა და საპარლამენტო არჩევნებისთვის სერიოზულად ემზადება. **ინტერ-პრესი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიხეილ სააკაშვილს გუშინ ისრაელის პრეზიდენტმა მოშე კაცავმა მიულოცა. კაცავმა სააკაშვილს მომავალ თანამდებობაზე წარმატება უსურვა და გამოხატა რწმენა, რომ მისი პრეზიდენტობისას საქართველოსა და ისრაელს შორის არსებული მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები და ურთიერთთანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი 25 იანვარს თბილისში ჩამოვა, რათა საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის ცერემონიას დაესწროს, - იტყობინება საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმი". ვიზიტისას ილჰამ ალიევი შეხვდება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, აგრეთვე, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად კურთხევას დაესწრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებისა და საბაჟო „ჩრდილოეთის" თანამშრომლებმა გორის რაიონის სოფელ შავშვებთან ამხილეს სოფელ ქერეში მცხოვრები ანა ბესტავაშვილი, რომელსაც ავტომანქანა „გაზელით", რომელსაც მართავდა გორის რაიონის სოფელ ტყვიავში მცხოვრები გიორგი ქარელი, სოფელ ერგნეთიდან საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით თბილისში რეალიზაციის მიზნით გადაჰქონდა 1.200 ლარის ღირებულების 400 ცალი ღრუბელი („გუბკა"). ავტომანქანა ტვირთის განბაჟების მიზნით შეყვანილი იქნა გორის ტრანსტერმინალში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებისა და საგანგებო სამსახურის თანამშრომლებმა ცხინვალი-გორის გზაზე დააკავეს ავტომანქანა „ფორდ-ტრანზიტი", რომლის მძღოლს, მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილ-აჯლოში მცხოვრებ, 31 წლის ფუარ ჯაფაროვს ერგნეთიდან საბაჟოს გვერდის ავლით მარნეულში გადაჰქონდა 490 ლარის ღირებულების 1500 კილოგრამი ხახვი. ავტომანქანა ტვირთიანად შეყვანილია გორის ტერმინალში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე „სადახლო" გვიან, ღამით, ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქე ირინა ლაზარაშვილი დააკავეს. იგი სომხეთიდან 120 კგ-მდე ხიზილალის არალეგალურად შემოტანას ცდილობდა. საზვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ხიზილალა ამოღებულია და საქმე შემდგომი მოკვლევისთვის საბაჟო დეპარტამენტის კრიმინალურ სამსახურს გადაეცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პურის მეწარმეები სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეხვედრასა და პურის ფასის შენარჩუნების საკითხის განხილვას აპირებენ. პურის მეწარმეთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ვახტანგ ზენაიშვილმა განაცხადა, რომ შეხვედრის ინიციატორები თვითონ მეწარმეები არიან. "პურის ფასის შენარჩუნება დღეს პირდაპირ არის დაკავშირებული ამერიკიდან დახმარების სახით მიღებული ხორბლის მისაღებ ფასებში რეალიზაციასთან," - აცხადებენ მეწარმეები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 46 ტონა თევზი, რომელიც ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებულ თურქულ გემზე აღმოჩნდა, ამჟამად ფოთის პორტში, ერთ-ერთი უკრაინული თევზსაჭერი სეინერის მაცივარშია. მისი ძალოვან უწყებებზე გადანაწილების შესახებ სახელმწიფო კანცელარიაში ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღიათ. კანონის მიხედვით, აღნიშნული თევზი სასაზღვრო ძალებს ეკუთვნის, თუმცა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ თხოვნით მიმართა სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას, რათა იგი სხვა ძალოვანი უწყებებისთვისაც გაენაწილებინათ. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# სტუდენტი, რომელსაც რთული გამოცდა ელის

პირველი გვერდიდან

ბრიუს ჯეკსონი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ქვეყნის ხელმძღვანელ პირებს, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებს. იგი ბათუმში სტუმრად იმყოფებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთან ასლან აბაშიძესთან. გუშინ ბრიუს ჯეკსონმა საგარეო საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გამართა.

**"თქვენი მთავრობა რეფორმებზე ორიენტირებული უნდა იყოს, გზა ევროატლანტიკურ სივრცეში რეფორმებზე გადის,"** - ჯეკსონი საქართველოს სასტარტო პოზიციას დადებითად აფასებს და დასძენს, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს პერსპექტივა - მომავალში ევროატლანტიკური სივრცის სრულუფლებიანი წევრი გახდეს.

ქართველთა კონსულტანტი იმედოვნებს, რომ ახალი ხელისუფლება, ახალი ლიდერები დააჩქარებენ საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის პროცესს. ბრიუს ჯეკსონი ამ ეტაპზე საქართველოს ადარებს სტუდენტს, რომელმაც **"ხვალ სერიოზული გამოცდა უნდა ჩააბაროს".** იგი გვირჩევს, რომ ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო ყურადღების ცენტრში ყოფნა და დრო კარგად გამოიყენოს: **"ახლა არის დრო, საქართველო შეუერთდეს კონცეფციას ე. წ. "ფართო ევროპა", დიახ, ახლა და არა მომავალში, არა ზაფხულში, არამედ არაუგვიანეს გაზაფხულისა."**


იური მეჩითოვის ფოტო

*ბრიუს ჯექსონი და თედო ჯაფარიძე საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის საკითხსაც შეეხნენ.*

გუშინ ჯეკსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამერიკა საქართველოში სამხედრო ბაზებს არ გახსნის: **"არ მჯერა, რომ ამერიკა კავკასიაში ბაზების გახსნის საკითხს განიხილავს. ახლახან დაიწყო მოლაპარაკებები რუმინეთთან, ბულგარეთთან და პოლონეთთან დროებითი განლაგების თაობაზე (მინდა გითხრათ, რომ ეს არ ნიშნავს ბაზების განლაგებას). რომელიმე ქვეყანაში გრძელვადიანი ბაზების გახსნის დრო წავიდა."**

რაც შეეხება გუშინდელ ბათუმურ ვიზიტს, ჯეკსონმა ბრძანა, რომ ასლან აბაშიძესთან შეხვედრისას მან ხაზგასმით აღნიშნა: **"საქართველო ერთიანი სახელმწიფოა და მომავალშიც ასეთად უნდა დარჩეს".** ჯეკსონმა აბაშიძესთან კიდევ ერთ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. იგი შეეცადა აბაშიძისთვის აეხსნა, რომ ევროპული ინტეგრაცია აჭარასაც მოუტანს სიკეთეს: **"როცა ევროპა საქართველოს თავის სისტემაში ჩართავს, ამ პროცესებისგან ბათუმიც მიიღებს დივიდენდებს."**

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჯეკსონმა ნახევრად ხუმრობით განაცხადა: **"მოხიბლული ვარ თქვენი ვარდების, თუ ხავერდოვანი რევოლუციით, მაგრამ ვისურვებდი, მსგავსი რამ არასოდეს მენახოს "SNN"-ზე".** ხუმრობისა რა მოგახსენოთ, თუმცა, ერთი რამ ცხადია: ჯეკსონის ფრაზა, სხვა ყველაფერთან ერთად, ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით კი, ახალი ხელისუფლების მიმართ იმ დიდი პასუხისმგებლობის შეხსენებაა, რომელიც მათ მომავლის წინაშე აკისრიათ.

და ბოლოს: ბრიუს ჯექსონი საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხსაც გამოეხმაურა. **"აუცილებელია, საქართველომ გააძლიეროს თავისი უსაფრთხოება, გაატაროს სამხედრო ინფრასტრუქტურის რეფორმა, რაც წინაპირობა გახდება იმისათვის, რომ რუსული სამხედრო ბაზები საქართველოდან გავიდნენ. რუსეთი არღვევს სტამბულის 1999 წლის ხელშეკრულებას და საერთაშორისო საზოგადოება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ რუსეთმა ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს",** - აღნიშნა ჯექსონმა


## "თბილგაზი" გაფრთხილებს!

"თბილგაზი" მოუწოდებს ყველა სამრეწველო და კომუნალურ მომხმარებელს, რომ ამა წლის 20 იანვრამდე მობრძანდნენ "თბილგაზის" სათაო ოფისში და შემოიტანონ განაცხადი იანვარ-თებერვალში მათთვის აუცილებელი გაზის მიწოდების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ 21 იანვრიდან ბუნებრივი აირის მიწოდება გაუფრთხილებლად შეუწყდებათ. "თბილგაზის" მარკეტინგისა და დისტრიბუციის სამსახურში განაცხადები მიიღება 8-დან 15 იანვრის ჩათვლით ყოველდღე, 10-დან 18 საათამდე.

**"თბილგაზის" მმართველი კომპანია**
**"ახალი მენეჯმენტი"**

**მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის 18 ა.**


## რუსეთი თავის ჯარებს საქართველოს ტერიტორიიდან უახლოეს ხანში არ გაიყვანს

რუსეთი თავის ჯარებს საქართველოს ტერიტორიიდან უახლოეს ხანში არ გაიყვანს. როგორც რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რუსეთი საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანისთვის საჭირო სახსრებს მხოლოდ მას შემდეგ გამოყოფს, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებას მოეწერება ხელი. ამგვარი ხელშეკრულება, ჯერჯერობით, არ არსებობს, მიმდინარეობს მოლაპარაკება. "ვისაც რა სურს, ილაპარაკოს. ჩვენ ამას მშვიდად ვეკიდებით," - აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა. მისი თქმით, რუსეთი დიალოგს მართავს არა "ნაციონალისტებთან და მარგინალებთან, არამედ საქართველოს კანონიერ მთავრობასთან". სერგეი ივანოვმა აღნიშნა, რომ საქართველოდან ჯარებს ისე არ გამოიყვანენ, როგორც ეს თავის დროზე გერმანიაში განხორციელდა, "როცა ჯარისკაცებს, ოფიცრებს და შეიარაღებას სუფთა მინდორზე ყრიდნენ და ამას გამოყვანას უწოდებდნენ". თავდაპირველად, ახალი სამხედრო ქალაქები მოეწყობა, ეს კი, მინისტრის თქმით, "ხანგრძლივი პროცესია". **ინტერ-პრესი**

# საქართველოს თავზე ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებს

პირველი გვერდიდან

თავად კანონპროექტი პარლამენტარებს იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა წარუდგინა. განხილვა კი საკმაოდ ორიგინალური და ემოციური გამოდგა. პარლამენტის სტუმრებმა ერთი დროშა დარბაზსაც გადააწოდეს. "დემოკრატმა" ვასილ მაღლაფერიძემ ამ ცერემონიალს იურიდიული გამართლებაც მოუძებნა – მისი ლოგიკით, დროშა დეპუტატებს დარბაზში იმისთვის დასჭირდათ, რომ იგი, როგორც ნიმუში, ისე შეეთვალიერებინათ. მეორე "დემოკრატმა" – ხათუნა გოგორიშვილმა მეორე ხუთჯვრიანი დროშა დარბაზში ჩამოატარა, დეპუტატებმა კი დროშაზე საკუთარი ავტოგრაფები დატოვეს.

რაც შეეხება თავად დეპუტატებს. ხუთჯვრიანი დროშის ეროვნულ სიმბოლოდ გადაქცევის წინააღმდეგ პირველად "ახალი მემარჯვენე" დავით კოლუაშვილი გამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ სახელმწიფო დროშა ერის საერთო ინტერესებს უნდა გამოხატავდეს და მის გარშემო კონსენსუსი უნდა არსებობდეს.

**"საქართველომ სააკაშვილი პრეზიდენტად აირჩია და არა იმპერატორად. ეს დროშა "ნაციონალური მოძრაობის" პარტიული დროშაა და, მთლიანად, საქართველო "ნაციონალური მოძრაობის" წევრი არ არის. მე ვერ მივცემ ჩემს თავს უფლებას, მხარი დავუჭირო ამ დროშის სახელმწიფო დროშად გამოცხადებას დაჩქარებული წესითა და განხილვის გარეშე,"** - აღნიშნა კოლუაშვილმა. მანვე დეპუტატებს დაფიქრებისკენ მოუწოდა, **"რათა მოგვიანებით, მომავალი თაობების მიმართ უხერხულობა არ ეგრძნოთ."**

ბუნებრივია, ხუთჯვრიანი დროშის მისამართით "კეთილი სიტყვები" არ დაიშურა პარლამენტარმა გურამ შარაძემ, რომელიც მას (ანუ დროშას), უკვე დიდი ხანია, ებრძვის.

**"ეს არ არის ქართული დროშა... სწორედ ეს აზრი აშფოთებდა და აწვალებდა აკაკი ბაქრაძესაც, როცა მან სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერა პუბლიცისტური ნაწარმოები და სწორედ იქ აღნიშნა, რომ შესაძლებელია ქართველებს მისი სახელმწიფო სიმბოლოდ გამოცხადების შემდეგ, დროშის ქურდობა დასწამონ,"** - ბობოქრობდა შარაძე. თუმცა, მისი აზრი არავის გაუზიარებია.

ბუნებრივია, ისტორიულთან ერთად, პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე პოლიტიკური აქცენტებიც გაისმა. "ნაციონალური მოძრაობისა" და გაერთიანებული დემოკრატების" მტკიცებით, **"ეს დროშა საქართველოს მოსახლეობამ ნოემბრის რევოლუციის შემდეგ უკვე აღიარა საკუთარ დროშად და ამჟამად მხოლოდ ამ გადაწყვეტილების დაკანონებაა იყო საჭირო."**

თუმცა, პოლიტიკასთან ერთად, დეპუტატები გუშინ ისტორიითაც დაინტერესდნენ და ტრიბუნასთან ისტორიკოსს, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს მოუხმეს, რომელმაც წარსულში მცირეოდენი ექსკურსის შემდეგ განაცხადა, რომ **"ხუთჯვრიანი დროშის სახელმწიფო დროშად გამოცხადება შესაძლებელია."**

საინტერესოა, რომ პარლამენტის აზერბაიჯანელმა და სომეხმა წევრებმაც სრულად გაიზიარეს "ნაციონალებისა" და "დემოკრატების" პათოსი და ხუთჯვრიანი დროშის ეროვნულ დროშად გამოცხადებას მხარი ერთსულოვნად დაუჭირეს (აქვე დავძენთ, რომ მათ გამოსვლებს "დემოკრატებთან" მცირეოდენი კონსულტაციები უძღოდა წინ).

საკითხის განხილვა სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას გამოსვლით დასრულდა. **"ეს დროშა ქართული დიდების სიმბოლოა, რადგან ნებისმიერ ქართველში ასოცირდება, როგორც დავითის დროინდელ და თამარის დროინდელ დროშად... ის დროშა, რომელიც საქართველოს დღეს აქვს, ქართველი ხალხის არც ერთი გამარჯვების მომსწრე არ არის. იგი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამხობის დროსაც არსებობდა, აფხაზეთის დროსაც და სამაჩაბლოს ტრაგედიის დროსაც. ასე რომ, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ იმ დროშას, რომელმაც წრთობა ნოემბრის რევოლუციის დღეებში მიიღო, ჩვენ გვინდა გვქონდეს გამარჯვების სიმბოლოიანი დროშა, სწორედ ამ დროშით დაიბრუნა ქართველმა ერმა გამარჯვების იმედი და რწმენა,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

კენჭისყრის შედეგებმა დარბაზში ტაშის გრიალი და დროშების ფრიალი გამოიწვია. 147 დეპუტატის გადაწყვეტილებით, საქართველოს ახალი ეროვნული სიმბოლო აქვს.




# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

### მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე აცხადებს კონკურსს

## საეთერო ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 455 მუხლის, „კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კანონმდებლობით მაუწყებლებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების, საზოგადოების მოთხოვნებისა და ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე საქართველოში არსებული სარეკლამო ბაზრის რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ქვეყნის მოსახლეობის მაქსიმალურად მოცვის და ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია")

**გადაწყვიტა:**

**1.** გამოცხადდეს კონკურსი საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) ერთი გადამცემის გამოყენებით, მითითებული სამაუწყებლო ზონის მიხედვით:

| | სამაუწყებლო ზონა | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგრაფიული კოორდინატები | ანტენის სიმაღლე მიწის ზედ. მ | სიხშირე მჰც | სიმძლ. კვტ | მაუწყებლობის საშ. რად. კმ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | თბილისის ანძა | 44E47; 41N41 | 100 | 99.6 | 1 | 25 |

შენიშვნა:

სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N 267 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით.

გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 50-150 მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

**ბ)** სამოქმედო ზონა – ქ. თბილისი (სამაუწყებლო ზონა 1);

**გ)** სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს **10 692** (ათი ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი) ლარით;

**დ)** კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს **2004 წლის 2 აპრილი 12 საათი**;

**ე)** ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს **2004 წლის 20 თებერვლის 17 საათამდე**;

**2.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;

ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

**3.** ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

**4.** კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

**5.** ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 452 და 362 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;

გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის „ბ"–„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში FM რადიოსამაუწყებლო სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

**6.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების.

**7.** ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.

ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

**8.** ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);

ბ) სესხები;

გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;

დ) საინვესტიციო ვალდებულებები;

ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

**9.** პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N 267 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, აგრეთვე მასში ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის მიხედვით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

**10.** კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის "დ", "ე", "ვ", "ზ" ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

**11.** გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

**12.** კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

**13.** თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 455 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი), რომელიც შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებულ თანხის ოდენობას.

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა.

გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა.

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას.

ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში.

**14.** კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს.

**15**. სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში.

**16.** კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

**17.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ", "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ", „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", „რეკლამის შესახებ" და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.

**18.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სხვა პირის ტექნიკური საშუალებების სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენების გზით.

**19.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**20.** კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

**21.** კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

**22.** გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

**23.** საკონკურსო სხდომა საჯაროა. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ქვეყნდება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) ინტერნეტში.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ**
**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მისამართზე:**
**თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N 42 ტელ.: 921667 ფაქსი: 921625**

# ირინა ხაკამადა: ნორდ-ოსტში გაზი პირადად პუტინის ბრძანებით გაუშვეს

ლევან ღირსიაშვილი

რუსული პოლიტიკური პარტიის "მემარჯვენე ძალთა კავშირის" თანათავმჯდომარემ და პრეზიდენტობის კანდიდატმა ირინა ხაკამადამ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. მან რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს საკმაოდ სერიოზული ბრალდება წაუყენა. კერძოდ, ხაკამადამ განაცხადა, რომ 2002 წელს ვლადიმირ პუტინმა პირადად გასცა მომწამლავი გაზის გამოყენების ბრძანება ნორდ-ოსტის თეატრში ჩეჩენი ტერორისტების მიერ აყვანილი მძევლების გათავისუფლების ოპერაციის დროს. როგორც ცნობილია, ძლიერმოქმედმა აირმა არა მარტო დააძინა თეატრის შენობაში მყოფი ტერორისტები, არამედ 130 მშვიდობიანი მძევლის სიკვდილიც გამოიწვია. ხაკამადამ ეს ბრალდება წერილობით ჩამოაყალიბა და ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე წაიკითხა. მისი ეს წერილი უკვე დაბეჭდა გაზეთმა "კომერსანტმა."

ხაკამადა პირდაპირ სდებს ბრალს რუსეთის პრეზიდენტს სახელმწიფო ტერორის გაღვივებაში და ამ ბრალდებას ნორდ-ოსტის ოპერაციით და მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებით ასაბუთებს. მან პრესკონფერენციაზე ასევე წაიკითხა დაღუპულთა ოჯახების წევრების განცხადება, სადაც რუსეთის დაზარალებული მოქალაქეები პრეზიდენტობის კანდიდატებს მოუწოდებენ, თავიანთი საარჩევნო კამპანიის დროს ხელისუფლებას მოსთხოვონ ტერაქტების ხელახალი დეტალური გამოძიება.

ირინა ხაკამადა აცხადებს, რომ თავად იღებდა მონაწილეობას ტერორისტებთან გამართულ მოლაპარაკებებში და მისთვის ასევე ცნობილია ის დეტალები, თუ როგორ მიიღეს სამართალდამცავებმა თეატრალური ცენტრის გათავისუფლების გადაწყვეტილება.

**"მე ადრე არ გამიხმაურებია ის ფაქტები, რაც ჩემი თვალით ვნახე თეატრალურ ცენტრში და უფრო მეტიც - არ მითქვამს, თუ როგორ მოეკიდნენ პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაციის წევრები ჩემს მცდელობას, გადამერჩინა ხალხი," -** განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

**"მე ეს ადრე იმიტომ არ გავახმაურე, რადგანაც დაბნეული ვიყავი და ვფიქრობდი, რომ პრეზიდენტი პუტინი ბოლოს და ბოლოს სიმართლეს იტყოდა და მოინანიებდა თავის ბრძანებას სასიკვდილო გაზის გაშვების შესახებ. მაგრამ პუტინი დუმს და პასუხსაც არ სცემს იმ ხალხს, ვისაც ახლობლები დაეღუპა," -** ნათქვამია ხაკამადას მიერ გავრცელებულ წერილში.

ნორდ-ოსტში მომწამლავი აირის გაშვებამ, რასაც მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, თავის დროზე დასავლეთის და რუსეთის საზოგადოების შოკი გამოიწვია. კრემლი კი დაჟინებით აცხადებდა, რომ მათ ხალხის გადასარჩენად შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს და გაზის გაშვება ერთადერთი გამოსავალი იყო.

ამის პასუხად კი ხაკამადა აცხადებს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეს განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება და პუტინი ხალხს თვალებში ნაცარს აყრის.

**"2002 წლის 23 ოქტომბერს თეატრალურ ცენტრში ტერორისტებთან გამართული მოლაპარაკების დროს და შემდგომ განვითარებული მოვლენების შედეგად მე მივედი დასკვნამდე, რომ ტერორისტები თეატრალური ცენტრის აფეთქებას არ აპირებდნენ, ხოლო ხელისუფლებას კი მძევალთა გადარჩენა საერთოდ არ აინტერესებდა," -** აცხადებს თავის წერილში ხაკამადა.



*ხაკამადამ რუსეთის პრეზიდენტს სერიოზული ბრალდება წაუყენა.*

**"მომხდარის შეფასებისას მე გარდაუვალ დასკვნამდე მივდივარ: ამ ტერაქტმა გამოიწვია ანტიჩეჩნური ისტერიის გაძლიერება, ჩეჩნეთში ომის გაგრძელება და პრეზიდენტის მაღალი რეიტინგის შენარჩუნება. დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტ პუტინის მცდელობა, დამალოს სიმართლე, თავისი არსით სახელმწიფო დანაშაულია და სწორედ ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემი კანდიდატურის დაყენების შესახებ," -** დასძინა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

როგორც ხაკამადა ამბობს, მას თავისი რეიტინგი არ აინტერესებს. ცხადია, მან ძალიან კარგად იცის, რომ გამარჯვების არანაირი შანსი არ გააჩნია. პირველობა ხომ კვლავაც რუსეთის პრეზიდენტს და ყოფილ "კაგებეშნიკს" ეკუთვნის.

**"მე ვთვლი, რომ ჩემი მისია საპრეზიდენტო არჩევნების დროს თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების დემოკრატიულ ძალებთან კავშირის შენარჩუნებაში მდგომარეობს. ეს კი ნიშნავს, რომ მომდევნო სამი წლისთვის დავტოვოთ მემკვიდრეობა, რათა კვლავ გაჩნდეს ენერგია და რწმენა ერთმანეთის მიმართ," -** ხსნის ირინა ხაკამადა არჩევნებში მონაწილეობის მიზეზს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დემოკრატული ძალები რუსეთში ასპარეზის ასე ადვილად დათმობას არ აპირებენ და რუსეთის მომავლისათვის ბრძოლა გრძელდება.

# ქართველების ულევი ოპტიმიზმი

პირველი გვერდიდან

ცენტრის ანალიტიკოსების განცხადებით, საქართველოს პრობლემები სათავეს რუსეთ-ამერიკის დაპირისპირებიდან იღებს. **"შეერთებული შტატები სულ უფრო გააქტიურდება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. რუსეთი ამას ერთადერთი შესაძლო გზით უპასუხებს: მხარს დაუჭერს საკუთარ მოკავშირეებს და შეეცდება, ვაშინგტონის მეგობრებს პრობლემები შეუქმნას."**

დასავლური მედია, რომელიც ვარდების რევოლუციით თავის აღტაცებას არ მალავდა, ამჯერად უკვე საქართველოს წინაშე მდგარ უამრავ პრობლემაზე საუბრობს. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული მასალების სათაურებს გადახედო: "ვარდი ზამთარში" – "გარდიანი", "საქართველო წნეხის ქვეშ" – "უოლ სტრიტ ჯორნელი", "საქართველოს ლიდერი მერყევ პედესტალზე" – "ლოს-ანჯელეს ტაიმსი", "რუსეთს კავკასიიდან წასვლა არ სურს" – "დი ველტი".

მიმომხილველები პირდაპირ წერენ, რომ რუსეთი არათუ სამხედრო ბაზებს არ გაიყვანს საქართველოდან, ყველანაირად შეეცდება, ახალ მთავრობას პრობლემები შეუქმნას. **"ის როლი, რომელსაც რუსეთი ასრულებს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და აჭარაში სეპარატიზმის წახალისებაში და ჯარების გაყვანასთან დაკავშირებული დავა ყველა განცხადებაზე უფრო მეტყველია". "რუსები დარწმუნებული არიან, რომ სანამ საქართველოში სამხედრო ბაზებს ინარჩუნებენ, კავკასია ბოლომდე დაკარგული არ არის", "რუსების მიერ ფეხის ათრევა მოწმობს, რომ ისინი საქართველოდან არსად წასვლას არ აპირებენ,"** – ასეთ განცხადებებს ხშირად შეხვდებით უცხოურ პრესაში. ჟურნალისტები არ ივიწყებენ იმასაც, რომ ბუშის, შრიოდერისა და ბლერისაგან განსხვავებით, პუტინს საქართველოს ახალი პრეზიდენტისათვის არ დაურეკავს.

რუსეთთან მოუგვარებელი ურთიერთობები ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მხოლოდ ნაწილია. სეპარატისტული მოძრაობები, კორუფცია, ენერგეტიკაში არსებული ქაოსი, ეკონომიკური ჩამორჩენილობა ქვეყანას არანაკლებ საფრთხეს უქმნის.

**"საქართველოში განვითარებული მოვლენები ბევრი რამით წააგავდა 2000 წლის სერბიის რევოლუციას. საწყენი იქნება, თუ გატეხილი პირობებისა და იმედგაცრუების ერთი-ორი წელი საქართველოს ისეთივე რეგრესამდე მიიყვანს, როგორსაც ახლა სერბია განიცდის,"** – წერს "გარდიანი".

თუმცა, ქართველები მათ წინაშე მდგარ პრობლემებს აინუნშიც არ აგდებენ. სოციოლოგიური კვლევების ცნობილი სააგენტოს, გელაპის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მომავალს ოპტიმისტურად უყურებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მცხოვრებთა 15 და ქართველების 90 პროცენტი.

# ირანის მთავრობა გადადგომით იმუქრება

რევაზ ბახტაძე

გუშინ ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ განაცხადა, რომ მთელი ადმინისტრაცია გადადგება, თუ ქვეყნის უმაღლესი მმართველი ორგანო - გუშაგთა საბჭო რეფორმატორ პოლიტიკოსებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის ნებას არ დართავს.

კვირას ირანის რევოლუციის გუშაგთა საბჭომ 2000-ზე მეტ რეფორმატორ პოლიტიკოსს, მათ შორის, 80-მდე პარლამენტარს, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვა. გუშაგთა საბჭომ პარლამენტის მუშაობის ისლამურ პრინციპებთან შესაბამისობა უნდა უზრუნველყოს. ამავე ორგანოს არჩევნების წინ ნებისმიერ კანდიდატის დისკვალიფიკაციის უფლება აქვს.

გუშაგთა საბჭოს გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა დეპუტატებმა პარლამენტის შენობაში მჯდომარე აქცია დაიწყეს, ხოლო 27 პროვინციის გამგებელი გადადგომით დაიმუქრა. სწორედ გამგებლებს ევალებათ არჩევნების ორგანიზება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი, რომელიც გამგებლებს ნიშნავს, გუშაგთა საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას "უკანონო" უწოდა.

ამ დაპირისპირების ფონზე, სამშაბათს ირანის უზენაესმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ სახელმწიფო რადიოთი გამოსვლისას განაცხადა, რომ თუ პრობლემა სამართლებრივი გზით ვერ მოგვარდებოდა, იგი თავად ჩაერეოდა და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებდა. პრეზიდენტმა ხათამიმ კი თავის მომხრეებს სიმშვიდისა და პროტესტის კანონიერი გზით გამოხატვისაკენ მოუწოდა.

ყველა მოელოდა, რომ გუშაგთა საბჭო თავის გადაწყვეტილებას შეცვლიდა და რეფორმატორებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მისცემდა. როგორც ჩანს, კონსერვატორმა კლერიკალებმა პოზიციები არ დათმეს, რასაც გუშინ პრეზიდენტ ხათამის გამოსვლა მოჰყვა. ირანის პრეზიდენტმა პროვინციების გამგებლებს მიმართა და მათთან ერთად გადადგომის შესაძლებლობაზე მიანიშნა.

"მე მჯერა, რომ ჩვენ ყველანი სიმტკიცეს შევინარჩუნებთ და თუ ერთ დღეს ასპარეზის დატოვებას მოგვთხოვენ, მაშინ ამას ჩვენ ყველანი ერთად გავაკეთებთ," - მოჰამად ხათამის ეს სიტყვები ირანის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტო "ირნამ" გაავრცელა.

ხათამი პრეზიდენტად 1997 წელს აირჩიეს. ხალხი იმედოვნებდა, რომ იგი სასულიერო ხელისუფლების უფლებების შეზღუდვას და დემოკრატიული რეფორმების გატარებას შეძლებდა. თუმცა, ამ მიმართულებით პრეზიდენტის ყველა მცდელობა მარცხით დასრულდა. ამან ხათამისა და მისი მომხრეების რეიტინგი დასცა და ხალხი აპათიამ მოიცვა. ეს შარშან ჩატარებულმა არჩევნებმა დაადასტურა. მოსახლეობის აქტიურობა ძალზე დაბალი იყო. თეირანში, მაგალითად, ამომრჩეველთა მხოლოდ 15 პროცენტი მივიდა საარჩევნო უბნებში. ამით კი ყველაზე მეტად კონსერვატორებმა ისარგებლეს და, ფაქტობრივად, ადგილობრივი არჩევნები მთლიანად მოიგეს.

ახლაც, ანალიტიკოსები დაახლოებით ანალოგიურ შედეგს მოელოდნენ, მაგრამ კონსერვატორი კლერიკალების მიერ რეფორმატორების აშკარა შევიწროებამ საპირისპირო შედეგი გამოიღო. ექსპერტების აზრით, ადგილობრივ არჩევნებთან შედარებით, 20 თებერვალს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის აქტიურობა გაცილებით მაღალი იქნება და, სავარაუდოდ, მათი უმრავლესობა კვლავ ხათამის გუნდს დაუჭერს მხარს.

გამგებლების გარდა, ხათამიმ თავის გამოსვლაში აგრეთვე მოუწოდა დეპუტატებს, საპროტესტო მჯდომარე აქცია შეეწყვიტათ და პარლამენტის მუშაობა განეახლებინათ. ეს წინადადება დეპუტატებმა უარყვეს.

"ჩვენ შეხვედრა გვქონდა და ხათამის წინადადება განვიხილეთ. საპროტესტო აქციაში მონაწილე ყველა დეპუტატმა ერთხმად განაცხადა, რომ აქცია მანამ არ შეწყდება, სანამ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება," - აღნიშნა "როიტერის" კორესპონდენტთან ინტერვიუში რეფორმატორმა დეპუტატმა ირადჯ ნადიმიმ.

გუშინვე ირანის პარლამენტის სპიკერმა მეჰდი ქარუბიმ გუშაგთა საბჭო დეპუტატების განზრახ მასობრივ დისკვალიფიკაციაში საჯაროდ დაადანაშაულა.

შექმნილ ვითარებაში საბოლოო სიტყვა ირანის უზენაეს ლიდერს აიათოლა ალი ხამენეის ეკუთვნის. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ თუ რეფორმატორი პოლიტიკოსების მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, მაღალია იმის ალბათობა, რომ პოლიტიკური კრიზისი მასობრივ მღელვარებაში გადაიზარდოს.

# მინისტრის ნაძვის ხე

განათლების მინისტრი ალექსანდრე კარტოზია თანამდებობიდან გადადგომას მხოლოდ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ აპირებს. **“ამის უფლებას მე საქართველოს კონსტიტუცია მაძლევს,”** – განაცხადა მან გუშინ. ძველით ახალ წელს ალექსანდრე კარტოზიამ მინისტრის რანგში, სავარაუდოდ, ბოლო ღონისძიებას უმასპინძლა – მზრუნველობას მოკლებული ბავშვები მიიღო. სამინისტროს თანამშრომელთა ინიციატივით, ახლად გარემონტებულ დარბაზში დიღმის, რუსთავის ბავშვთა სახლების, არასამთავრობო ორგანიზაცია “თანადგომის” პატრონაჟის ქვეშ მყოფი უნარშეზღუდული პატარების 200-მდე წარმომადგენელი მიიწვიეს, ნაძვის ხე მოურთეს და საგანგებო კონცერტი გაუმართეს. უამინდობის გამო, ზეიმს ვერ დაესწრნენ კოჯრის, მარტყოფისა და წყნეთის ბავშვთა სახლების აღსაზრდელები. დანარჩენებისთვის გამართულ ზეიმში კი მათივე თანატოლები – განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლების - “კავკასიონისა” და “ჩირაღდნის” წევრები და სატირისა და იუმორის თეატრის მსახიობები მონაწილეობდნენ. ზეიმის ბოლოს ნასიამოვნებ პატარებს სამინისტროს თანამშრომლების მიერ შეგროვილი 400 ლარით ნაყიდი ტკბილეული, გასაფერადებელი ზღაპრები და ფლომასტერები დაურიგეს. **“ყველაფერი კარგი იყო,”** – სახეები უცინოდათ ბავშვებს.

*24 საათი*

## მოკლედ

### დიდთოვლობა საქართველოს გზებზე

დიდთოვლობისა და გზების მოყინვის გამო, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის გადაადგილება მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით არის დასაშვები. ამავე მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი "იკარუსისა" და მასთან გათანაბრებული ტრანსპორტის მოძრაობა. ახალციხე-ნინოწმინდის, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის, ნაქერალას უღელტეხილზე 40-60 კილომეტრ მონაკვეთზე და ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტიის საავტომობილო გზის 90-192 კილომეტრ მონაკვეთზე ყველა სახის მოძრაობა, ასევე, მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით არის დასაშვები. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მართლმადიდებლურმა სამყარომ გუშინ აღნიშნა ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული - წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამ თარიღთან დაკავშირებით ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში საზეიმო წირვა აღევლინა. გუშინვე ქრისტიანებმა ახალი წლის მართლმადიდებლური კალენდრით მოსვლა აღნიშნეს. ამ თარიღთან დაკავშირებით, დილის თორმეტ საათზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პარაკლისი აღავლინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ახალი ხელმძღვანელის ვინაობა ჯერ გაურკვეველია. ამჟამად სანიტარულ სამსახურს ხელმძღვანელობს ყოფილი უფროსის ჯულეული ახვლედიანის პირველი მოადგილე გია ტყეშელაშვილი. სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ჯერჯერობით, იგივე თანამდებობებზეა ოთხივე მოადგილე - ირაკლი გიორგობიანი, მარსელ გაზდელიანი, მერაბ არველაძე და ნიკა აბსანძე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა ამერიკელი კოლეგებისგან დიაგნოსტიკუმი (რეაქტივები) მიიღო. მიღებული რეაქტივები კოლეგებს ამერიკის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობამ საჩუქრად საახალწლოდ გამოუგზავნა. ეს საჩუქარი ქართველ ექიმებს საშუალებას მისცემს, ზუსტი დიაგნოზი დასვან გრიპის ნებისმიერი საეჭვო შემთხვევის აღმოჩენის შემთხვევაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის მერი ვანო ზოდელავა შეხვდა აშშ-ს განვითარების სააგენტოს USAID მენეჯერებს ენერგეტიკისა და სოციალურ საკითხებში - კენტ ლარსენსა და პიტერ არგოს. შეხვედრის ძირითადი მიზანი დედაქალაქის მოსახლეობის "ზამთრის გათბობის" პროექტში ჩართვა იყო. პროექტი მრავალშვილიანთა, მიწისძვრით დაზარალებულთა ოჯახებს, მარტოხელებს, ინვალიდებსა და ომის ვეტერანებს გულისხმობს. საქართველოში ამ პროგრამით 200 ათასზე მეტ ადამიანი სარგებლობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიაბეტის ფედერაციის ხელმძღვანელობა ქვეყნის ახალ ხელისუფლებას სთხოვს, საქართველოში ამ რთული დაავადების სამკურნალოდ სახელმწიფო პროგრამა შეიქმნას. ათი წელიწადია, რაც დიაბეტიან ბავშვებს და მოზარდებს უფასო ინსულინი, ტესტჩხირები და დიაბეტის საზომი აპარატები გადაეცემათ. დიაბეტიანი ორსული დედები კი მხოლოდ უფასო ინსულინს იღებენ, თანაც - საერთაშორისო დახმარებით. დღეისათვის საქართველოში 10 ათასი ინსულინდამოკიდებულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გარემოს დამცველებმა ბუნების თემაზე პირველი სპეციალიზებული კერძო გამომცემლობა "ბუნება პრინტი" დააარსეს. მისი პირველი გამოცემის პრეზენტაცია 16 იანვარს წიგნის სახლში გაიმართება. გამომცემლობის დაარსების მიზანია, პოპულარიზაცია გაუწიოს საქართველოს ბუნებას, ბუნებრივ რესურსებს და ბუნების დაცვის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს. "ბუნება პრინტი" საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრისა და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ხელშეწყობით დაარსდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის "მწვანეები" ქედის გამგებელს ხე-ტყის უკანონო ჭრის ხელშეწყობაში ადანაშაულებენ და სასამართლოში ჩივილს აპირებენ. აჭარის მწვანეთა ლიდერის ნოდარ ცინცაძის განცხადებით, ქედის გამგებლის ჯემალ გვარიშვილის პოსტზე ყოფნის პერიოდში მკვეთრად გაიზარდა ხე-ტყის უკანონო ჭრა. მისი თქმით, აჭარის "მწვანეებს" აქვთ იმისი დამადასტურებელი მასალა, რომ გვარიშვილი ხე-ტყის უკანონო ბიზნესშია ჩართული და ამის დამტკიცებასაც მოახერხებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სს „თელასის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ელექტროენერგიის საფასურის დავალიანების მქონე 500-მდე საბიუჯეტო ორგანიზაციას ელექტროენერგიის მიწოდება არ შეუწყდება. „თელასმა“ ამ ორგანიზაციებს, დაახლოებით, 4 მილიონი ლარის დავალიანების გადახდა თვის ბოლომდე გადაუვადა. გასათიშ ორგანიზაციათა ნუსხაში შედიოდნენ თბილისის მეტროპოლიტენი, თბილწყალკანალი და თბილქალაქგანათება. „თელასი“ მათგან მიმდინარე (1-3 თვის) დავალიანების დაფარვას ითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული წლის 19 აგვისტოს პრეზიდენტმა შევარდნაძემ გამოსცა ბრძანება, რეკონსტრუქციის მიზნით, მთაწმინდის პარკის იჯარით გაცემის შესახებ. შეიქმნა საკონკურსო პირობების შემმუშავებელი კომისია. მისი დასკვნის შემდეგ საკითხი თბილისის მთავრობის სხდომაზე უნდა განხილულიყო და საკრებულოს დაემტკიცებინა. მთავრობის გადაყენების გამო, პროცესი დღემდე შეჩერებულია. ამ საკითხზე მსჯელობა ქალაქის მომავალ მთავრობასა და ახალ პრეზიდენტს მოუწევთ. **მედია-ნიუსი**

United Nations Development Programme

UNDP Georgia

UNDP

განცხადება

გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი: ბიზნეს ინკუბაციის მხარდაჭერა" აცხადებს წინადადებების მიღებას ბიზნეს ინკუბატორისათვის ფართის საქირავებლად ორი წლით ქ.თბილისში. ფართი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- არა ნაკლებ 250 კვ.მ.
- მდებარეობა - ცენტრალური გამზირი ან მიმდებარე ტერიტორია
- საკუთარი შესასვლელი

**წინადადებები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

- ფასი (თვეში/წელიწადში)
- ელექტოგაყვანილობა/კომუნიკაციების არსებობა
- ფართის მისამართი
- იურიდიული პირის შემთხვევაში, მფლობელი ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა
- ფართის ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერა

**წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას გაეროს განვითარების პროგრამის ოფისში (ერისთავის ქ. 9) 2004 წლის 28 იანვრის სამუშაო დღის ბოლომდე.**

# გია ბარამიძე ტრადიციას არ ღალატობს

ნინო ცინცაძე

*დიღმის ბავშვთა სახლში გია ბარამიძე, როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ყოველთვის ტრადიციული სტუმარი იყო. ამ ტრადიციას იგი არც მას შემდეგ ღალატობს, რაც შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა.*



შსს მინისტრი ბავშვთა სახლში.

ახალი წლის წინა დღეებში ახლად დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრი საქმეებს პანკისის ხეობაში აგვარებდა, ამიტომ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის საჩუქრების გადაცემა ძველით ახალ წელს გადაწყვიტა. **”წელს, სამწუხაროდ, ახალ წელს თქვენთან მოსვლა ვერ მოვახერხე; მერე აღარ მოვსულვარ, რადგან თქვენ იყავით წასულები დასასვენებლად და აი, ახლა, ამ სიმბოლურ დღეს მოვედი თქვენთან ახალი წლის მოსალოცად,”** - უხსნიდა გია ბარამიძე მის შესახვედრად შეკრებილ ბავშვებს.

მისგან განსხვავებით, ახალი წლის დამდეგს ამ ბავშვთა სახლში მოხვედრა მე მომიწია. მაშინ რადიო “მწვანე ტალღის” ჟურნალისტები ბავშვებს საახალწლო ოცნებებს უსრულებდნენ. თითოეულს მათივე სურვილის მიხედვით შეკრებილ საჩუქრებს იქვე ურიგებდნენ. იმ დღეს ამ აქციამ ბავშვთა სახლის დირექტორსა და მასწავლებლებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, - დატოვეთ ეს ყველაფერი და ჩვენ თავად დავარიგებთ, დროს გვაკარგვინებთ და არეულობას იწვევთო. გუშინ კი ბავშვთა სახლში “სტაბილიზაციის” ყველა ნიშანი სახეზე იყო. დარბაზში შეკრებილი ბავშვები სკამებზე მშვიდად ისხდნენ. “ზომიერად აღელვებული” მასწავლებლები კი მინისტრს ბავშვების გაცისკროვნებულ სახეებზე მიუთითებდნენ.

გია ბარამიძეს ბავშვები გრძელი დამოძღვრით არ შეუწუხებია. **“ისევე, როგორც ყოველთვის, მე წელსაც თქვენთან ვარ და იცოდეთ, რომ თქვენი სიხარული და გასაჭირი ჩემი სიხარული და გასაჭირიცაა. გიყვარდეთ თქვენი მასწავლებლები, რომლებიც თქვენთვის მშობლებივით არიან. სასახელო გოგოები და ბიჭები, ვაჟკაცები და ქალბატონები გაზრდილიყავით. თქვენი დიდი იმედი მაქვს. თქვენ მომავალი პატრიოტები ხართ - ის ადამიანები, ვინც სამშობლოს ასახელებს,”** – თქვა მან.

ბავშვთა სახლის დატოვებისას გია ბარამიძემ იმედი გამოთქვა, რომ ნებისმიერი საჩუქარი, რომელიც ბავშვთა სახლს მისგან თუ სხვების მიერ გადაეცემა, ბავშვებამდე უკლებლივ მიაღწევს.

# განგაში საკრებულოში

*საკრებულოს წევრმა ლევან მეტრეველმა მორიგი პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც განაცხადა, რომ მოიპოვა საიდუმლო დოკუმენტი საქართველოში პირველადი ჯანდაცვის ქსელის განვითარებისთვის გამოყოფილი გრანტის განაწილების თაობაზე.*
*ჯანდაცვის სამინისტროში ამის შესახებ განაცხადეს, რომ უკვე მობეზრდათ ლევან მეტრეველის მსგავსი განცხადებები.*

თამარ დვალი

**“ხელში ჩამივარდა პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროგრამა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი დონორი გახლავთ მსოფლიო ბანკი. იგი ამ პროგრამაში, დაახლოებით, 20 მილიონ ამერიკულ დოლარს დებს კრედიტის სახით; ამას ემატება სხვადასხვა დონორები, როგორიცაა ინგლისის განვითარების სააგენტო, ასევე, სხვა სააგენტოებისგან გამოყოფილი გრანტები. ყველაფერი ეს, საბოლოო ჯამში, 45 მილიონ დოლარს აღწევს. 16 იანვარს დანიშნულია პირველადი ჯანდაცვის პროექტის სამენეჯმენტო კომიტეტის შეკრება. ამ კომიტეტში 20 კაცია გაერთიანებული, რაც არასაკმარისია და მე მათ არ ვენდობი. შეკრებაზე უნდა განისაზღვროს პროგრამის ხუთწლიანი პრიორიტეტები. უახლოეს 18 თვის განმავლობაში კი უნდა განისაზღვროს ის, თუ ვინ განახორციელებს ამ პროექტს - ანუ ვინ დახარჯავს თანხებს. ეს სრულიად დაუშვებელია”,** - განაცხადა მეტრეველმა.

მისი აზრით, იმისთვის, რომ ეს თანხა ვილაცეების ჯიბეში არ მოხვდეს, ეს პროცესი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე უნდა გადაიდოს. მეტრეველის თქმით, მოვა ახალი პრეზიდენტი და გაირკვევა ის გუნდიც, თუ ვინ უნდა განსაზღვროს ქვეყნის სოციალური განვითარების პრიორიტეტები. პირველადი ჯანდაცვის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა მისთვის არ წარმოადგენს ისეთ პრიორიტეტს, რომლის გადადებაც ვერ მოხერხდება. **“ჩემი აქტიურობიდან გამომდინარე, ყველა დონორთან მაქვს კავშირი, მათ იციან ჩემი ელექტრონული ფოსტის მისამართი. ეს, ასევე, იცის ჯანდაცვის სამინისტრომაც. მაგრამ, ამ ინფორმაციამ ჩემამდე სხვა გზებით მოაღწია. პრაქტიკულად, ეს ხდება ფარულად. ყველაზე მეტად რაც მაშფოთებს, ის არის, რომ ამ სიას სათავეში უდგას მინისტრის მოადგილე ვასილ ჭეიშვილი.”**

ჩვენს კითხვაზე - ვითარების გარკვევის მიზნით, ესაუბრა თუ არა იგი ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს - მეტრეველმა გვიპასუხა, რომ ამ საკითხს იმ კატეგორიის პრობლემად მიიჩნევს, რომელიც საკრებულოს წევრსა და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს შორის კერძო საუბრის დონეზე არ უნდა წყდებოდეს. **“ეს ის საკითხია, რომელიც ჩინოვნიკებს შორის არ უნდა წყდებოდეს. ჩემ ხელთ არსებული დოკუმენტი ყველა კითხვაზე სცემს პასუხს. ვიდრე ახალი მთავრობა მოვა, ფაქტია, რომ ვილაცეები რაღაცის მოსწრებას ცდილობენ.”**



ლევან მეტრეველი

ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ მეტრეველის მიერ გაკეთებული მსგავსი აბსურდული განცხადებებით დაიღალნენ: **“არანაირი დოკუმენტის შექმნა არ ხდება. თანხებს განკარგავს მსოფლიო ბანკი და დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო. თანხასთან ჯანდაცვის სამინისტროს არანაირი შეხება არ აქვს. ამ შეკრებაზე დასხდებიან დონორი ორგანიზაციები და შეთანხმდებიან, რათა ერთნაირი პროგრამების დაფინანსება არ მოხდეს. დოკუმენტის დაწერის შემდეგ მისი განხილვა საჯაროდ მოხდება და მას უცხოელი ექსპერტები შეაფასებენ. მისი საბოლოო ვარიანტი, რომელიც ქვეყნისთვის მისაღები იქნება, სამოქმედო დოკუმენტის სახეს მიიღებს. ამას დიდი დრო დასჭირდება. მზადდება დაფინანსების დოკუმენტიც, რომელიც დაიხვეწება და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მთავარ კოორდინატორს პეცინინს გადაეგზავნება. ყველა პროცედურის გავლის შემდეგ ეს დოკუმენტი ინტერნეტში გამოქვეყნდება და ყველა სტრუქტურას გადაეგზავნება“,** - განაცხადა “24 საათთან” საუბრისას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვასილ ჭეიშვილმა. მისი თქმით, თუკი მეტრეველი მსგავს საკითხებში კარგად ვერ ერკვევა, უმჯობესია, ჯერ დაადგინოს, რაშია საქმე და განგაში მერე ატეხოს. რაც შეეხება კომიტეტის წევრების რაოდენობის გაზრდასა და მათ არასანდოობას, ჭეიშვილი აცხადებს, რომ ეს სია მის მიერ არ არის შედგენილი და მისი გაზრდა თუ შემცირება პროგრამის ორგანიზატორების გადასაწყვეტია.

# 68 წელი წყლისა და კვების გარეშე

ინტერნეტით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინდოსტანის ნახევარკუნძულის ბინადარმა 76 წლის პრალად ჯანიმ დიდი თავსატეხი გაუჩინა თანამედროვე მედიცინასა და, საერთოდ, ბიოლოგიურ მეცნიერებებს. ეს ადამიანი 68 წლის განმავლობაში არც არაფერს ჭამს და არც არაფერს სვამს, მაგრამ მშვენივრად გამოიყურება. ბავშვობაში ქალღმერთი გამომეცხადა, დამლოცა და მას შემდეგ გამოქვაბულში ვცხოვრობ, - აცხადებს იოგა. ცხადია, მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა და, ბოლოს მისით მეცნიერებიც დაინტერესდნენ.

სამედიცინო ექსპერიმენტში მონაწილეობაზე არც მოხუცს უთქვამს უარი. იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს და დაკვირვება დაუწყეს. მის პალატაში დაამონტაჟეს ვიდეოკამერები ისე, რომ ყველა მოძრაობა დაფიქსირებულიყო. მასთან დღეში მხოლოდ 100 გრამი წყალი შეჰქონდათ, რომელსაც მოხუცი პირში გამოსავლებად იყენებდა და სპეციალურად მოწყობილ სასწორზე აქცევდა, - აქაოდა, არ გეგონოთ, რამეს ვყლაპავო.



საოცარი მოხუცი.

იგი შხაპსაც კი არ იღებდა, რომ წყლის სმა არ დაებრალებინათ.

ექსპერიმენტის ბოლოს ექიმებმა მოხუცი თავიდან ბოლომდე გამოიკვლიეს და მას სრულიად ჯანმრთელის დიაგნოზი დაუსვეს. როგორც ექიმებმა თქვეს, მოხუცის ორგანიზმში ყოველდღიურად რამდენიმე წვეთი შარდი წარმოიშობა, რაც შარდის ბუშტში გროვდება და ისევ ორგანიზმის მიერ გაიწოვება. მოხუცი ფსიქიკურადაც გამოიკვლიეს, მაგრამ პათოლოგია ვერც ამ მხრივ აღმოუჩინეს. ამის შემდეგ ექიმები სრულ გაუგებრობაში აღმოჩნდნენ და დღემდე ფიქრობენ, თუ რა ფენომენთან აქვთ საქმე.

# კრწანისის რეზიდენციის სიახლოვეს სამალავი აღმოაჩინეს

პირველი გვერდიდან

**"ამ ინფორმაციის დამალვას აღარავითარი აზრი აღარ აქვს, რადგან ყველა საჭირო ოპერატიული ღონისძიება უკვე ჩატარებულია, ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ საზოგადოებამ იცოდეს: 12 იანვარს, დილის 9 საათზე, შინაგანი ჯარის განაწესმა, რომელიც კრწანისის რეზიდენციის დაცვაში იღებს მონაწილეობას, კრწანისის რეზიდენციის ახლოს მდებარე მთაზე აღმოაჩინა სპეციალურად მოწყობილი სამალავი,"** - განაცხადა გუშინ, სპეციალურად ამ ინფორმაციის გასავრცელებლად მოწვეულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.

**„ამ ტიპის სამალავი, შესაძლოა, ორი მიზნისთვის ყოფილიყო გამოყენებული – ან სნაიპერის ჩასასაფრებლად, ან სხვა ადგილიდან წარმოებული საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისთვის,"** - ამგვარი ვარაუდების გამოთქმის საფუძველს ბარამიძეს სამალავის ადგილმდებარეობა და მისი კონსტრუქცია აძლევს: **"იქ არის სათვალთვალო პუნქტი, საიდანაც არსებობს პირდაპირი, გამჭოლი მზერით თვალთვალის საშუალება კრწანისის რეზიდენციის N1 სახლზე, სადაც ამჟამად ცხოვრობს საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი."**

ეჭვს იმის თაობაზე, რომ ეს სამალავი, შესაძლოა, კარგა ხანია არსებობს, შინაგან საქმეთა მინისტრი კატეგორიულად უარყოფს: **"რა თქმა უნდა, ტარდება სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები, თუმცა იმაში, რომ სამალავი ახალი გაკეთებულია, იოტისოდენა ეჭვიც კი არ გვეპარება,"** - ამბობს გიორგი ბარამიძე და ვარაუდობს, რომ ამ სამალავის მოსაწყობად მუშაობა ღამით მიმდინარეობდა, სხვა შემთხვევაში, მას მანამდეც შენიშნავდნენ. მისი თქმით, **"როგორც კი ხილვადობა ოდნავ გაუმჯობესდა, სამალავიც აღმოჩენილ იქნა. აღმოჩენის შემდეგ ჩვენ ვატარებთ ოპერატიულ ღონისძიებებს, რომელშიც ჩართულია გულუას სახელობის სპეცრაზმი. ბუნებრივია, იყო ჩასაფრებაც იმ მიზნით, რომ იქნებ გამოჩენილიყო ვინმე, მაგრამ სამალავისთვის არავის მოუკითხავს."**

მინისტრის თქმით, ოპერატიული ღონისძიებები, სამალავის მომწყობთა გამოვლენის მიზნით, კვლავაც გრძელდება. რაც შეეხება კრწანისის რეზიდენციის დაცვას, ის ძველებურად ხორციელდება; კერძოდ, მაქსიმალურად კონტროლდება როგორც თვით რეზიდენციის, ასევე მისი მიმდებარე ტერიტორია და მთელი გარე პერიმეტრი. ბარამიძის თქმით, დაცვის სამუშაოებს ძირითადად აწარმოებს სახელმწიფო დაცვის სამსახური, თუმცა დამხმარე საქმიანობა შინაგან ჯარს აკისრია. ამასთანავე, დაცვის ღონისძიებებში ჩართულნი



სნაიპერის სამალავი ხეზე მიაგნეს.

არიან გულუას სპეცდანიშნულების რაზმის წევრები.

**"ერთი რამ ცხადია, რომ ახალარჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ ანტისახელმწიფოებრივი ძალების ინტერესი განსაკუთრებით დიდია. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც მათ იციან, რომ ქვეყანაში არსებული სტაბილურობა, მშვიდობა, საქართველოს მომავალი მნიშვნელოვანწილად სწორედ მის ყოფნა-არყოფნასა და ქმედითუნარიანობაზეა დამოკიდებული,"** - აცხადებს ბარამიძე და ახალარჩეული პრეზიდენტის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ითხოვს 25 იანვარს დანიშნული ინაუგურაციის ღონისძიებების შეზღუდვასაც; კერძოდ, ბარამიძის თქმით, ინაუგურაციის ცერემონიალის რეჟისორს ძირითადი აქცენტები გადატანილი აქვს სანახაობრივ მხარეზე და არ ითვალისწინებს სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკას, რომელიც უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურ დაცვას გულისხმობს.

**"ჩვენ, სავარაუდოდ, გარკვეული შეზღუდვების დაწესება მოგვიხდება, გზის გადაკეტვა იქნება ეს, თუ რაიმე სხვა სახის ღონისძიება და დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება ამას გაგებით მოეკიდება. საზოგადოებას ესმის, რომ ხელისუფლება სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, მას სჭირდება დაცვა და ფუნქციონირების ნორმალური პირობებით უზრუნველყოფა,"** - ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრი.

# გახდება თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო აჭარელთათვის სამართლიანობის აღდგენის გარანტი

*აჭარაში კვლავ საგანგებო მდგომარეობაა. თვეზე მეტია, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას სიტყვის თავისუფლების, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების და, საერთოდ, საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული ყველა უფლების გამოყენება ეკრძალება. თუმცა, ამის საშუალება მას ასლან აბაშიძის რეჟიმის დროს არც არასოდეს ჰქონია; უბრალოდ, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით, აბაშიძემ კიდევ ერთხელ მოახდინა საკუთარი ძალის დემონსტრირება. ყოველივე ამის გამო ათობით აჭარელი უკვე ციხეშია გამოკეტილი და არ არის გამორიცხული, რომ მათი რაოდენობა ცოტა ხანში კიდევ უფრო გაიზარდოს. ცენტრალური ხელისუფლება კი ამ ხნის განმავლობაში დუმილს ამჯობინებს.*

თამარ კაციტაძე

როგორც ჩანს, ხელისუფლების ქმედებას აკვირდება საკონსტიტუციო სასამართლოც და თითქმის ერთი თვის წინ შეტანილ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებას აჭიანურებს.

როგროც მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ გასული წლის 19 დეკემბერს "სახალხო მოძრაობა - ჩვენი აჭარას" ერთ-ერთმა ლიდერმა თამაზ დიასამიძემ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის მიერ 23 ნოემბერს, რეგიონის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის უკანონოდ გამოცხადება გაასაჩივრა.

**"საგანგებო მდგომარეობა ასლან აბაშიძემ კანონის სრული იგნორირებით გამოაცხადა. კონსტიტუციის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება აქვს მხოლოდ პრეზიდენტს, ისიც პარლამენტის თანხმობის შემდეგ. აჭარაში "დაკანონებული" დღევანდელი მდგომარეობით კი აჭარელთა უფლება დაირღვა. სწორედ მართლმსაჯულების გზით გვსურს საკუთარი კონსტიტუციური უფლებების დაბრუნება,"** - ამბობს თამაზ დიასამიძე, რომელიც სასარჩელო განცხადებით აჭარის კონსტიტუციის 63-ე მუხლის გაუქმებასაც მოითხოვს.

**"როგორც ცნობილია, აჭარის კონსტიტუციით, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება არ აქვს, ამიტომ აბაშიძემ გამკაცრებულ რეჟიმს საფუძვლად დაუდო აჭარის კონსტიტუციის 63-ე მუხლი, რაც მას უფლებას აძლევს, ექსტრემალურ მდგომარეობაში დაითხოვოს პარლამენტი და, უხეშად რომ ვთქვა, ძალაუფლება ხელში აიღოს. ამ მუხლის გაუქმებას სწორედ იმიტომ მოვითხოვთ, რომ აბაშიძის თვითნებობას ყველანაირი საფუძველი გამოვაცალოთ,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში სარჩელის ავტორმა.



თამაზ დიასამიძე იმედს მაინც არ კარგავს.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას ყველა უკანონოდ მიიჩნევს, დიასამიძეს საკუთარი სიმართლის მტკიცებისთვის ერთთვიანი ვადა არ ეყო იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელი წარმოებაში მიეღო. სარჩელის პირველი განხილვა 8 იანვარს იმის გამო გადაიდო, რომ სასამართლოს სურდა, აჭარიდან გამოეთხოვა ასლან აბაშიძის ახალი განკარგულება საგანგებო მდგომარეობის აღდგენის შესახებ, რომელიც 7 იანვარს, ღამით გამოიცა (როგორც ცნობილია, 23 ნოემბერს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა 3 იანვარს დროებით გაუქმდა, მაგრამ რამდენიმე დღეში ისევ აღდგა). თუმცა, როგორც გუშინ განახლებულ პროცესზე გაირკვა, აჭარის ხელისუფლებას უმაღლესი მართლმსაჯულების ორგანო პასუხის ღირსადაც არ ჩაუთვლია და აღნიშნული დოკუმენტი აქამდე არ გამოუგზავნია. სამაგიეროდ, საგანგებო მდგომარეობის აღდგენის განკარგულება, რომელიც ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა, მოსარჩელე მხარემ სასამართლოს გუშინ თავად წარუდგინა.

**"მიუხედავად იმისა, რომ სარჩელის წარმოებაში მისაღებად ყველანაირი საფუძველი არსებობდა, სასამართლომ პროცესი 24 იანვრისთვის გადადო, რა დროსაც გადაწყვეტილებას ყოველგვარი განხილვის გარეშე გამოაქვეყნებენ. ჩვენ რამდენიმე საათის განმავლობაში გვიხდებოდა იმის მტკიცება, რომ ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ აშკარაა, რომ მართლმსაჯულება პოლიტიკურ ნებას ემორჩილება და გადაწყვეტილების მიღება არ სურს",** - ამბობს დიასამიძე, რომელიც აჭარელი ხალხის უფლების დასაცავად სამართლებრივ ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლებისგანაც მიტოვებული აღმოჩნდა.

**"არადა, ასლან აბაშიძემ აღნიშნული განკარგულებით აშკარად გადაამეტა საკუთარ უფლებამოსილებას, რითაც პრეზიდენტის და პარლამენტის უფლებებიც დაარღვია, მაგრამ ამაზე სარჩელის შეტანას დღევანდელი ხელისუფლება, რატომღაც, არც ფიქრობს. დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილი გაპრეზიდენტებისთანავე გააუქმებს აბაშიძის უკანონო განკარგულებას და საკონტიტუციო სასამართლოს, რომელიც შევარდნაძის ბუტაფორიული ორგანოა, რეალური ფუნქცია დაუბრუნდება,"** – სჯერა თამაზ დიასამიძეს.

# ადვოკატები ჩივიან, მინისტრი - უარყოფს

*"გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გატაცების საქმის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი არ ცხრება. იმ დროს, როცა სამართალდამცველები ირწმუნებიან, რომ ოთხი დღის წინ დაკავებული და უკვე დაპატიმრებული სამი პიროვნების – გენერალ გია ვაშაკიძის (მას გამოძიება გატაცების ორგანიზატორ-დამკვეთად ასახელებს), ელდარ გოგბერაშვილისა და ბენიამინ სანებლიძის დანაშაულებრივი უტყუარი, მყარი მტკიცებულებები გააჩნიათ, გატაცებაში ბრალდებულთა ახლობლები, ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციები სამართალდამცველებს გრანდიოზულად გახსნილ საქმეს უწუნებენ და თავად მათ უყენებენ ბრალდებებს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

სამივე ბრალდებული უკვე ორთაჭალის მეხუთე იზოლატორშია. მათთვის შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა კი - გასაჩივრებული. გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრი მაღლაკელიძის გატაცებაში მონაწილე სხვა, რამდენიმე პიროვნებაზეც ალაპარაკდა, თუმცა მათი კონკრეტული ვინაობა არ დაუსახელებია. **"მიუხედავად ჩემი კოლეგების მტკიცებისა, რომ მათი ვინაობის დასახელება არანაირ პრობლემას არ შექმნის, მე მაინც მათი გვარების დასახელება მიზანშეუწონლად მიმაჩნია,"** - აცხადებს მინისტრი, თუმცა ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე, გატაცებაში ეჭვმიტანილთა სახელები უკვე გაჟღერებული იყო. გია ბარამიძის უწყებიდან გამოსული ინფორმაციით, ესენი არიან - გელა ბარამიძე, ძებნილები - ვასილ ლოსაბერიძე და დავით ქოჩიაშვილი.

თუკი სამართალდამცველებს მართლაც ჰქონდათ ვაშაკიძის, გოგბერაშვილისა და სანებლიძის გატაცებაში მონაწილეობის უტყუარი და დოკუმენტურად დასაბუთებული მტკიცებულებები, როგორც ამას თავად აცხადებენ, რისთვის დასჭირდათ და რისთვის გახდა საჭირო დაკავებულების ჯერ ვაკე-საბურთალოს სასაფლაოზე აყვანა და იქ საქმის გარჩევა, შემდეგ კი ქალაქის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში მათი ცემაწამება? თუკი გენერალ-მაიორს და მის ძმას ცოტა ხნით ადრე იბარებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში და გადატრიალებაში მონაწილეობაზე ელაპარაკებიან, რატომ აღარ არის საუბარი ვაშაკიძის გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობაზე და რატომ შეიცვალა ის სხვა მძიმე დანაშაულით - ადამიანის გატაცებით? რატომ მეორდება იგივე – რატომ კიდებენ დაკავებულებს წინასწარი დაკავების საკნებში ფეხებით და ჩვენების მიცემას ან შედგენილ ოქმზე ხელის მოწერას აიძულებენ? რატომ ექმნებათ დაკავებულთა ადვოკატებს დაცვის უფლების განხორციელების პრობლემა? რატომ არღვევენ სამართალდამცველები კანონს და არ ემორჩილებიან სასამართლოს მიერ გაცემულ სანქციას პატიმართა მეხუთე იზოლატორში გადაყვანასთან დაკავშირებით? რატომ ტოვებენ წინასწარ სამთვიან პატიმრობამისჯილებს სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში, და საერთოდ, რატომ ხდება ახალი ხელისუფლების პირობებში ადამიანების უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა? - ეს იმ კითხვათა მხოლოდ ნაწილია, რომელზე პასუხსაც დაკავებული სამეულის ოჯახის წევრები, ადვოკატები და არასამთავრობოები ითხოვენ. გუშინ ისინი ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის" ოფისში შეიკრიბნენ. შეკრებილებმა დეტალურად აღწერეს ვაშაკიძის, სანებლიძისა და გოგბერაშვილის დაკავება-წამების ფაქტები. არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" წევრებმა, მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებულები ორთაჭალის საპყრობილეში შეყვანისთანავე მოინახულეს და გუშინ მათივე მონათხრობი მათსავე ადვოკატებთან ერთად გაახმაურეს. თუმცა, ამის შესახებ "24 საათი" გუშინდელ ნომერში უკვე წერდა. ისევე, როგორც გამომძიებელი მირიან ნიკოლაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძეც არ უარყოფს, რომ ისინი მართლაც ნაცემები არიან. **"რა თქმა უნდა, დაკავებულები ნაცემები არიან, თუმცა მათ ეს დაზიანებები დაკავებისას სამართალდამცველებთან გაწეული წინააღმდეგობის გამო მიიღეს. დამნაშავეს მოხვდება იმდენი, რამდენიც საჭიროა, რომ მოხვდეს,"** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი, თანაც განმარტავს, რომ წინასწარი დაკავების საკანში დაკავებულის ცემა მართლაც კანონდარღვევაა.

ისინი კი, ვინც ვაშაკიძე და გოგბერაშვილი მეხუთე იზოლატორში ნახა, ამტკიცებენ, რომ ის დაზიანებები, რომლებიც მათ აღენიშნებათ, დაკავებისას მიღებული არ არის. ამის თქმის საფუძველს არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს ნანა კაკაბაძესა და გელა ნიკოლაიშვილს თავად გოგბერაშვილისა და ვაშაკიძის მონაყოლიც უმყარებს.

**"ჩვენთან საუბრისას გოგბერაშვილმა კონკრეტული პიროვნებები დაასახელა, ვინც მისი და მასთან ერთად დაკავებულების ცემაწამებაში იღებდა მონაწილეობას. სხვათა შორის, მათგან ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ახლობელი მომიგზავნა, რომ მისი სახელი და გვარი ხმამაღლა არ დავასახელო,"** - აცხადებს ნანა კაკაბაძე.

როგორც გუშინ გაირკვა, გოგბერაშვილი, ვაშაკიძე და სანებლიძე მეხუთე საპყრობილეში მხოლოდ მას შემდეგ გადაიყვანეს, რაც გოგბერაშვილმა პოლიციის სამმართველოს დროებითი დაკავების საკანში რაღაც ოქმს ხელი მოაწერა. **"როგორც გოგბერაშვილმა აგვიხსნა, ცემაში გვკლავდნენ, მეტი გზა არ მქონდა, მთავარი იყო, იქიდან გამოვეყვანეთ. ამიტომ მოვაწერე ხელი ოქმს, ოღონდ, სხვა გვარით - გოგრიჭიანითო. მისივე მონაყოლის მიხედვით, მისი მწვალებლები ამ ხელმოწერით იმდენად დაინტერესებულები იყვნენ, რომ არც კი შეუმჩნევიათ, რა დაწერა,"** - აცხადებს ნანა კაკაბაძე.

ერთი სიტყვით, გუშინ ადვოკატებმა და არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენლებმა გიორგი ბარამიძის უწყების თანამშრომლები სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის დარღვევაში ამხილეს. "განმარტების, ჩვენების, დასკვნის მიცემის იძულება ისჯება 4-10 წლამდე," - ასეთი გახლავთ კანონის მოთხოვნა.

**"თუ ვინმეს გამტაცებლები ეცოდება, შეუძლია, ტირილით გული სახლში მოიოხოს,"** - ეს განცხადება გიორგი ბარამიძემ მისი სტრუქტურის მიმართ წაყენებული ბრალდებების საპასუხოდ გააკეთა.

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** გუშინ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს წინაშე ის შვიდი დაკავებული პირი წარდგა, რომელთაც 9 იანვარს, ეგრეთ წოდებული კანონიერი ქურდის, ზაზა ამბროლაძის გათავისუფლების მოთხოვნით, თერჯოლის ავტომაგისტრალის გადაკეტვის ორგანიზებაში ედებათ ბრალი. მოსამართლე დურმიშხან ჟორჟოლიანის გადაწყვეტილებით, შვიდივე მათგანს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდათ. სასამართლოს გადაწყვეტილებას დაკავებულთა ადვოკატები ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ მკვლელობა მოხდა წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეთში. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და გადაჭრილი სანადირო თოფებით შეიარაღებული სამი ბოროტმოქმედი, ფულის გამოძალვის მიზნით, თავს დაესხა მურთაზ ჩიხლაძის ოჯახს. წინააღმდეგობის გაწევის გამო, თავდამსხმელებმა მუცლის არეში დაჭრეს შალვა ჩიხლაძე, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. დაჭრილია მისი მეუღლე მაგული ჩიხლაძეც. პოლიციის განმარტებით, ოჯახმა რამდენიმე დღის წინათ ხარი გაყიდა და თავდამსხმელებმა წინასწარ იცოდნენ, რომ მათ ფული ჰქონდათ. მათივე თქმით, არსებობს მონაცემები სავარაუდო თავდამსხმელთა შესახებ. თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათი ვინაობის დადგენისგან პოლიცია თავს იკავებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თერჯოლელი, 47 წლის ეთერ დავითაძე პოლიციელებმა ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის ბრალდებით გუშინწინ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე დააკავეს. წინასწარი გამოძიების მონაცემებით, ეთერ დავითაძის დროებითი საცხოვრებელი ბინიდან, რომელიც თევდორე მღვდლის ქუჩაზევე მდებარეობს, ამოღებულია 10,2 კგ, 21 პაკეტად დაფასოებული ყაყაჩოს თესლი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იამაიკის რესპუბლიკის მოქალაქის, 31 წლის მაიკლ ნელსონისათვის, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, თბილისის სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა მეტროპოლიტენის სადგურ "300 არაგველის" ზედა ვესტიბიულში 20 წლის ირაკლი კვიცია დააკავეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველმა მესაზღვრეებმა სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე „სადახლო", საქართველოს მოქალაქე ირინა ლაზარაშვილი დააკავეს. იგი სომხეთიდან 120 კგ-მდე ხიზილალის არალეგალურად შემოტანას ცდილობდა. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ხიზილალა ამოღებულია და საქმე შემდგომი მოკვლევისთვის საბაჟო დეპარტამენტის კრიმინალურ სამსახურს გადაეცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**წყალტუბო.** წყალტუბოს პოლიციას რამდენიმე ადამიანმა ნებაყოფლობით იარაღი და საბრძოლო მასალები ჩააბარა. ორი ცალი "ფ-1" ტიპის ხელყუმბარა, ერთი ცალი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, ერთი ცალი ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა და "აკაეს"-ის სისტემის ავტომატური იარაღი ადგილობრივ პოლიციაში დღეს მიიტანეს. ჩამბარებელთა განცხადებით, საბრძოლო მასალები სხვადასხვა დროს მიტოვებულ შენობაში იპოვეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის გზატკეცილზე მდებარე ერთ-ერთი სასურსათო მაღაზიის გაქურდვის ბრალდებით, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა 12 იანვარს 21 წლის ვანო შიოშვილი დააკავეს. თბილისელმა შიოშვილმა 2003 წლის 4 დეკემბერს ღამით გივი რევაზიშვილის კუთვნილი სასურსათო მაღაზიიდან სხვადასხვა დასახელების პროდუქტები მოიპარა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ "კანონიერი ქურდი", მეტსახელად "წრიპა" დააკავა. ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში მცხოვრები, დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი ლიდერის, მრავალჯერ ნასამართლევი 31 წლის ალექსანდრე ქურასბედიანის დაკავება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოში არსებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად მოხდა. "წრიპა" დაკავების დროს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და მისგან ამოღებულ იქნა 0,02 გრამი "სუბიტექსი". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაზიანის სამხედრო დასახლებაში მცხოვრებმა, 24 წლის შალვა ბეგიაშვილმა 20 კილოგრამი "ტროტილი", ნატეხების სახით, ნებაყოფლობით ჩააბარა. ბეგიაშვილმა ტროტილი ნებაყოფლობით ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან ერთობლივად გატარებული ღონისძიების შედეგად ჩააბარა. ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სენაკის მცხოვრებმა, 65 წლის ნუნუ ჯაკობიამ პოლიციას ნებაყოფლობით ჩააბარა ყუმბარმტყორცნი ორი ჭურვითა და ოპტიკური სამიზნით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თელავის შს სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინ თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში 2002 წლის თებერვლიდან მამა-შვილ მუხტაროვების მკვლელობისთვის ძებნილი, 40 წლის მუსრადინ ნადი ოღლი დააკავეს. იგი ორი წლის განმავლობაში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იმალებოდა და რამდენიმე დღის წინათ ყარაჯალაში, თავის საცხოვრებელ სახლში გამოჩნდა. მუხტაროვებზე თავდასხმაში, რომლის დროსაც, ოჯახის უფროსის გარდა, მისი 14 წლის ქალიშვილიც დაიღუპა, დაკავებულთან ერთად, ქართველი ქორელაშვილი, ქისტი მაჩალიკაშვილი და ჩეჩენი რამაზან ოღლი მონაწილეობდნენ. ისინი 2003 წლის აპრილში, პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს პოლიციამ ჩაცხრილა. მუსრადინ ნადი ოღლის დღეს თელავიდან თბილისში გადმოიყვანენ. **მედია-ნიუსი**

# ჩვენისთანა კულტურული...

*ერთი ვერ გამიგია ამერიკულ ფილმებში: ყველაზე დაძაბულ მომენტებში მთავარი გმირები რატომღაც საზოგადოებრივ ტუალეტებში იატაკზე გაერთხმებიან და უნიტაზებს ჩახუტებულები მოსთქვამენ, მერე დაწყნარდებიან და კინოც ჰეფიენდით მთავრდება. უნდა ველოდოთ თუ არა ქართული კინემატოგრაფის ჟანრობრივ გამრავალფეროვნებას, ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნია, მაგრამ "საშინელებათა ფილმებს" ჩვენშიც თუ გადაიღებენ, ზუსტად ვიცი, მსგავს სცენებს პავილიონებში არ დადგამენ.*

სოფიო თოდუა

არ მეგონა, ახალი წლის ღამეს ამდენი ხალხი თუ მივიდოდა თბილისის ცენტრში. არც ის მეგონა, მეორე დღეს იქაურობას საგულდაგულოდ თუ დაალაგებდნენ, თანაც დილაუთენია. გამოგიტყდებით, ეს ფაქტი უფრო მეამა, თუმცა არა და არ მავიწყდება თბილისის ვიცემერის გამომეტყველება, რომელმაც პირველ იანვარს აღმოაჩინა, რომ ქალაქი, ფაქტობრივად ტუალეტის გარეშეა დარჩენილი. არადა, არცთუ შორეულ წარსულში საზოგადოებრივ ტუალეტებს თბილისში ისევე ხშირად წააწყდებოდით, როგორც დღეს ტურისტულ სააგენტოებს. ასეთი ტუალეტი, რასაკვირველია, სანიმუშო სისუფთავით არ გამოირჩეოდა, მაგრამ იმდენად გაპარტახებულიც არ იყო, მოცალეობის ჟამს ვიღაცას მრავლისმთქმელი წარწერებითა და გრაფიკული ჩანახატებით ვერ დაემშვენებინა. დღეს დედაქალაქში სულ რამდენიმე საზოგადოებრივი ტუალეტიღა დარჩა, რაც, რასაკვირველია, იმით არ აიხსნება, რომ თბილისელებმა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაძლევა ახალი რეფლექსის გამომუშავებით შეძლეს. უბრალოდ, მათ ადგილას ზოგან რესტორანია გახსნილი, ზოგან - მაღაზია და ტუალეტების ფუნქცია ახლა მიწისქვეშა გადასასვლელებმა, აქა-იქ შემორჩენილმა სკვერებმა და საცხოვრებელი სახლების პირველმა სართულებმა იტვირთეს.

არადა, ჯერ კიდევ 1987 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში, მყარად სჯეროდათ, რომ ყოველ 500 მეტრში ერთი ტუალეტი მაინც უნდა ყოფილიყო. და ასეც იყო. მეტიც, სწორედ იმ დროს, როცა კოოპერატივები საქართველოშიც ფეხს იკიდებს, იქმნება ამ სფეროში სამწუხაროდ ერთადერთი კოოპერატივი "კომფორტი", რომელიც გალიდან თელავამდე საზოგადოებრივი ტუალეტების ქსელს ქმნის და მათი დასავლურ სტანდარტებთან გატოლებას ცდილობს. დასავლური სტანდარტები, ცხადია, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ის კი მოხერხდა, რომ ტუალეტები ფასიანი გახდა და, შესაბამისად, სერვისიც გაუმჯობესდა: ონკანში მოდიოდა ცხელი წყალი, კედელზე ეკიდა სარკე, პირსახოცი ან ფენი ხელის გასაშრობად, იდო იაფასიანი საპონი, იყო ფეხსაცმლის გასაწმენდი სპეციალური კუთხე და ზოგან, თქვენ წარმოიდგინეთ, დეზოდორსაც დაგახვედრებდნენ. მერე კი ყველაფერი ნაცნობი სცენარით განვითარდა: საქართველოში საყოველთაო პრივატიზაცია გამოცხადდა და საზოგადოებრივი ტუალეტებიც ლამის მუქთად ერგოთ მათ დღევანდელ მფლობელებს. ახალი მეპატრონეების ნაწილი ერთი ხანობა ისევ "კომფორტთან" იჭერდნენ საქმეს და ტუალეტებს იჯარით აქირავებდნენ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ქალაქის ცენტრში ფართის გაყიდვა ან ტუალეტის სხვა დაწესებულებად გადაკეთება გაცილებით მომგებიანი იყო. იქ, სადაც ჯერ კიდევ არსებობს საზოგადოებრივი ტუალეტი და გადასახადი 20-დან 30 თეთრამდე მერყეობს, სწორედ ამ ფასის ადეკვატურ მომსახურებას გვთავაზობენ - ანუ იმის საშუალებას გვაძლევენ, რომ ჩვენი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები მაინცდამაინც საჯაროდ არ დავიკმაყოფილოთ. საზოგადოებრივი ტუალეტი რენტაბელური რომ გახდეს, ან მომსახურების ფასი უნდა გაიზარდოს (რაც დღევანდელ პირობებში გამორიცხულია, რადგან უმრავლესობა ამ თანხასაც არ ან ვერ იხდის), ან გადასახადებიდან განთავისუფლდეს. სხვაგვარად ის რამდენიმე მოქმედი ტუალეტიც გაუქმდება და მომდევნო ახალი წელი შეიძლება სწორედ ამ პრობლემის გადაუჭრელობის გამო ველარ აღინიშნოს პომპეზურად.

დავიწყოთ მარჯანიშვილის მოედნით. იქ ტუალეტი ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა ეს ფართი მის გვერდით განთავსებულ საპარიკმახეროს ("ია XXI") ეკუთვნის. ახალ მეპატრონეს ამხელა ტუალეტი არ სჭირდება, ამიტომ ნაწილს საპარიკმახეროს ახმარს, ნაწილს ისევ ტუალეტად ტოვებს. როგორც დამლაგებლები ირწმუნებიან, მათ დღეში 30 ლარის ჩაბარება და საპნის (რომელიც აქ არასდროს არ არის) და ქლორის ყიდვა ევალებათ. საპარიკმახეროს ერთ-ერთი მეპატრონე კი სრული სერიოზულობით მიმტკიცებს, რომ თავის დროზე ტენდერში გაიმარჯვა, კვადრატულ მეტრში 90 დოლარი გადაიხადა და ტუალეტის გაუქმებას თუნდაც იმიტომ არ აპირებს, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი ობიექტი თავადაც სჭირდება. არა, ტუალეტი უდავოდ სჭირდებათ, მაგრამ ამ ფასად საპარიკმახეროშიც შეიძლებოდა ბარე ორი საპირფარეშოს გაკეთება. ოღონდაც ესაა, სილამაზის სალონის კლიენტებს დამატებით 30 თეთრს ველარ გადაახდევინებ, მარჯანიშვილის მეტროსთან კი ბევრი ხალხი ირევა და ვისაც ძალიან უჭირს, აქ შებრძანებასაც არ თაკილობს. პირველი ფასიანი ტუალეტი თბილისში რესპუბლიკის მოედნის ქვეშ გაიხსნა - იქ დღეს რესტორანი "გედის ტბა"



ყოფილი საზოგადოებრივი ტუალეტი ოპერის უკან.



ტუალეტი მარჯანიშვილზე, რომლის ნახევარი სილამაზის სალონს უჭირავს.

გელოდებათ; ოპერის უკან ტუალეტი საერთოდ აღარ არსებობს, სამაგიეროდ უფრო კულტურულ საქმიანობას ეწევიან და იქ განთავსებულ მაღაზია-სალონს ასეთი წარწერა ამშვენებს: "თექა" - ჩაცმის ხელოვნება (ამაზეა ნათქვამი: მე ვარ და ჩემი ნაბადიო). ვაკის პარკში ტუალეტის ადგილას რესტორანია გახსნილი; ყაზბეგის გამზირზე, ინფექციურ საავადმყოფოსთან რაღაცას აშენებენ, უფრო სწორად - ანგრევენ; სანაპიროზე, მშრალი ხიდის სიახლოვეს, სასტუმრო შენდება; ჩიტაძის ქუჩაზე უკვე აშენდა, ოღონდ - საუნა; ძველი ავტოსადგურის საზოგადოებრივი ტუალეტი ბენზინგასამართ სადგურად გადაკეთდა; რესტორან "არაგვის" მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული საპირფარეშო რესტორნის კუთვნილებად იქცა; ამერიკის საელჩოს წინ მოქმედი კლოზეტი კი საფრანგეთის საელჩოს გადაეცა. ასე და ამრიგად, სულ თბილისში ოთხი საზოგადოებრივი ტუალეტიღა დარჩა: მარჯანიშვილის მოედანზე, ფილარმონიასთან მიწისქვეშა გადასასვლელში (შპს "დაგი", რომლის დირექტორიც ჯადული დანელია ხსენებული "კომფორტის" დამაარსებელია), 9 აპრილის სახელობის ბაღში, რომელიც მერიას ეკუთვნის, და ორბელიანის მოედანზე. რაც შეეხება ბაზრობებს, რკინიგზისა და ავტოსადგურებს, იქ ტუალეტებზე დიდი მოთხოვნილებაა და ეს ბიზნესი საკმაოდ მომგებიანია, თუმცა სისუფთავეზე ლაპარაკი აქაც ზედმეტია. არის კიდევ ერთი - "შერეული ტიპის" საპირფარეშოები, მაგალითად "დინამოს სტადიონზე", სადაც საფეხბურთო მატჩების დროს მომსახურება უფასოა, მაგრამ სხვა დღეებში იქ შესვლა 20 თეთრი ღირს. ეს ტუალეტი იმითაც გამოირჩევა სხვებისაგან, რომ აქ სიმბოლოები "ქოლგა" და "ჩიბუხი" სრულიად ზედმეტია. ეს ნიშნავს, რომ ქალებიცა და კაცებიც ერთი ტულაეტით სარგებლობენ და ყველაფერი დამლაგებლის მარიფათზეა დამოკიდებული, თუმცა ეს ქალბატონი აშკარად პროფესიონალია და ქალებისა და კაცების პარტიებს უპრობლემოდ უშვებს რიგრიგობით. რაც შეეხება თბილისის სხვა რაიონებს, ქალაქის ცენტრსა თუ პერიფერიაში, ყველგან ყველაფერი იხსნება, ტუალეტების გარდა. იქნებ, მართლა რაღაც გვჭირს და საზოგადოების დიდი ნაწილი ურემიითაა დაავადებული?

ტუალეტების კულტურის არქონა ჩვენში, როგორც ჩანს, სწორედ კულტურიდან "ამოვარდნას" (ეს ტერმინი მე არ მომიგონებია) გულისხმობს. ვერ ნახავთ ვერც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას, სადაც ეს პრობლემა მეტნაკლებად გადაჭრილია. ასე მაგალითად, დედები შვილებს მარტო ნაყინის ჭამას კი არ უშლიან, სკოლის ტუალეტში შესვლასაც უკრძალევან. სტუდენტები, განსაკუთრებით გოგონები, სიგარეტის მოსაწევადაც აღარ შედიან ტუალეტში. საავადმყოფოებში, მათ შორის კერძო კლინიკებშიც, ტუალეტით სარგებლობა უბრალოდ საშიშია, რომ არაფერი ვთქვათ თეატრებზე ან საკონცერტო სივრცეებზე, სადაც კარგი განწყობა, ალბათ, ბევრ სიდუხჭირეს მოგათმენინებს და ამ პრობლემას შედარებით მსუბუქად დაგანახებს. ჩვენს "ალმა მატერზე" გამახსენდა. იმ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მინდა ვკითხო, ასე ერთგულად რომ იცავდნენ თავიანთ რექტორს და რომლებსაც შმორის სუნი ცოდნის ტაძარში ყნოსვის რეცეპტორებს რატომღაც არ ულიზიანებთ: თქვენ, რა, ყველანი რექტორის ვატერკლოზეტში დაიარებით თუ საერთოდაც არ გიჩნდებათ ფეკალური მასებისაგან განთავისუფლების სურვილი?

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანები ლამაზ ნივთებს არ აფუჭებენ და არც ლამაზ გარემოში უჩნდებათ დაბინძურების, წაბილწვის ან დამტვრევის სურვილი. ეს მოსაზრება, სხვათა შორის, ტუალეტებზეც ისევე ვრცელდება, როგორც ყოველდღიური მოხმარების საგნებზე. არ გჯერათ? მიბრძანდით სასტუმრო "მარიოტის" არასაზოგადოებრივ ტუალეტში და თუ კედელზე უხამს წარწერას ვერ აღმოაჩენთ, ამ მეტამორფოზას მხოლოდ იმით ნუ ახსნით, რომ აქაურ დამლაგებლებს უნივერსიტეტის პროფესორებზე დიდი ხელფასები აქვთ. ვინმე თუ მეტყვის, რომ სიტყვა "ლამაზი" ამ კონტექსტში არ უნდა ვიხმარო, მის გასაგონად მინდა ვთქვა: კულტურა, მათ შორის ქართულიც, მხოლოდ შედევრებით არ განისაზღვრება. ყოფითი პრობლემების კულტურულად მოგვარება შეიძლება უკეთაც წარმოაჩენს საზოგადოების სახეს. თავის დროზე ლუვრი ისე აშენდა, საფრანგეთში საერთოდაც არ იცოდნენ, რას ნიშნავდა კანალიზაცია. მაგრამ როცა ევროპამ აღმოსავლეთი ბოლოს და ბოლოს აითვისა, აღმოსავლური კულტურა მხოლოდ ხელოვნების ნიმუშებით არ შეუმეცნებია. სხვათა შორის, სიტყვა "ტუალეტი" ფრანგული სიტყვაა და ქართული ჩეჩმა თუ ფეხისადგილი აშკარად სხვა ასოციაციებს აღძრავს. ერთი ბერძენი მწერალი წერდა: რაც უკეთ მოუვლი მიწის ნაკვეთს, მით უფრო მოგეწონებაო. სწორედ ეს "მოწონებაა" აუცილებელი, რადგან რაღაც თუ არ მოგწონს, მათ შორის ტუალეტიც, იქ კულტურაზე ლაპარაკი არ ღირს.

24 საათი

წიგნები



შაბათს 10-23 იანვრის ნომერში წაიკითხავთ

ზურაბ კიკნაძის წერილს "მწერალთა კავშირი. როგორი დაარსდა, როგორი გახდა, როგორი უნდა იყოს?"

შერვუდ ანდერსონის მოთხრობას
დათო მაღრაძისა და მაია სარიშვილის ლექსებს

რეცენზიებს გოდერძი ჩოხელის, ერლომ ახვლედიანის, აკაკი ხინთიბიძის, ასტრიდ ლინდგრენის, ენტონი ბერჯესის, მილან კუნდერას წიგნებზე

ინტერვიუს ლევან ბერძენიშვილთან

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# რა აღაფრთოვანებთ ამერიკელებს

## ინტერვიუ აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან ლინ პასკოსთან

პირველი გვერდიდან

მოვლენების ამგვარ განვითარებას ნამდვილად არ ველოდით. ველოდით, რომ ხელისუფლებაში ცვლილებები წელიწადნახევრის შემდეგ მოხდებოდა, მაგრამ ყველაფერი გაცილებით ადრე მოხდა.

ახლა მთავარია, რეალურად განხორციელდეს მოთხოვნები, რომელსაც მოსახლეობა აყენებს და რის გამოც ეს ცვლილებები უნდოდა. ეს არის ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარება, რეფორმების დაჩქარება, ეკონომიკური განვითარება. ახალი ხელისუფლება ამჟღავნებს მზადყოფნასა და ენთუზიაზმს, რომ ამ ნაბიჯების გადადგმას დაიწყებს. ამ თვალსაზრისით, ის საკმაოდ იმედის მომცემია. ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ იმ გზებზე, როგორ დავეხმაროთ ამ პროცესის განვითარებას.

**- სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დასასწრებად ჩამოდის. მიანიშნებს თუ არა ეს იმაზე, რომ ვაშინგტონში საქართველოს მიმართ საკმაოდ დიდი ინტერესია?**

- ვაშინგტონში დიდი ინტერესით და ენთუზიაზმით აკვირდებიან იმ პროცესებს, რაც საქართველოში მიმდინარეობს და იმას, რის გაკეთებასაც ადამიანები აქ ცდილობენ.

ჩვენ ამ ხნის განმავლობაში გვაქვს შეხვედრები იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური რეფორმები დაიწყოს.

სახელმწიფო მდივნის ვიზიტი ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველო სწორ გზას ადგას და სანამ ეს ასეა, ვაშინგტონი მას მხარს დაუჭერს და გაამხნევებს.

**- ვაშინგტონში ყოფნის დროს საკმაოდ ბევრ ადამიანს შევხვდი და ვიცი, რომ ამერიკის ოფიციალური პირები მაინცდამაინც აღფრთოვანებულები არ იყვნენ სააკაშვილით. მისი პოლიტიკური ფიგურა ყოველთვის გარკვეულ სკეპტიციზმს ბადებდა ამერიკელებში. ახლა რა შეიცვალა, როგორ აღიქვამენ მას უკვე დღეს, როგორც საქართველოს პრეზიდენტს?**

- ეს ჩემგან როდისმე მოგისმენიათ? ეს არ ყოფილა ჩემი მოსაზრება.

**- თქვენგან არა. ამგვარი შეფასებები, ბუნებრივია, ოფიციალური საუბრის დროს არავის გაუკეთებია, მით უმეტეს, დიპლომატებს.**

- მიხეილ სააკაშვილს უკვე დიდი ხანია, ვიცნობ. ის აშკარად ძალიან ჭკვიანი, შემოქმედი ადამიანია. ყველა პოლიტიკური ლიდერი ჭკვიანი და შემოქმედი უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში ხალხი არ დაუჯერებს და არ გაჰყვება მას.

ნოემბრის შემდეგ მან ყველაზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას კარგად ჩამოყალიბებული იდეები და ხედვა აქვს და კარგად იცის, რა უნდა. მას ძალიან კარგი მონაცემები აქვს და ვუსურვებ წარმატებებს, რადგან მისი წარმატებები პირდაპირ არის დაკავშირებული ქართველი ხალხის წარმატებასთან.

**- ვაშინგტონმა დიდი მზადყოფნა გამოხატა, რათა დაეხმაროს საქართველოს. ამ დახმარების საპასუხოდ რა ნაბიჯების გადადგმას ელოდებით ახალი ხელისუფლებისაგან?**

- ჩვენ ვეხმარებით საქართველოს, რადგან გვინდა, რომ ხელისუფლების მიერ არჩეულმა კურსმა ქვეყანა ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გზით წაიყვანოს, რათა საქართველო ჩამოყალიბდეს, როგორც განვითარებული, აყვავებული ქვეყანა, რომელიც ორიენტირებულია მომავალზე და არა წარსულზე.

რევოლუციის შემდეგ დიდი დელეგაცია ჩამოვიდა ვაშინგტონიდან, რომლის წევრი მეც ვიყავი. ჩვენი მიზანი იყო, ახალ ხელისუფლებასთან ერთად განგვეხილა, თუ როგორ შეგვეცვალა დახმარება, რომ პროცესის განვითარებისთვის შეგვეწყო ხელი. ეს დახმარება კი საკმაოდ დიდი და არსებითი იქნება.

ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე, თუ რა ტიპის დახმარება იყო ამ მომენტში საჭირო და რა უნდა გაგვეკეთებინა.

ყველაზე აქტუალური პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ გადაჭრას ითხოვდა, სახელფასო და საპენსიო დავალიანებების დაფარვა იყო. ამიტომ ჩვენი პროგრამის დიდი ნაწილი ამ დავალიანების დაფარვას მოხმარდება.

**- მაგრამ სახელფასო და საპენსიო დავალიანებებს ამერიკის მთავრობა მუდმივად ვერ დაფარავს.**

- ორი რამ ახლავე უნდა ვთქვათ. მთავრობამ ამ სფეროში მოკლევადიანი დახმარება გვთხოვა და შეგვპირდა, რომ გადასახადების აკრეფის გზით გაზრდის შემოსავლებს და ეკონომიკურ რეფორმებს გაატარებს. ასეთი დახმარება აღარ გაგრძელდება. სამხედროების ხელფასების გადასახდელად რესურსების მოძიება ახლაც ძალიან გაჭირდა, რადგან ეს ჩვენთვის ძალიან უჩვეულო რამ იყო. ეს რაც შეეხება მოკლევადიან დახმარებას. გრძელვადიან პერსპექტივაში მთავრობამ რჩევებით გვთხოვა დახმარება. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აღდგეს ურთიერთობა სავალუტო ფონდთან, გატარდეს ანტიკორუფციული ღონისძიებები და სხვა რეფორმები. ჩვენ, რასაკვირველია, დავეხმარებით მათ ამ სფეროში.

თუ გახსოვთ, დახმარებების რევიზია გასული წლის სექტემბერში მოხდა და ტომ ადამსმა საკმაოდ ღიად განაცხადა, რომ ის ფინანსური დახმარების შედეგებით იმედგაცრუებული იყო.

ახლა აღარ გვინდა, რომ ეს განმეორდეს და გვინდა, რომ ჩვენ მიერ გაწეული დახმარება ეფექტურად იყოს გამოყენებული.

**- ჩვენ, ჯერჯერობით, მხოლოდ ზოგადი განცხადებები გვესმის, რომელსაც ხელისუფლება აკეთებს, მაგრამ ვერ ვხედავთ იმ კონკრეტულ ეკონომიკურ გეგმას თუ პროგრამას, რომლის განხორციელებასაც ისინი აპირებენ. თქვენ ფიქრობთ, რომ მათ ამგვარი პროგრამა აქვთ?**

- ჟვანიასთან და ნოღაიდელთან კონკრეტულ პროგრამაზე ძალიან საინტერესო საუბარი გვქონდა. პრეზიდენტმაც ილაპარაკა ამ საკითხებზე. ვფიქრობ, რომ მათ ძალიან კონკრეტული გეგმა აქვთ იმისა, თუ რა უნდა გააკეთონ უახლოეს მომავალში.

პირადად მე მგონია და ამას ვიტყვი ვაშინგტონში, რომ ახალი ხელისუფლება ახორციელებს იმას, რასაც ერთი თვის წინ შეგვპირდა. ასე რომ, ჩემი შთაბეჭდილებით, ახალმა ხელისუფლებამ იცის, რაც უნდა გააკეთოს და კონკრეტული პროგრამაც გააჩნია.

**- ფიქრობთ თუ არა, რომ უფრო მკაცრები და მომთხოვნები იქნებით ახალი მთავრობის მიმართ. არსებობდა მოსაზრება, რომ წლების განმავლობაში ვაშინგტონი საკმაოდ რბილი იყო საქართველოს ძველი ხელისუფლების მიმართ და, მიუხედავად პირობებისა და რეკომენდაციების შეუსრულებლობისა, დახმარებას მაინც უგრძელებდა.**

- სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენი დახმარება არასოდეს ყოფილა უპირობო და ის ყოველთვის დამოკიდებული იყო იმ მოთხოვნების შესრულებაზე, რომელსაც ჩვენ ვუყენებდით მთავრობას. თუმცა, ის დახმარება, რომელსაც მთავრობა იღებდა არა მარტო ამერიკიდან, არამედ ევროპიდანაც, არ იყო შედეგიანი და ამით ყველა დაიღალა.

თქვენ მართალი ხართ, ბიუჯეტის დაფინანსებას არ გავაგრძელებთ და ჩვენ დავაკვირდებით, რამდენად ნაყოფიერია ეს დახმარება და რამდენად ეხმარება ის ქვეყანას წინსვლაში.

**- თუ დახმარება შედეგიანი იქნება, ამერიკის მთავრობა მას გააგრძელებს, თუ არა, მაშინ რა იქნება?**

- მთავარია, საქართველომ თვითონ გადადგას ის ნაბიჯები, რომელიც მას განვითარებაში დაეხმარება. ამ ხნის განმავლობაში ღიად ვაცხადებ, რომ საქართველოში შემოსული დახმარებების ნაწილი იქნება ამერიკული, უფრო დიდ ნაწილს ის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიიღებს, მაგრამ ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინექციას ქვეყანა უცხოური ინვესტიციებიდან მიიღებს. ამიტომ, ამ ეტაპზე მთავარია, რომ ამ ინვესტიციების მოზიდვა მოხდეს. მთელ მსოფლიოში ეს ფულის ყველაზე რეალური წყაროა.

**- მაგრამ, გაქვთ თუ არა კონკრეტული რეკომენდაციები, რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, რომ ბიზნეს-გარემო ინვესტორებისთვის მიმზიდველი გახადოს?**

- პირველ რიგში, ეს კორუფციასთან ბრძოლა და კანონის უზენაესობაა. ეს არის ის აუცილებელი ნაბიჯები, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიდგას, რათა ინვესტორები დააინტერესო და მოიზიდო.

მსოფლიოს ბაზარზე ორ მომენტს იღებენ მხედველობაში. ფული - ძალაუფლებაა და ამიტომ არ ღირს გარისკვა, თუ რისკი ძალიან მაღალია. გარდა ამისა, ის მიდის იქ, სადაც გარემო ძალიან მეგობრულია.

თუ არსებობს ბევრი შეზღუდვები, თუ მექრთამეობა მაღალია, არავინ მოვა.

შენ ისეთი გარემო უნდა შექმნა ქვეყანაში, რომ მისი კონკურენტუნარიანობა გაიზარდოს მსოფლიო ბაზარზე. ის ღია უნდა იყოს როგორც ამერიკული და ევროპული, ისე რუსული კაპიტალისათვის.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, როგორ უნდა გახადო საინვესტიციო გარემო მიმზიდველი, მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი გარემო შექმნა, კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი.

**- გაქვთ რამე კონკრეტული პროგრამები სამოქალაქო საზოგადოების განსავითარებლად?**

- სპეციფიური პროგრამების შესახებ ინფორმაცია საელჩოს უფრო აქვს.

მაგრამ მინდა ვთქვა, რომ მართალია, თავისუფალმა მედიამ ძალიან დიდი როლი შეასრულა, მაგრამ მთავარი ძალა მაინც ხალხი იყო, რომელმაც ზუსტად იცოდა, რა უნდოდა. ამ ხალხმა, ენთუზიაზმითა და ენერგიით სავსემ, შეცვალა ყველაფერი. ეს არის, რაც ასე აღაფრთოვანებთ ამერიკელებს, რადგან ქვეყანაში პროცესების მამოძრავებელი ხალხია. მან თავისი ნება უნდა გამოხატოს და ბრმად არ უნდა იყოს მიბმული ხელისუფლებაზე.

**- რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას. ნინო ბურჯანაძემ თხოვნით მოგმართათ, რომ ამერიკა დაეხმაროს საქართველოს რუსეთის ბაზების საქართველოდან გაყვანაში. როგორ ფიქრობთ, დაეხმარება ამერიკა საქართველოს ამ კანონიერი მოთხოვნის შესრულებაში?**

- ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობები ჩამოყალიბდეს. ამიტომ, აუცილებელია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის გაგრძელდეს დიალოგი. სტაბილურობა და კეთილდღეობა საქართველოში - ეს რუსეთის ინტერესებში უნდა შედიოდეს, იგივე ჩეჩნეთის საზღვრის გამო.

რაც შეეხება ბაზებს, რუსეთმა აიღო მათი გაყვანის ვალდებულება რამდენიმე წლის წინ და ეს ვალდებულება უნდა შეასრულოს. ამას ჩვენ დაჟინებით ვითხოვთ.

**- მაგრამ რუსეთის პოლიტიკა, როგორც წესი, რაციონალური მსჯელობის მიღმა დგას. ხედავთ თუ არა იმის ნიშნებს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა უკეთესი იქნება, ვიდრე ეს შევარდნაძის მმართველობის დროს იყო?**

- დიპლომატები, როგორც წესი, არ წინასწარმეტყველებენ მომავალს. ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალიზების გზით წავიდეს. ველაპარაკე ამ საკითხებზე ახალი ხელისუფლების ლიდერებს და ისინიც სერიოზულად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ მიაღწიონ პოზიტიურ ძვრებს ამ ურთიერთობებში. ბოლო ინფორმაციით, რომელიც მე მქონდა, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კოლინ პაუელი მოსკოვში ჩასვლას აპირებს, სადაც ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველო იქნება.

**- რა არის ამ ეტაპზე ყველაზე დიდი გამოწვევები, რომელთა წინაშე ახალი ხელისუფლება აღმოჩნდა და როგორ ფიქრობთ, შეუძლიათ თუ არა ახალ ლიდერებს ამ გამოწვევებთან გამკლავება?**

- საქართველოს მოსახლეობამ აჩვენა, რომ მას უნდა, განვითარებულ, ცივილურ საზოგადოებად ჩამოყალიბდეს და უზარმაზარი პასუხისმგებლობა დააკისრა იმ ლიდერებს, რომლებიც დღეს ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდნენ. ამ პასუხისმგებლობის ზიდვა კი ძალიან ძნელია.

ბუნებრივია, ვერავინ შეძლებს, ერთ დღეში სიტუაცია რადიკალურად შეცვალოს და ყველა ადამიანის სურვილი და მოთხოვნა დააკმაყოფილოს. მაგრამ აუცილებელია, რომ ქვეყანაში შეუქცევადი პროგრესი იგრძნობოდეს.

**- აფხაზეთის თემა დღეს ყველაზე მთავარი პრობლემაა. როგორ გგონიათ, შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას ამ პრობლემის მოგვარება საერთაშორისო დახმარების გარეშე?**

- ამ პროცესისათვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შიდა პოლიტიკაში მომხდარ ძვრებს. როგორც კი დააღწევთ თავს კორუფციას, კონტრაბანდას და სწორი და თანამიმდევრული პოლიტიკის გატარებას დაიწყებთ, ეს მაშინვე ყველასთან შეცვლის ურთიერთობებს. საქართველო უფრო მიმზიდველი გახდება აფხაზეთისთვისაც.

ამერიკა, საქართველოს სხვა მეგობარ ქვეყნებთან ერთად, რა თქმა უნდა, ამ პროცესში აქტიურად იქნება ჩართული, როგორც ეს აქამდე იყო. მაგრამ მთავარი მაინც ქვეყნის შიგნით განვითარებული პოზიტიური ძვრებია.

**- აფხაზეთის პრობლემის დადებითად გადაწყვეტისთვის რა უფრო მნიშვნელოვანია – ქვეყნის შიდა პოლიტიკაში მომხდარი დადებითი ცვლილებები თუ რუსეთის ფაქტორი?**

- ყველაფერი მთავარია. იმისათვის, რომ პროცესი წარმატებით განვითარდეს, აუცილებელია, რომ ყველა საჭირო ინგრედიენტი არსებობდეს. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია რუსულ-ქართულ ურთიერთობებთან, საქართველოს შიდა ვითარებასთან, საერთაშორისო მხარდაჭერასთან.

**- რამდენად აპირებთ, მიადევნოთ თვალყური და მონიტორინგი გაუწიოთ ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს?**

- პირველ რიგში, ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია, რისი გაკეთება უნდათ. საქართველოს მთავრობა ქართველი ხალხის წინაშეა პასუხისმგებელი და არა ამერიკელების წინაშე. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დავეხმაროთ ახალ ხელისუფლებას, მათ შორის - სასარგებლო რჩევებით. მაგრამ ყველა გადაწყვეტილება, რომელიც აქ იქნება მიღებული, იქნება ქართველი ხალხის და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ლინ პასკო.

მთავარი ძალა მაინც ხალხი იყო, რომელმაც ზუსტად იცოდა, რა უნდოდა. ამ ხალხმა, ენთუზიაზმითა და ენერგიით სავსემ, შეცვალა ყველაფერი.

საქართველოს მოსახლეობას ცვლილებები სჭირდებოდა და უნდოდა, რომ ქვეყნის განვითარების გზა სხვა მიმართულებით წაეყვანა.

საქართველო სწორ გზას ადგას და სანამ ეს ასეა, ვაშინგტონი მას მხარს დაუჭერს და გაამხნევებს.

ჩემი შთაბეჭდილებით, ახალმა ხელისუფლებამ იცის, რაც უნდა გააკეთოს და კონკრეტული პროგრამაც გააჩნია.



### თეატრი

**თეატრალური სარდაფი**
ჰენრიკ იბსენი
"ნორა, ანუ თოჯინების სახლი"
რეჟისორი: გულნარა ბუთხუზია
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ჟან კოკტო
"თეთრი ოთახი"
რეჟისორი: ზ. ქავთარაძე
დას: 19:00 სთ.

### კინო

**რუსთაველი**
"ნემოს ძიებაში"
(ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 16:00; 18:00 სთ.

**ამირანი**
"ფრედი ჯეისონის წინააღმდეგ"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

"რეალური სიყვარული"
დას: 15:00; 17:00 სთ.
ფასი: 5-8 ლარი

### ცირკი

საახალწლო საცირკო პროგრამა
დას: 12:00; 15:00 სთ.

### გამოფენა

**"ქარვასლა"**
გეგა ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
III სართული

# ერთფეროვნებიდან ამოვარდნილი

## მედეა კეიდიას კოსმიური ცნობიერების სამყაროში

ვერა ნეფარიძე

*როდესაც მედეა კეიდია ქართულ მხატვრობაში გამოჩნდა, მის შემოქმედებას ბევრი პროფესიონალი მხატვარი და არა მარტო მხატვარი გამოეხმაურა. ამას გარკვეული მიზეზები ჰქონდა. ძირითადი კი ახალი მხატვრის მეტად უცნაური გზით – (მედეა კეიდიამ ხატვა ხილვების შემდეგ დაიწყო) მოვლინებისადმი ინტერესი იყო. ზოგიერთი ყურადღებას თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედებაში ფერთა ჰარმონიაზე ამახვილებდა; ზოგიერთი ამბობდა, რომ მედეა კეიდიას შემოქმედება ამოუხსნელი სასწაულია; "მედეას შემოქმედება ესაა კოსმიური ცნობიერების სამყარო", - ქართველი ხელოვნებათმცოდნის ეს შეფასება იმიტომ მოვიყვანეთ, რომ როგორც თავად მედეა კეიდია ამბობს, ასეთი სამყაროს არსებობამ დააინტერესა ფლორენციის ბიენალეს კომიტეტი, რომელთაც ქართველ მხატვარს ერთ-ერთი ქართულენოვანი ინტერნეტ-საიტის დახმარებით მიაგნეს.*

"ჩემი დაკვირვების შედეგად მივხვდი, რომ ბიენალეს მთავარი კრიტერიუმი მხატვრის გახსნილობა და ახალი ცნობიერებაა. შეიძლება უფრო კარგი ტექნიკისა და კლასიკური გაგებით, კარგი მხატვარი აღმოაჩინენს ინტერნეტში, მაგრამ, ალბათ, ჩემი ნახატები სწორედ ამ კრიტერიუმით შეარჩიეს. ამ საუკუნეში ძვირფასია, რამდენადაა ცნობიერება გახსნილი. ალბათ, ახალი ცნობიერება დაიჭირეს ჩემს ნახატებში", - ამბობს ფლორენციის ბიენალედან დაბრუნებული მხატვარი.



*მედეა კეიდია ფლორენციის ბიენალეზე.*

ბიენალე, რომელსაც რვა წლის ისტორია აქვს, გაეროს პროგრამით – "დიალოგი ცივილიზაციათა შორის" ორ წელიწადში ერთხელ იმართება. მასში სხვადასხვა ქვეყნის 800-მდე მხატვარი მონაწილეობს, ხოლო შარშან (ბიენალე 4-16 დეკემბერს მიმდინარეობდა) ამ ღონისძიებას პრინცი ჩარლზი პატრონაჟობდა. როგორც თავად მხატვარი ამბობს, ფლორენციის ბიენალე, ყველაზე მასშტაბური ღონისძიება იყო მათ შორის, სადაც კი აქამდე მონაწილეობა მიუღია.

"ბიენალე იმდენად მასშტაბური იყო, წარმოადგენდა მთელ მსოფლიოში სახვითი ხელოვნების მაჯისცემას. ჩემთვის, როგორც მხატვრისთვის მეტად საინტერესო იყო, შემემჩნია, რომელ ქვეყანაში რაზე კეთდება აქცენტი მხატვრობაში. ორი კვირის განმავლობაში სულ ამ ნახატებს ვათვალიერებდი და იმდენად ბევრი იყო ეს შთაბეჭდილება, ყოველ ნახვაზე მეჩვენებოდა, რომ პირველად ვნახულობდი. ორი კვირა ვერ აუვედით იმის თვალიერებას. ფაქტობრივად, ექსპოზიციებიდან ჩანდა, რომელი ერისა და ქვეყნის სულიერი მდგომარეობა რა კონდიციაზეა. ამ კონტექსტში ამ გამოფენამ აჩვენა სრული გაშიშვლება - არც ბოროტს დაუფარავს თავისი სახე და არც კეთილს და, რა თქმა უნდა, მათ შორის იყო მთელი სპექტრი, ბოროტამდე და კეთილამდე მისასვლელი. ბიენალეს კატალოგს რომ ვათვალიერებ, თითქოს მსოფლიოს პულსაციას ვგრძნობ. დიპლომიც და კატალოგიც, რომელიც, როგორც ამბობენ, ერთგვარი მწვანე ბარათია მხატვრებისთვის, ცოტაა. ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს დამთვალიერებლების ცოცხალი ემოცია; მოდიოდნენ, ჩერდებოდნენ, შთაბეჭდილებების წიგნს ავსებდნენ, მესაუბრებოდნენ საქართველოზე და რევოლუციის შედეგების შესახებ ჩვენი დამოკიდებულებით ინტერესდებოდნენ. მოხერხებულობაც გამოვიჩინე. ვიფიქრე, ამდენი ხალხის ემოციას როგორ გავიგებ-მეთქი და ერთმანეთისგან განსხვავებული ნამუშევრები წავიღე - ნატურმორტი, პორტრეტი, აბსტრაქცია მძიმე ჟანრის", - როგორც ჩანს, მხატვრის ხერხმა გაჭრა. დამთვალიერებელთა კეთილი განწყობის გარდა, მედეა კეიდიამ ფლორენციიდან შეთავაზებებიც მიიღო. მათგან ერთ-ერთზე, დროის სიმცირის გამო, უარი თქვა. დანარჩენზე კი წინასწარ საუბარი არ სურს. თუმცა, ჩანაფიქრის ნაწილს გვიზიარებს და ამბობს, რომ ზაფხულში გერმანიაში გამოფენას მოაწყობს.

მედეა კეიდიას პირველი პერსონალური გამოფენა ისტორიის მუზეუმში ("ქარვასლა") მოეწყო. შემდეგ იყო ჯგუფური გამოფენა (ასოციაცია "ფიროსმანის" ორგანიზებული), სადაც მხატვრის პირველი ნამუშევარი – "გაზაფხული" გაიყიდა. 1995-2003 წლებში კი მედეა კეიდიას ნამუშევრები გერმანიაში, იტალიაში (მწერალ გაბრიელა ენცოსთან), ინგლისში, სანკტ-პეტერბურგსა და ინდოეთში დაბინავდა. სამხატვრო ასპარეზზე პირველი გამოსვლა კი კომპანია "ანიმას" უკავშირდება. ამ ორგანიზაციამ თვითნასწავლ მხატვართა ჯგუფურ გამოფენაში მედეა კეიდიას ნამუშევრები პირველად წარუდგინა ფართო საზოგადოებას. მას შემდეგ, დროც საკმაოდ გავიდა, მხატვარმაც ბევრი იმუშავა და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სრულიად ახალი ფორმის ნამუშევრები შექმნა. როდის იხილავს მათ ქართველი დამთვალიერებელი, ეს უკვე გალერისტებისა და, ალბათ, სპონსორების აქტივობაზეც იქნება დამოკიდებული.

# ერმიტაჟი ძვირდება

ერმიტაჟის მნახველებს მინიმალურ ფასად კულტურასთან ზიარების საშუალება აღარ ექნებათ. მესამე დღეა, რაც, ერმიტაჟში რუსეთის მოქალაქეთათვის ფასებმა მოიმატა. ახალი ღირებულებით ერმიტაჟში სტუმრობა 15 რუბლის ნაცვლად, 100 რუბლი გახდა.

თუ არ ჩავთვლით კრემლის მუზეუმებს, მისი შეშლილი ძვირფასეულობითა და ასევე შეშლილი ფასების პოლიტიკით, ერმიტაჟი რუსული ფასეულობების ყველაზე ძვირი საცავია. ცნობისათვის: ტრეტიაკოვის გალერეაში რუსეთის მოქალაქეთათვის ბილეთი 25, რუსულ მუზეუმში კი – 50 რუბლი ღირს.

ერმიტაჟის ღირსების სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო სამი წელია, რუსეთის ფედერაციის ზრდასრული მოქალაქეებისათვის ბილეთის ფასი უცვლელად 15 რუბლი ღირდა. ქვეყნის მთავარი მუზეუმის მხრიდან (მას კონკურენტები არ ჰყავს: "ტრეტიაკოვკა" და რუსული მუზეუმი, სპეციალიზირდება სამამულო ხელოვნებით, შესაბამისად, კოლექციის ფასეულობის შედარების გარეშეც, პუშკინის მუზეუმისგან სრულიად განსხვავებული ადგილი უკავიათ – ამ უკანასკნელში, იმის მიუხედავად, რომ იმპრესიონისტების ნამუშევრებია დაცული, ის ერმიტაჟთან პაექრობას არ ცდილობს). ეს ჭეშმარიტად ღირსეულად გამოიყურებოდა. ამავე დროს სტუდენტები, პენსიონრები, ინვალიდები და რუსეთის ფედერაციის სხვა კატეგორიის მოქალაქეები ერმიტაჟს უფასოდ (ეს პუნქტი უცვლელი დარჩა) სტუმრობდნენ.

ახლა მუზეუმში შესვლის საფასური ზრდასრულთათვის 100 რუბლს შეადგენს, სტუდენტებისა და პენსიონრებისთვის ძველებურად უფასოა. ამ სიახლესთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ ყოველი თვის პირველ ხუთშაბათს შესვლა ყველასათვის უფასო იქნება. ერმიტაჟში უფასო დასწრების ტრადიცია, მუზეუმის დღეს (18 მაისს), პრაქტიკულად რუსეთის ყველა დაწესებულებებისთვის "პროფილის მიხედვით", კვლავაც ძალაში რჩება.

ერმიტაჟი ღირებულების 6-ჯერ გაზრდას, მუზეუმის ბიუჯეტის გაზრდის აუცილებლობით ხსნის. თუმცა არაპროფესიონალთა თავშეკავებული შეხედულების მიხედვით მსგავსი ნაბიჯი ძლივსძლივობით ამართლებს საკუთარ თავს.

კითხვაზე, საიდან მოაქვს მუზეუმს ფული, პირველი პასუხი იყო, - "გაყიდული ბილეთებიდან", რაც ნაკლებად სარწმუნოა. რუსეთის მსხვილი მუზეუმები, რომლებიც ფედერაციის დაქვემდებარებაში იმყოფებიან, დიდძალ შემოსავალს ღებულობენ. 1). გამოფენის ექსპორტის დროს (ერმიტაჟი აქტიურად ეწევა საექსპორტო მოღვაწეობას), 2). სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 3). სპონსორებიდან ("ერმიტაჟის მეგობართა საზოგადოება" და სხვა), 4). უცხოელ დამთვალიერებლებზე გაყიდული ბილეთების ფასი (რუსული მუზეუმების საშუალო ტარიფი 10 ევროს შეადგენს, ერმიტაჟის – 350, ტრეტიაკოვის – 250 რუბლი), რაც საშუალოდ ევროპის მუზეუმებს ემთხვევა. გამორჩევის პრაქტიკა "შინაურის" და "არა შინაურის", რასაკვირველია, მეტად არასასიამოვნოა, მაგრამ უკვე რამდენიმე წელიწადია უცვლელია და ამავე დროს, მომგებიანი).

რაც შეეხება მუზეუმის სტუმრებს: ანუ ბავშვები, სტუდენტები და პენსიონრები არიან ისინი, ვინც ახალი თუ ძველი წესების მიხედვით, მუზეუმს უფასოდ სტუმრობენ. მასიურ დამთვალიერებლებში საშუალო ასაკის წარმომადგენლებს, ვინც ბავშვობისა და ყმაწვილობის ასაკს გადაცილებულნი არიან და პენსიის დანიშვნამდე კი ბევრი აკლიათ, ობიექტურად, რომ ვიმსჯელოთ ბილეთის საფასურის გაზრდის შემთხვევაშიც კი, არ შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაზარდონ ერმიტაჟის შემოსავალი. ამის საპირისპიროდ, შესაძლოა, ფასის ზრდამ, პროპორციულად, საშუალო ასაკის შემცირებაზე იმოქმედოს.

თუმცა, სამაგიეროდ მნიშვნელოვნად გაიზრდება მსურველთა რიცხვი, რომლებიც კულტურასთან ზიარებას (უფასოდ) თვის პირველ ხუთშაბათს გადაწყვეტენ. რაც მხოლოდ და მხოლოდ უხერხულობას წარმოშობს ერმიტაჟის არც ისე ფართო დარბაზებში, მუზეუმს კი მოგებას ნაკლებად მოუტანს. მაყურებელთა დღეები შემცირდება, გასავალი კი იგივე დარჩება (მუზეუმი ხომ კინო-თეატრი არ არის, ღამე დახურო და სახლში წახვიდე, ზედამხედველების ყოფნა, დასვენების დღეებშიც კი სავალდებულოა ყველა დარბაზში).



*ერმიტაჟი – მუდმივი ღირებულება.*

აშკარაა, რომ ერმიტაჟი ექსპანსიურ პოლიტიკას ეწევა, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვს. იგი მსოფლიოს საუკეთესო დონის მუზეუმთა რიცხვშია. თუმცა, სხვადასხვა წვრილმანი, ერმიტაჟის პოლიტიკისადმი კეთილადგანწყობის საშუალებას არ იძლევა. ერმიტაჟის გარდერობში შემდეგი შინაარსის განცხადებების მიხედვით, - "პალტოს ჩავიბარებთ ბილეთის არსებობის შემთხვევაში" – ძნელი წარმოსადგენია, ზუსტად რომელ პრევენტულ, მიზნებს შეიცავს ეს წესი. მაგრამ თუკი იგი სულ მცირე 1,5-ჯერ გარდერობთან რიგის გასაუარესებლად და გარდერობში მომუშავე პერსონალსა და მომხმარებელს შორის, ისედაც დაძაბული ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვას გულისხმობს, ამ შემთხვევაში ჩანაფიქრი ხუთიანზეა შესრულებული. ფასების არარაციონალური ზრდა, ახლახანს მთავარ შტაბში გახსნილი პეტერბურგის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი რესტორნის გახსნა, რაც, რა თქმა უნდა, ერმიტაჟს არ ეკუთვნის, მისგან მხოლოდ დარბაზებს ქირაობს და სახელწოდებას ("ერმიტაჟი") ატარებს, მაგრამ... განა, ეს ახსნას საჭიროებს?!

# გაბედული კინო თოვლის ფონზე

ჰოლივუდი დღეიდან 25 იანვრის ჩათვლით დაივიწყებს, რომ მის უდიდებულესობას პომპეზურობა და ფუფუნება შეშვენის და იუტას თოვლიან ქალაქში, პარკ სიტიში გადასახლდება. იქ რობერტ რედფორდი და მის მიერ დაარსებული სანდენსის ფილმის ინსტიტუტი ჰოლივუდელებსაც და უბრალო მაყურებლებსაც თანაბარი გულითადობით მიიღებს და დამოუკიდებელი ფილმების ფესტივალს შესთავაზებს.

ფესტივალი დამოუკიდებელი კინოს ბაზარზე წამყვან მოვლენად ითვლება. სწორედ მისი საშუალებით იყიდება ფილმები, რომლებიც ჰოლივუდის დიდი სტუდიების მიღმა მზადდება.

"სანდენსის" ორგანიზატორების თქმით, წელს ფესტივალზე დასასწრებად 40 ათასი ადამიანი ჩავა. ცნობილ სათხილამურო კურორტზე ისინი თოვლის გარდა ახალი ფილმებითაც დატკბებიან. კონკურსში მონაწილეობს "ნოემბერი" – კორტნი კოქს არკეტის მონაწილეობით და "წყევლა" – ნახევრად საოჯახო ვიდეო ნახევრად დოკუმენტური და ნახევრად თხრობით სტილში გადაწყვეტილი მხატვრული ფილმი, რომლის გადაღებაც რეკორდულად მცირე თანხა, 200 დოლარი დაჯდა.

შეგახსენებთ, რომ უკვე ტრადიციად დამკვიდრდა: ფილმები, რომლებიც "სანდენსის" ჟიურის მოწონებას დაიმსახურებენ, შემდეგ კრიტიკოსთა და ამერიკული კინო-აკადემიის წევრთა ყურადღების ღირსნიც ხდებიან. მაგალითად, სანდენსის 2003 წლის საუკეთესო დრამატული ფილმი American Splendor უკვე წელს "ოსკარის" მოსაპოვებლად იბრძვის. იგივე შეიძლება ითქვას დოკუმენტურ ფილმზე Capturing the Friedmans.

წელს გრძელდება "სანდენსის" კიდევ ერთი ტრადიცია, ამჯერად უკვე შინაარსობრივი: ფესტივალზე წარდგენილი ფილმები სიუჟეტის გადმოსაცემად იყენებენ როგორც მხატვრული თხრობის, ისე დოკუმენტურ ელემენტებს.

თუმცა, ფესტივალის დირექტორის ჯოფ გილმორის თქმით, ცვლილება მაინც შეინიშნება. 11 სექტემბრამდე რეჟისორები საკუთარი თავის ძიების პროცესს ასახავდნენ ფილმებში. ტერაქტების შემდეგ კი გმირები შეიცვალნენ, ისინი საკუთარი "მეს" ნაცვლად უკვე საკუთარ ადგილს ეძებენ სამყაროში. "მთელი ეს ძიების პროცესი გარე სამყაროზეა მიმართული და არა შინაგანზე... ეს გახლავთ ადამიანებთან ურთიერთობის, მჭიდრო კონტაქტის დამყარებისა და არა საკუთარი რაობის დადგენის მცდელობა", - დასძენს გილმორი.

რაც შეეხება "სანდენსის" ფინანსურ მხარეს, პროგნოზები ამ მხრივაც დადებითია. "2003 წლის ფესტივალებს შორის, იგულისხმება კანიცა და ტორონტოც, სანდენსი ყველაზე საქმიანი იყო. ეს კომერციული ტენდენცია წელსაც გაგრძელდება", - აცხადებს კინოსტუდია "ლაიონს გეიტის" ხელმძღვანელი.

წელს ფესტივალის დაწყებამდე საუბრობდნენ რამდენიმე ფილმზე "ხის კაცი", "ბაღების სამფლობელო", "მოტოციკლეტის დღიურები", "კეთილშობილი მარია"... თუმცა, "სანდენსის" შემთხვევაში წინასწარ ვარაუდებს ვერასდროს დაეყრდნობი. ხშირად ყოფილა ისე, რომ ბოლოს სულ სხვა ფილმები იმარჯვებენ ხოლმე.

გარდა ახალი ფილმებისა, თოვლიან პარკ სიტიში ვარსკვლავებსაც იხილავენ, მათ შორის იქნება, ეშტონ კუჩერი ფილმით "პეპლის ეფექტი". კინოგანწყობას კი ნელი, მეისი გრეი და სხვები თავიანთი მუსიკით გაახალისებენ. კორპორაციები "ინტელი" და "სონი" ახალ ციფრულ ტექნოლოგიებს წარუდგენენ სტუმრებს, "კოკა-კოლა" კი ახალ, ლაიმის არომატით დამზადებულ დიეტურ "კოკას" ჩაიტანს.



*მამა-შვილი - რობერტ და ჯეიმს რედფორდები.*

თუმცა, ამ კომერციული შტრიხების მიუხედავად, "სანდენსი", უპირველეს ყოვლისა, მაინც გაბედული და დამოუკიდებელი კინოს დღესასწაულად რჩება – ისეთის, როგორსაც ჰოლივუდური სტუდიები ხელს არაფრით მოკიდებენ.

ზემოთ ხსენებულ ფილმებს შორის წელს რეჟისორ შონ კუს ნამუშევარსაც გამოარჩევენ. ფილმი "მშვენიერი მიცვალებული გოგონა" მორგში მომუშავე ბიჭის ამბავს გვიამბობს. ის ხანგრძლივი ტანჯვისა და ბრძოლის შემდეგ დაძლევს ნეკროფილიას და ისწავლის, თუ როგორ უნდა შეიყვაროს ნამდვილი, ცოცხალი ქალი. თანაც, ეს ყველაფერი მიუზიკლის ჟანრშია გაკეთებული... რა თქმა უნდა, ეს სიუჟეტი ბევრს აფრთხობს და შიშის ზარს სცემს. თუმცა, რეჟისორი აცხადებს: "ოპონენტებს მინდა ავუხსნა: ამ ფილმით შევეცადე, თქვენთვის მეჩვენებინა, რომ ყველაფერს შეიძლება საყვარელი მხარე მოუძებნო... ვნერვიულობ თუ არა? თუ ერთი სიტყვით უნდა გითხრათ, კი", - განუცხადა კუმ "როიტერს" და წინასწარვე შეემზადა ფესტივალისთვის, რომელზეც თავისი ფილმის უცნაური სიუჟეტისა და მოტივების შესახებ საუბარი კიდევ ბევრჯერ მოუწევს.

"სანდენსზე" უჩვენებენ რედფორდის ვაჟის, ჯეიმსის ფილმსაც Spin, რომლის პრემიერაც ნოემბერში გაიმართა. მაყურებელი ნახავს ბერტოლუჩის "მეოცნებეებს" და ექტორ ბაბენკოს "კარანდირუსაც".

2004 წლის ფესტივალი 25 იანვარს დაიხურება. ცალკე-ცალკე გაიმართება დოკუმენტური და დრამატული ფილმების კონკურსი. იქნება რამდენიმე დამატებითი განყოფილებაც, მათ შორის, ინდიელთა ფილმების ჩვენება. დაველოდოთ შედეგებს.

# ჯეკოს არჩევანი: ციხე თუ ინდონეზია?

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ახალი წლის დადგომა მაიკლ ჯექსონს კარგს არაფერს უქადდა. 17 დეკემბერს სანტა ბარბარას ხელისუფლებამ მას ოფიციალური ბრალდება წაუყენა. ბრალდების ორ პუნქტში პოპის მეფეს იმაში ადანაშაულებენ, რომ ის არასრულწლოვან ყმაწვილს (12 წლისას) “ინტოქსიკაციურ აგენტებს” აძლევდა – იგულისხმება ალკოჰოლი და ნარკოტიკები. ბრალდების შვიდი დანარჩენი პუნქტი სექსუალურ ზეწოლას ეხებოდა. პროკურორმა თომას სნედონმა სასამართლოს შენობასთან შეკრებილ ასობით ჟურნალისტს განუცხადა, რომ ჯექსონის საქმე “ისეთ განსაკუთრებულ ბრალდებებს შეიცავს, რომელთა დამტკიცების შემთხვევაშიც, ბრალდებულის პატიმრობის ვადა გაიზრდება და ის შეწყალების უფლებას დაკარგავს”. თუმცა, პროკურორმა “განსაკუთრებული ბრალდებების” დახასიათებაზე უარი განაცხადა. რაც შეეხება პატიმრობის ვადას, თუ ყველა ბრალდება დადასტურდა, ჯექსონს 24-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

ამჯერად 14 წლის ასაკში მყოფი დაზარალებულის სახელიც არ იყო ნათქვამი. ოფიციალურ საბუთებში ის ჯონ დოს სახელით ფიგურირირებს (John Doe აშშ-ში ამოუცნობ გვამებსა და ფსევდონიმს ამოფარებული ადამიანების საზოგადოდ მიღებული სახელია). თუმცა პრაქტიკულად ამ ჯონი დოს არსებობა საიდუმლო არაა. საუბარია ბიჭზე, რომელსაც პოპის მეფე თავად აჩვენებდა დოკუმენტურ ფილმში “ცხოვრება მაიკლ ჯექსონთან ერთად” – არც დაუმალავს, რომ ის მასთან სარეცელს იყოფდა.

ჯექსონს კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის 288(ა) მუხლი მიუსადაგეს, რომელიც “მნიშვნელოვან სექსუალურ ქმედებებს”, “მოზრდილის თუ ბავშვის ავხორცობის, ვნების და სექსუალური მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით უზნეო და ავხორცულ აქტებს” ეხება (ვინ თქვა, რომ იურისპრუდენციის ენა ემოციურობას მოკლებულია?).

ბრალდებულის ადვოკატმა, რომელიც მომხდარს თავად არ ესწრებოდა, განაცხადა, რომ “მისტერ ჯექსონი ამ ბრალდებებს მთელი სულით უარყოფს”. ადვოკატმა – მარკ გერაგოსმა კვლავ გაიმეორა, რომ მისი კლიენტის წინააღმდეგ საქმის აღძვრა ორი მოტივითაა განპირობებული: ჯექსონისგან ფულის გამოძალვის მიზნით (ყმაწვილის ოჯახი) და შურისძიების წადილით (პროკურორმა სნედონმა 1993 წელს ჯექსონის ციხეში ჩაყუდება ვერ მოახერხა). ამავე დროს პოპ-მეფის დედამ, კეტრინ ჯექსონმა, ოჯახის სახელით განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც მისი ვაჟის წინააღმდეგ ყველა ბრალდება



ჯექსონი სასამართლომდე.

დახასიათებულია როგორც “აბსოლუტურად ცრუ, ბოროტებით, ვერცხლთმოყვარეობით და შურისძიების წადილით ნაკარნახევი. მთელი ჩვენი ოჯახი ერთსულოვნად უდგას მაიკლს გვერდში. ჩვენ მას ამაყად ვუჭერთ მხარს; ჩვენ ვიცით – ის ვერასოდეს შეძლებდა იმ დანაშაულების ჩადენას, რომლებსაც აბრალებენ”.

ჯექსონისთვის ოფიციალური ბრალდების წარდგენას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. მე ვგულისხმობ არა თავად ცერემონიას, არამედ იმ დროს, რომელიც მისი დაპატიმრების შემდეგ გავიდა. პროკურატურას იმაში ადანაშაულებდნენ, რომ მან სამხილების ძებნაში პროცესი გაწელა. პროკურორი სნედონი ამ ბრალდებებისგან გამწარებით იცავდა თავს.

- ასეთი რამ არასდროს, არასდროს ყოფილა ჩვენი ოფისის მიზანი, - არწმუნებდა ის რეპორტიორებს.

საბრალდებო საბუთების თანახმად, ჯონ დოს მაიკლ ჯექსონის მიერ “შეცდენა” 7 თებერვლიდან 10 მარტამდე ხდებოდა. ამ თარიღებს დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ 14-დან 27 თებერვლამდე ლოს ანჯელესის ბავშვთა და ოჯახის საკითხების დეპარტამენტმა ბიჭუნასა და ჯექსონის ურთიერთობის წინასწარი გამოძიება ჩაატარა. კონფიდენციალური მოხსენების თანახმადაც, რომელმაც პრესაშიც გაჟონა, ბიჭთან, მის ძმასთან და დედასთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მაიკლის წინააღმდეგ ბრალდება “უსაფუძვლოა”. დეპარტამენტმა გამოძიება იმის შემდეგ დაიწყო, რაც ტელევიზიამ ის ავადსახსენებელი ფირი გაუშვა, რომელზეც ბიჭი და მაიკლი ხელიხელჩაკიდებულნი არიან; ბიჭი ამბობს, რომ ხშირად ეძინა ხოლმე ჯექსონის ლოგინში, და ასეთ შემთხვევებში თავად ჯექსონი იატაკზე წვებოდა. თავად ჯექსონიც აღიარებდა იმ ფაქტს, რომ სარეცელს ბავშვებთან იყოფდა, და ამგვარ ქმედებას “ბავშვების მიმართ სიყვარულის უმანკო ფაქტს” უწოდებდა. იმ სკოლის დირექტორმა, რომელშიც ბიჭი სწავლობდა, ფილმის ნახვისთანავე “ძალადობის ცხელ სატელეფონო ხაზზე” დარეკა. სწორედ მისი ზარის გამო ჩაერია საქმეში ბავშთა და ოჯახის საქმეთა დეპარტამენტი.

თუმცა, პროკურორმა სნედონმა განაცხადა, რომ დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგები “საქმეზე გავლენას არ იქონიებს”, ვინაიდან მან სრული გამოძიება არ ჩაატარა, უბრალოდ, დაინტერესებული პირებისგან “ინტერვიუ აიღო”. შემდეგ ის პირდაპირ შეტევაზე გადავიდა: “ლოს ანჯელესის დეპარტამენტს ისედაც ბევრი პრობლემა აქვს”. ამაზე პასუხად დეპარტამენტის ადვოკატმა, გლორია ალერდმა, რომელიც, სხვათა შორის, “1993 წლის მაიკლის ბიჭუნას” ინტერესებს წარმოადგენდა, განაცხადა, რომ პროკურატურამ დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ გამოძიებას “მხოლოდ მცირედი დამატებითი ფაქტები დაურთო”. მან თქვა, რომ კალიფორნიის კანონების თანახმად, პროკურატურას “წარსულში ცუდი ქცევის” დამამტკიცებელ საბუთად 1993 წლის ბრალდებების გამოყენებაც შეუძლია, მაგრამ დამცველებს ამისთვის ხელის შეშლის უფლება აქვთ.

ბრალდების წაყენების დღეს პროკურორმა რეპორტიორები გააოგნა, როცა თქვა, რომ ჯექსონს ამოღებულ საზღვარგარეთის პასპორტს უბრუნებს, რათა მომღერალმა ორი კვირით ინგლისში გამგზავრება შეძლოს. პროკურორმა თავისი მსხვერპლის მიმართ “გულისამაჩუყებელი” ზრუნვა გამოიჩინა, თქვა, რომ ჯექსონის ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ მას პასპორტს კვლავ წაართმევენ და სასამართლო პროცესის დასრულებამდე არ დაუბრუნებენ.

მაიკლის სასამართლოს წინაშე წარდგომა 9 იანვრიდან 19 იანვრისთვის გადაიდო.

პოპ-მეფისთვის საზღვარგარეთის პასპორტის დაბრუნებამ ტაბლოიდურ ყოველკვირეულ გამოცემებში უმალვე სპეკულაციების ტალღა ააგორა. ერთნი წერდნენ, რომ ხელისუფლება ჯექსონის ხაფანგში გაბმას ცდილობს, აცდუნებს და გაქცევისკენ უბიძგებს, რაც მის მიერ ბრალის აღიარების ტოლფასი იქნება. გარდა ამისა, ჯექსონი ამერიკულ ფემიდას ბევრ დროს და კიდევ უფრო მეტ სახსრებს დაუზოგავდა, რომლებიც ქვეყნის საუკეთესო ადვოკატებით გარშემორტყმული პოპის მეფის ძვირადღირებულ პროცესს დასჭირდება.

სხვა ყოველკვირეული გამოცემები, მაგალითად, “გლოუბი”, იუწყებოდა, რომ ჯექსონი გაქცევისთვის წინასწარ ემზადებოდა. სტატიაში, რომლის სათაურიც “ჯეკოს საიდუმლო გეგმა შეერთებული შტატებიდან გასაქცევად” იყო, “გლოუბი” წერს, რომ ჯექსონმა ოფშორულ ბანკებში 50 მილიონი დოლარი გადარიცხა, რომ “მათხოვარ დევნილად” არ დარჩენილიყო. მაიკლის დაახლოებული პირის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჟურნალს მისი ასეთი სიტყვები მოჰყავს: “მაიკლს არავითარ შემთხვევაში არ სურს თავისუფლების დათმობა. მას მართლმსაჯულების სამართლიანობისა არ სჯერა და იფიცება, რომ ხელისუფლებას მისი ლინჩის წესით გასამართლება სურს. თუ საქმე მართლაც ასე წარიმართა, ის აქ არავითარ შემთხვევაში არ დარჩება. მას ციხეში ჯდომის არანაირი სურვილი არა აქვს. ორმოცდაათი მილიონი დოლარი უკვე საზღვარგარეთაა გადარიცხული, და არავინ იცის, სად. ისიც არავინ იცის, საით აპირებს მაიკლი გაქცევას”.

ვითომდა, იმ შემთხვევისთვის, თუ გაქცევა მოუწია, მაიკლს ყველაფერი მომზადებული აქვს. მისი გაქცევის შემთხვევაში ჯექსონის სამ შვილს დედამისი იშვილებს. ესენი ექვსი წლის პრინცი მაიკლი, ხუთი წლის პარისი და პრინც მაიკლ II არიან, ამ უკანასკნელს მალე ორი წელი შეუსრულდება. “მათ არავის დავანებებთ!” კატეგორიულად განაცხადა ჯექსონის დედა კეტრინმა ტელეარხ ეი-ბი-სის გადაცემაში “20/20”.

ყველაზე ხშირად პოტენციური დევნილის საცხოვრებელ ადგილად ინდონეზიის მრავალრიცხოვან კუნძულთაგან ერთ-ერთს ასახელებენ. ჟურნალი “სტარი” წერს: “მაიკლი მსოფლიოს ადამიანია. მისი ფულისა და კონტაქტების პატრონს გაქრობა არაფრად უღირს. მან ინდონეზიაში საიდუმლო ბუდე მოიმზადა, მაგრამ ასეთივე წარმატებით დედამიწის ნებისმიერ სხვა წერტილშიც შეუძლია დამალვა. მაიკლის სასამართლო საქმეში თავს ვერაფერზე დავდებთ. ამიტომ ის გულხელდაკრეფილი ჯდომას არ აპირებს. ახლა ის ერთი ფეხით უკვე სხვაგანაა”.

მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ინდონეზია? იმიტომ, ამბობენ “ექსპერტები”, რომ ინდონეზია ჩვენს პლანეტაზე, მოსახლეობის თვალსაზრისით, ყველაზე დიდი მუსულმანური ქვეყანაა. მაიკლ ჯექსონი კი, იმის მერე, რაც ამერიკული ფემიდა გადაეკიდა, მთლიანად ორგანიზაცია “ისლამის ერებსა” და მის მეთაურს, ლუის ფარახანსაა შეფარებული, რომლებიც ამჟამად მის ფინანსურ საქმეებს განაგებენ და მის უშუალო დაცვასაც უზრუნველყოფენ. მაიკლის ყველა ახალი მცველი “ისლამის ერების” წევრია. მაგრამ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით სხვა დროს გიამბობთ.

ბუნებრივია, ჯექსონის ადვოკატები კატეგორიულად უარყოფენ თავიანთი კლიენტის გაქცევის შესახებ ჭორებს და “უპასუხისმგებლოსა და პროვოკაციულს” უწოდებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ ჯეკო მზადაა პირისპირ შეხვდეს თვალახვეულ ფემიდას, და ალტერნატივა – ციხე თუ ინდონეზია – მისთვის არ არსებობს.

# ახალი წელი ვენის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად

ნინო პირველი

რაკიღა ქართველები ისეთი უცნაური ერი ვართ, რომ დიდი ხნის წინ გადაწეულ და დარეგულირებულ ჟამთაცვლას საერთოდ არ ვუწევთ ანგარიშს და წელიწადში ორჯერ - ძველი და ახალი სტილით ვზეიმობთ ახალ წელს, ალბათ, უპრიანი იქნებოდა დღესაც შეგვექმნა საკუთარი თავისთვის საახალწლო განწყობა - 14 იანვარი ხომ ჩვენი თანამემამულეების უმეტესობისთვის საზეიმო დღეა. თანაც იმ საღამოს თოვლიც რომ მოვიდა! რას ერჩი, ბუნებამ ძველ ახალ წელს მაინც მოგვიწყო სიურპრიზი. ბავშვობაში ყოველთვის მშურდა იმ ქვეყნების, სადაც ახალი წლის ღამეს ფაფუკი თოვლი იდო და ლოყებაწითლებული ბავშვები დაუღალავად გუნდაობდნენ. დიდობაში კი, როცა გავაცნობიერე, თუ რა საშინელება იყო თოვლი თბილისში, რომელსაც მხოლოდ ტალახი და უსიამოვნო სველი სიცივე მოჰქონდა, უკვე ვეღარ ვიტანდი თოვლს და მუდამ იმას ვნატრობდი, იქნებ ამ ზამთარმა უთოვლოდ ჩაიაროს-მეთქი, მაგრამ იშვიათად თუ ამხდენია ეს ნატრვა. თოვლი მოდის, ქუჩებს ატალახებს, ერთ დღესაც ვერ ძლებს და სწრაფად დნება. გვრჩება ჭუჭყიანი ქალაქი და უკმაყოფილო ხალხი. მაგრამ ეს უკვე თემიდან ოთხმოცდაათი გრადუსით გადახვევაა, მე ხომ საახალწლო კონცერტზე ვაპირებდი მოყოლას...

ჰო, რაკი დღეს ძველი ახალი წელია, რომელსაც მარტო საქართველოში აღნიშნავენ, მოდით ორი კვირის წინ დამდგარი ”ნამდვილი” ახალი წელი და მისი ყველაზე ტრადიციული კონცერტი გავიხსენოთ. თითქმის უკვე ექვსი წელია, ჩემთვის ყოველი პირველი იანვარი ვენის ფილარმონიის სახალწლო კონცერტით იწყება. 2000 წლის 1 იანვარს ისეთი ბედნიერებაც კი მქონდა, რომ თავად დავსწრებოდი მუზიკ-



ვენის საშობაო განწყობა კომპაქტ-დისკზე.

ფერაინის დიდ დარბაზში გამართულ ბრწყინვალე კონცერტს, რომელსაც იმ წელს რიკარდო მუტი დირიჟირობდა. ვენის ფილარმონიის ორკესტრი 1 იანვარს, ძირითად, შტრაუსების ოჯახის მუსიკას ასრულებს ხოლმე - მოოქროილ დიდ დარბაზში მომაჯადოებლად იღვრება უფროსი და უმცროსი იოჰან შტრაუსის, ნაკლებად ცნობილი ოსკარ შტრაუსის ვალსები, პოლკები, მარშები. ისეთი ხალისიანი ჰანგები ჟღერს, რომ საერთოდ ველარ იგრძნობ დაღლილობას. არადა, 31 დეკემბრის ღამეს ხომ თითქმის ყველა გარეთ ატარებს და დილის ხუთ-ექვს საათამდე არ იძინებენ. კონცერტი კი დღის თერთმეტ საათზე იწყება. წესიერად გამოძინებასაც ვერ ასწრებ, როცა უკვე უნდა ლოგინიდან წამოხტე და კარლსპლატცის მიმართულებით გაქუსლო. მაგრამ საწუწუნო ნამდვილად არაფერია. ეს კონცერტი მართლაც ღირს ასეთ მსხვერპლად. გამოდის, რომ ისევ გადავუხვიე თემიდან. არა, ჩემგან ნამდვილად არ გამოვა კარგი ჟურნალისტი...

რიკარდო მუტის შემდეგ ორჯერ მოვისმინე საახალწლო კონცერტი ნიკოლაუს ჰარნონკურტის დირიჟორობით, ერთხელ მშობლიურ რუსთავი 2-ზე, მეორედ კი ავსტრიული ORF –ის პირდაპირ ეთერში. 2004 წლის 1 იანვარს კი ისევ რიკარდო მუტი იდგა სადირიჟორო პულტთან (უკვე მეოთხედ, სხვათა შორის) და მამა შტრაუსის მუსიკას ასრულებდა. წლევანდელი კონცერტი, ცოტა არ იყოს, გამორჩეული იყო: ვენის ფილარმონიის ორკესტრი მეტწილად მამა-შტრაუსის მუსიკას ასრულებდა. კონცერტის დევიზი იყო “მამა შტრაუსი და მისი ვაჟიშვილები”. სახელგანთქმული შვილი-შტრაუსის უკანა პლანზე გადაწევის მიზეზი მეტად უბრალო გახლავთ - 2004 წლის მარტში 200 წელი სრულდება უფროსი იოჰან შტრაუსის დაბადებიდან. ამიტომაც უღალატეს ტრადიციას. წლევანდელი კონცერტი დაახლოებით 50 მილიონმა კაცმა ნახა პირდაპირ ეთერში. სულ რაღაც ერთ კვირაში კი კომპაქტ-დისკიც გამოვიდა. გერმანული Deutsche Grammaphon 2004 წელსაც დიდ მოგებას ელოდება საახლო კონცერტის აუდიო ჩანაწერისგან. შარშან ვენის ფილარმონიის ორკესტრმა და ნიკოლაუს ჰარნონკურტმა რეკორდი დაამყარეს - დისკი ავსტრიაში ლამის გამოსვლისთანავე გაიყიდა: სამი კვირის შემდეგ უკვე 90 000 ეგზემპლარი იყო გაყიდული.

ვენის ფილარმონიის ორკესტრი ერთ-ერთი უძველესი მუსიკალური კოლექტივია მსოფლიოში. ის 1842 წელს დაარსდა და მასში სამეფო კარის ორკესტრის მუსიკოსები იყვნენ გაერთიანებული. პირველი კონცერტი 1842 წლის 28 მარტს გაიმართა. სულ ცოტა ხანში ორკესტრი ისე პოპულარული გახდა, რომ აბონემენტებიც კი შემოიღეს, რათა მუსიკის მოყვარულთ ყველა კონცერტის მოსმენის საშუალება ჰქონოდათ. სხვადასხვა დროს ორკესტრთან თანამშორმლობდნენ ისეთი ცნობილი დირიჟორები, როგორებიც არიან გუსტავ მალერი, ვილჰელმ ფურტვენგლერი, კარლ კრაუსი, ჰერბერტ ფონ კარაიანი, კარლ ბიომი, ლეონიდ ბერსტაინი, ნიკოლაუს ჰარნონკურტი თუ რიკარდო მუტი. პირველი საახალწლო კონცერტი ვენის ფილარმონიის მუსიკოსებმა 1939 წლის 31 დეკემბერს გამართეს. 1941 წლიდან მოყოლებული კი ეს კონცერტი 1 იანვარს ტარდება. 1908 წლიდან ვენის ფილარმონიის ორკესტრი დამოუკიდებელი სტრუქტურაა. 1997 წლამდე ორკესტრი იმდენად კოსნერვატორული გაერთიანება იყო, რომ მუსიკოსები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. ჰერბერტ ფონ კარაიანი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ქალების მიღებას. 1997 წელს კი ეს ტაბუ დაირღვა და ორკესტრში პირველი ქალი - არფისტი ანა ლეკესი გამოჩნდა. ორკესტრს საკუთარი ჯილდოც გააჩნია - საპატიო ბეჭედი, რომელსაც დირიჟორებს გადასცემენ განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ასეთი პატივის ღირსი გახდნენ ბერსტაინი, კრაუსი, კარაიანი, ბიომი და სხვები.

ამ მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ, ალბათ, კიდევ უფრო მეტად მოგინდებათ ვენის ფილარმონიის ორკესტრის საახალწლო კონცერტის ახალი ჩანაწერის ხელში ჩაგდება, არა? თუ შტრაუსების მუსიკა გიყვართ, მაშინ უნდა იჩქაროთ და დროზე იზრუნოთ ამ დისკის შეძენაზე, რადგან ვენის ფილარმონიის ორკესტრის ყველა ჩანაწერი მუდამ სწრაფად იყიდება და, ალბათ, არც ეს დისკი იქნება გამონაკლისი...

ფეხბურთი

# "ცხენის კუდს" ვეღარ ვიხილავთ

## დევიდ სიმენმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა

ფეხბურთის გულშემატკივრები ვეღარ იხილავენ დევიდ სიმენის სახელგანთქმულ პირუეტებს და ფანტასტიკურ ნახტომებს, რითაც ინგლისის ნაკრების ლეგენდარული მეკარე, აგერ უკვე ორი ათეული წელიწადია, ხიბლავდა ფეხბურთის მოყვარულებს. გუშინ "მანჩესტერ სიტის" 40 წლის ლეგენდარულმა მეკარემ საფეხბურთო კარიერის დარულების შესახებ განაცხადა.

სიმენმა ეს გადაწყვეტილება ინგლისის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ მიიღო. ინგლისური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა იძულებული გახდა, "პორტსმუტთან" შეხვედრა მე-13 წუთზე დაესრულებინა.

სიმენის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავის უკანასკნელ ოფიციალურ შეხვედრაში (გამორიცხული არ არის, რომ ახლო მომავალში სიმენის გამოსათხოვარი მატჩი გაიმართოს), მეკარეს, რომელიც წლების განმავლობაში ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" ღირსებას იცავდა, გოლი არ გაუშვია. "პორტსმუტთან" შეხვედრაში ოთხივე გოლი სიმენის შემცვლელმა, დანიელმა ელეგაარდმა გაუშვა.

ამ მატჩიდან სამი დღის შემდეგ სიმენმა კარიერის დამთავრების შესახებ განცხადება გააკეთა. თავის გადაწყვეტილებას კი ასე"ცხენის კუდს" ვეღარ ვიხილავთ.

დევიდ სიმენმა საფეხბურთო კარიერის დაასრულებას კომენტარი გაუკეთა: "მე ეს გადაწყვეტილება ოჯახთან და იმ ადამიანებთან მოლაპარაკების შემდეგ მივიღე, რომელთა აზრსაც პატივს ვცემ. ამ ტრავმისგან თავის დახსნას ახლო მომავალში ვერ მოვახერხებ, ამიტომ ვფიქრობ, ახლა საუკეთესო დროა საფეხბურთო კარიერის დასრულებისთვის". დიდი ფეხბურთიდან სიმენის წასვლა ინგლისური ფეხბურთის მთელი ეპოქის დასრულებას ნიშნავს.

დევიდ სიმენმა პროფესიული საფეხბურთო კარიერა შორეულ 1980 წელს, "ლიდსში" დაიწყო. შემდეგ მის კარიერაში იყო: "პიტერბორო", "ბირმინგემი" და "ქუინზ პარკ რეინჯერსი". 1990 წელს, როდესაც ლონდონის "არსენალში" გადავიდა, კიკინის გამო "ცხენის კუდი" შეარქვეს. სიმენმა იქ 13 სეზონი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში კლუბთან ერთად სამი საჩემპიონო ტიტული, ქვეყნის ოთხი თასი და თასების მფლობელთა თასი მოიგო.



*ინგლისური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა დევიდ სიმენი - ამბობენ სპეციალისტები.*

80-იანი წლების ბოლოს დევიდ სიმენი ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. 1994 წლიდან კი ინგლისის ნაკრების ძირითადი მეკარე გახდა. მონაწილეობა მიიღო 1996 და 2000 წლების ევროპისა და 1998 და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატებში. უკანასკნელად კი ეროვნული ნაკრების კარი 2002 წლის ოქტომბერში დაიცვა. მაშინ ინგლისის ნაკრები მაკედონიას ხვდებოდა. თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში დევიდ სიმენმა 75-ჯერ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა. საკლუბო დონეზე კი ათასზე მეტი მატჩი გაუმართავს.

თუმცა, დევიდ სიმენი დაგვამახსოვრდა არა მარტო საფეხბურთო დღეგრძელობით, არამედ იმ შეცდომებითაც, რომლებსაც ფატალური შედეგები მოჰყვებოდა მისი გუნდისთვის. მაგალითად, 1994 წელს თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში სიმენმა, რომელიც ლონდონის "არსენალის" ღირსებას იცავდა, მოახერხა და დამატებითი დროის უკანასკნელ წუთზე გაუშვა გოლი "სარაგოსას" მცველის, ნაიიმასგან, რომელმაც მოედნის ცენტრიდან დაარტყა. უფრო ახალგაზრდა თაობას კი სიმენი დაამახსოვრდებოდა გასული მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალიდან, სადაც მან კურიოზული გოლი მიიღო ბრაზილიელი რონალდინიოსგან, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა. ის მატჩი ბრაზილიამ მოიგო - 2:1. მაშინ რონალდინიოს უწყინარი დაკიდება ულვაშა მეკარის ზურგს უკან, კარის ბადეში ჩაეშვა.

ჯერ კიდევ შარშან, შუა სეზონში იყო ცნობილი, რომ ლონდონის "არსენალის" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი აღარ აპირებდა "ცხენის კუდთან" კონტრაქტის გაგრძელებას (მას 2003 წლის ზაფხულში გასდიოდა ვადა).

მეკარემ, რომელიც იმ დროისთვის უკვე 39 წლის იყო, მრავალწლიანი კარიერის განმავლობაში პირველად აღმოაჩინა, რომ ტრავმისკენ ჰქონდა მიდრეკილება. იმ მატჩებში კი, რომლებშიც ვეტერანი მონაწილეობდა, აღარ გამოიყურებოდა ისე საიმედოდ, როგორც ადრე. ვარაუდობდნენ, რომ სიმენი ფეხბურთიდან 2003 წლის ზაფხულში წავიდოდა, მაგრამ მან "მანჩესტერ სიტისთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "სიტიში" თამაშის ნახევარი წლის განმავლობაში სიმენმა ორჯერ მიიღო სერიოზული ტრავმა. ამათგან მეორე ისეთი აღმოჩნდა, რომ ვეტერანს საფეხბურთო კარიერის დასრულება გადააწყვეტინა.

სიმენის გადაწყვეტილებიდან უკვე რამდენიმე საათში გაჩნდა კომენტარები ამ მოვლენასთან დაკავშირებით. დევიდის ყოფილი მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ამ ფაქტს ასეთი კომენტარი გაუკეთა: "დევიდი მიდის, როგორც ინგლისური სპორტის ლეგენდა. ის დაგვამახსოვრდება არა მხოლოდ როგორც შესანიშნავი მეკარე, არამედ როგორც ჯენტლმენი მოედანზე. ამასთან, არ შემიძლია, მის გადაწყვეტილებას სამართლიანი არ ვუწოდო. თამაში რომ გაეგრძელებინა, ის თავს სერიოზული რისკის წინაშე დააყენებდა".

სიმენის გადაწყვეტილებას ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონიც გამოეხმაურა: "დევიდი ყოველთვის მისაბაძი პროფესიონალი იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, ამდენ წელს ფეხბურთში ვერ გაატარებდა. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის დიდი პატივი იყო მის გვერდით თანამშრომლობა. ვფიქრობ, მას კიდევ შეეძლო ფეხბურთისთვის ბევრი სიკეთის მიცემა. გულითადად ვუსურვებ წარმატებას იმ სფეროში, რომელსაც თვითონ აირჩევს".

"მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობა კი უკვე ჩამოყალიბდა იმის თაობაზე, თუ ვინ შეცვლის სიმენს კარში. ვარაუდობენ, რომ "მანჩესტერში" იხმობენ "ვესტ ჰემ იუნაიტედის" მეკარეს, დევიდ ჯეიმსს. სიმბოლურია, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ჯეიმსი ინგლისის ნაკრებში სწორედ დევიდ სიმენის დუბლიორად მიიჩნეოდა. მისი წასვლის შემდეგ კი ჯეიმსი ეროვნული გუნდის ძირითადი მეკარე გახდა.

# შეშფოთებული „ბაიერნი" და გულდამშვიდებული „რეალი"

ნინო პირველი

მიუნხენის "ბაიერნისთვის", რომელიც უკვე ორი სეზონია, ევროასპარეზზე საკმაოდ ცუდად თამაშობს, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი, სადაც ბავარიელები თავიანთ ძველ მტერს, მადრიდის "რეალს" ხვდებიან. "ბაიერნისთვის" ეს მატჩი თვითდამკვირდების საშუალებაა. ალბათ, გახსოვთ, რა უსახურად გამოიყურებოდა ოტმარ ჰიტცფელდის გუნდი გასულ სეზონში. ჯგუფიდან გასვლას ვინ ჩივის, მესამე ადგილის დაკავებაც კი ვერ მოახერხა, რომ შემდეგ უეფას თასზე გადასულიყო. მდგომარეობა არც მიმიდინარე სეზონში შეცვლილა: "ბაიერნი" გაჭირვებით გავიდა ჯგუფში მეორე ადგილზე და მერვედფინალშივე ვარსკვლავებით გადაჭედილ "რეალს" შეეჯახა. ამ წყვილის ფავორიტად ყველა "სამეფო კლუბს" მიიჩნევს. არავის სჯერა, რომ დეგრადირებული "ბაიერნი" კვლავაც შეძლებს მადრიდელთა დამარცხებას. "ბაიერნს" განწირულად თვლიან, რაც მიუნხენელ ფეხბურთელებს უდიდეს მოტივაციას აძლევს: ისინი დუბაიში ემზადებიან სეზონის განახლებისთვის და დაკარგული დიდების დაბრუნება სურთ. "რეალი" კი ამ მატჩს აგდებულად უყურებს. მადრიდელებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ "ბაიერნს" იოლად გაუსწორდებიან და უპრობლემოდ გავლენ მომდევნო ეტაპზე. "რეალის" ფეხბურთელთა უმრავლესობას მტკიცედ სჯერა, რომ ლიგის თასი სეზონის ბოლოს აუცილებლად მათი გახდება. რა მოსატანია აქ დასუსტებული "ბაიერნი"?

სულ რაღაც ორიოდე წლის წინ "ბაიერნი" "რეალისთვის" საშინლად არასასურველი მეტოქედ ითვლებოდა. უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგაში რვაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ექვსი მატჩი მიუნხენელთა გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ ეს ადრე იყო. ამჟამად "რეალს" აღარ მიაჩნია "ბაიერნი" სერიოზულ მეტოქედ. თავად განსაჯეთ, 24 თებერვალს მადრიდელები მიუნხენში ხვდებიან "ბაიერნს", 10 მარტს კი გერმანელებს უწევთ ჩასვლა ესპანეთში. შუალედში "რეალი" სამხრეთ აფრიკაში აპირებს წასვლას. 2 ან 3 მარტს "რეალის" ვარსკვლავები აფრიკელი გულშემატკივრებისთვის გამართავენ ამხანაგურ მატჩს, რის სანაცვლოდაც მადრიდელები ექვს მილიონ ევროს ჩაიჯიბავენ. იოჰანესბურგში ყველა ჩავა: ზიდანიც, ბექჰემიც, რონალდოც, რაულიც, ფიგუც, რობერტო კარლოსიც... მოკლედ, "რეალის" ყველა ვარსკვლავი მოედანზე იქნება. "რეალის" მიწვევით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას საკუთარი თავისთვის რეკლამის გაწევა სურს - აფრიკელები ხომ 2010 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლებისთვის იბრძვიან. მადრიდელების მაგალითზე ისინი მთელ ქვეყანას უჩვენებენ, რომ შეუძლიათ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა მიღება. ესპანელი ჟურნალისტები "რეალის" აფრიკულ ვოიაჟს ტოლერანტულად უდგებიან. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი შორეული და ხანგძლივი მგზავრობა სულაც არ იმოქმედებს ცუდად ფეხბურთელებზე და 10 მარტს ისინი უპრობლემოდ მოახერხებენ მეოთხედფინალში გასვლას.



*ოტმარ ჰიტცფელდი კარლოს კეიროშს თებერვალში გაეჯიბრება.*



რა განწყობაა "ბაიერნში"? ბავარიელები ჯერაც დუბაიში არიან და დიდად არ ანაღვლებთ, როგორ ემზადება "რეალი" მათთან შესახვედრად. ბავარიულ კლუბში უფრო სხვა საკითხებით არიან დაკავებულნი – ასე, მაგალითად, ოლივერ კანმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამიერიდან მშვიდი ადამიანი ხდება და არავითარ შემთხვევაში აღარ დაუშვებს იმას, რომ მისი ფოტოები ყოველდღე ხვდებოდეს ყვითელი პრესის პირველ გვერდზე. "ადრე ჩემი ცხოვრება სკანდალებით იყო სავსე, ახლა კი ყველაფერი შეიცვლება. ვერც ერთი ჟურნალისტი ვეღარაფერს შეიტყობს ჩემს პირად ცხოვრებაზე. აღარც "ბაიერნის" სახელით ვილაპარაკებ. არსად წერია, რომ გუნდის კაპიტანი აუცილებლად კლუბის სპიკერიც უნდა იყოს. ნურც იმას ელოდებით, რომ ან მე ან მიხაელ ბალაკი სამუდამოდ "ბაიერნში დავრჩებით. ცვლილებები ყველა გუნდში ხდება", - ამბობს კანი. გამოსწორების სურვილის მიუხედავად, გუშინ კანი მაინც მოხვდა "ბილდის" ფურცლებზე, თანაც, მეტად უცნაურ ამპლუაში - ამჯერად "ბაიერნის" კაპიტანი მომჩივანის როლში მოგვევლინა. საქმე ისაა, რომ კომპიუტერულმა ფირმა "EA Sports"-მა შექმნა კომპიუტერული თამაში სახელწოდებით "FIFA 2002". სრულიად ჩვეულებრივი საფეხბურთო თამაშია: მოედანზე დარბიან მსოფლიოს საუკეთესო ვარსკვლავები, რომელთა ვირტუალური სახეები არაფრით განსხვავდება ნამდვილისგან. სტადიონზე ოლივერ კანის ხილვაცაა შესაძლებელი, რადგან 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, უბრალოდ, წარმოუდგენელია ოლივერ კანის გარეშე - მან ხომ გერმანიის ნაკრები ფინალში გაიყვანა. თამაშის ავტორებმა FIFA-სგან კი აიღეს ნებართვა, მაგრამ ცალკეული ფეხბურთელებისთვის არავის არაფერი უკითხავს, მათთვის გვერდის ავლით გამოიყენეს მათი სახელები. სწორედ ამის გამო იჩივლა კანმა ჰამბურგის სასამართლოში და მოიგო კიდეც პროცესი. ეს მაგალითი გადამდები აღმოჩნდა. აქამდე არც ერთ ფეხბურთელს აზრად არ მოსვლია, გაეპროტესტებინა მათი სახელის უნებართვოდ გამოყენება. ახლა კი "EA Sports"-ს უკვე სხვა ვარსკვლავებიც უჩივიან. ეს თამაში 50 ევრო ღირს და დღემდე დიდი წარმატებით იყიდება. ფირმამ, სულ ცოტა, 250 მილიონი ევროს მოგება ნახა, მაგრამ ეს სიხარული ძალიან მალე ჩაშხამდება. თუ სასამართლომ ყველას საჩივარი დააკმაყოფილა, საბრალო "EA Sports" მომჩივნებისთვის მილიონების გაღება მოუწევს...

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** იტალიური ფეხბურთის ყოფილმა ვარსკვლავმა, ფაბრიციო რავანელიმ განაცხადა, რომ "პერუჯასთან" ხელშეკრულების თანახმად, ლუჩანო გაუჩის გუნდში ის მიმდინარე სეზონის ბოლომდე ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ რავანელის კარიერა სწორედ "პერუჯაში" დაიწყო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" არგენტინელმა თავდამსხმელმა, ერნან კრესპომ "ლივერპულის" წინააღმდეგ მატჩში ტერფის ტრავმა მიიღო. ექიმების თქმით, კრესპოს ექვსი კვირით მოუწევს ფეხბურთთან დამშვიდობება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომან აბრამოვიჩმა კრისტიან ვიერის შეძენა გადაწყვიტა. ინგლისური და იტალიური პრესა იუწყება, რომ ლონდონის "ჩელსი" მილანის "ინტერის" თავდამსხმელის გადაბირებით დიდად არის დაინტერესებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფეხბურთელსა და მისი ახლანდელი კლუბის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა უკანასკნელ ხანს საკმაოდ დაიძაბა. იტალიური პრესა იმასაც იუწყება, რომ გუშინ "ინტერის" მენეჯერი, ლელო ორიალი გაემგზავრა ლონდონში, სადაც ვიერის გაყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს გამართავს "ჩელსის" ხელმძღვანელებთან. შეგახსენებთ, რომ ვიერის შეძენა აბრამოვიჩს გასულ ზაფხულშიც სურდა და მის სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს სთავაზობდა "ინტერს".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუმინეთისა და უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციებმა გადაწყვიტეს, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატი ერთობლივად ჩაატარონ. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, მირჩა სანდუმ განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების შესახებ უკვე აცნობეს უეფა-ს. თებერვალში ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელები ბუქარესტში შეხვდებიან. ევრო 2012-ის მასპინძლობის სურვილი უკრაინამ და პოლონეთმაც გამოთქვეს. საკუთარი კანდიდატურის წარდგენას რუსეთიც აპირებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელმა ედმუნდომ "ფლუმინენსესთან" გააფორმა კონტრაქტი. ამიერიდან რომარიო და ედმუნდო ისევ ერთად ითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ ეს ორი ფეხბურთელი ჯერ "ფლამენგოში", შემდეგ კი "ვასკო და გამაში" თამაშობდნენ ერთად. ახლა კი რომარიო და ედმუნდო "ფლუმინენსეს" თავდამსხმელთა დუეტია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ევროპის ჩემპიონატის დღეებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა აეკრძალოს იმ 2000 გულშემატკივარს, რომლებიც "შავ სიაში" არიან შეყვანილი. ეს გულშემატკივრები ხულიგნებად არიან მიჩნეული და საზოგადოებას განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიან. შესაძლოა, ამ ადამიანებს ევროპის ჩემპიონატის დღეებში პასპორტებიც ჩამოერთვათ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მომავალ კვირას პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელი მწვრთნელი, ლუის ფელიპე სკოლარი და მისი ორი ასისტენტი მოსკოვში ჩაფრინდებიან. მათი ვიზიტის მიზანი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების კალენდრის შეთანხმებაა. შეგახსენებთ: პორტუგალია და რუსეთი ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანური "დეპორტივოს" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა, მაურო სილვამ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა. აქედან გამომდინარე, "დეპორტივოსთან" მისი ხელშეკრულება 2005 წლის ივნისამდე იქნება ძალაში. "მადლობელი ვარ ჩვენი პრეზიდენტისა იმის გამო, რომ კლუბში დარჩენის საშუალება მომცა. "დეპორტივოსთან" კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ კარიერას დავასრულებ, რადგან არც ერთ სხვა კლუბში თამაშს არ ვაპირებ", - განაცხადა მაურო სილვამ, რომელიც "დეპორტივოში" 1995 წლიდან თამაშობს. სილვა 36 წლისაა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მოსკოვის "ლოკომოტივი" დმიტრი სიჩოვის გადაბირებას ცდილობს და ამის თაობაზე ფეხბურთელის ახლანდელ კლუბთან, მარსელის "ოლიმპიკთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. "სიჩოვი უმაღლესი დონის ფეხბურთელია. ძალიან გვინდა, რომ მან ჩვენთან ითამაშოს. "მარსელი" მის სანაცვლოდ ძალიან დიდ თანხას ითხოვს, თუმცა, ფარ-ხმალს არ ვყრით და ფრანგულ კლუბთან მოლაპარაკებას მაინც განვაგრძობთ", - განაცხადა "ლოკომოტივის" სპორტულმა დირექტორმა, ბორის იგნატიევმა.

ფეხბურთი

# "რეალმა" ტოტის თვალი დაადგა

### სამეფო კლუბის მომავალი ტრანსფერის ობიექტად რომაელი ფრანჩესკო ტოტი მოიაზრება

იტალიური "რომას" კაპიტანი, ფრანჩესკო ტოტი თავისი კლუბისადმი დიდი ერთგულებით არის ცნობილი. ის იტალიის საუკეთესო ფეხბურთელად მიაჩნიათ და, ცხადია, უამრავი მდიდარი კლუბის თვალთახედვის არეალშია მოქცეული. ტოტის გადაბირება "მილანსაც" სურდა, "იუვენტუსსაც" და "ინტერსაც". მიუხედავად ამისა, ტოტი "რომაში" განაგრძობს თამაშს, თანაც, დიდი წარმატებით.

მიმდინარე სეზონში ტოტი ძველებურად ბრწყინავს. ის კი, ვინც ბრწყინავს, გინდა თუ არა, მადრიდის "რეალთან" ასოცირდება. სხვანაირად ვერც იქნებოდა – ტოტის გადაბირებით სამეფო კლუბი დაინტერესდა.

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად ტოტის თამაშის ხარისხიც იწევს. ზაფხულში სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. სწორედ ამ სეზონში გეგმავს "რეალი" თავისი მორიგი, ხმაურიანი ტრანსფერის განხორციელებას. დასავლეთის სპორტული პრესა მარჩიელობს, თუ ვინ იქნება ამ ტრანსფერის ობიექტი. ჟურნალისტები ტიერი ანრის, რუუდ ვან ნისტელროის და სხვა ვარსკვლავებს ასახელებდნენ. ახლა კი სულ უფრო ხშირად სწორედ ფრანჩესკო ტოტის ახსენებენ.

უკანასკნელ დღეებში იტალიური პრესა დაჟინებით ამტკიცებს, რომ მადრიდის "რეალმა" ტოტის დაადგა თვალი და სწორედ მის შეძენას შეეცდება ზაფხულში. პრესის ვარაუდი იმ ფაქტმაც განამტკიცა, რომ ტოტის ახლანდელი კლუბი "რომა" დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. აქედან გამომდინარე, ტოტის გაყიდვა რომაელებისთვის კრიზისიდან გამოსვლის კარგი საშუალება იქნება.



იტალიის წლის საუკეთესო ფეხბურთელი ფრანჩესკო ტოტი.

იტალიის ქალაქ სიენაში ფრანგული ფეხბურთის ლეგენდას, მიშელ პლატინის არტემიო ფრანკის სახელობის პრემია გადასცეს. იტალიელმა ჟურნალისტებმა პლატინის სტუმრობით ისარგებლეს და ტოტის "რეალში" შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა სთხოვეს. ჰკითხეს, შეძლებს თუ არა ტოტი ზიდანის შეცვლას. "ისინი განსხვავებული ფეხბურთელები არიან, თუმცა, ზიდანი უფრო სრულყოფილია. თუმცა, ტოტი უფრო მეტ ხიფათს უქმნის მეტოქის კარს და ზიდანზე უფრო ეფექტურია. მიუხედავად ამისა, არ ვიცი, შეძლებს თუ არა ტოტი "რეალში" ასეთივე დონეზე თამაშს, - განაცხადა პლატინიმ.

დასაწყისში "რომასადმი" ტოტის ერთგულებაზე ვთქვით. ტოტის არაერთხელ უთქვამს, რომ "რომას" არასოდეს მიატოვებს. თუმცა, რამდენიმე დღის წინათ მან ძალზე საინტერესო რამ განაცხადა: "რომას" მხოლოდ იმ შემთხვევაში მიატოვებს, თუ "რეალში" თამაშის შანსი მიეცემა. "მინდა, რომ "რომასთან" ერთად, სულ ცოტა, ორი სკუდეტო მოვიგო", - განაცხადა ტოტიმ. ერთი სკუდეტო მას უკვე აქვს, მიმდინარე სეზონში კი "რომა" ლიდერია და ტოტის მეორე სკუდეტოს მოპოვების კარგი შანსი აქვს...

იტალიელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში პლატინიმ ფეხბურთის დღევანდელობაზეც ისაუბრა. მისი აზრით, მსოფლიოს საუკეთესო კლუბები "მილანი" და მადრიდის "რეალი" არიან.

მართალია, ტოტი ნამდვილად ერთგულია, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო კლუბში თამაშის შანსი მეტისმეტად მომხიბვლელია...

რაგბი

# წინასათასო ცვლილებები

პაატა თოთაძე

საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთადერთი გუნდი არ არის, რომელმაც მსოფლიო თასზე წარუმატებლად გამოსვლის გამო მწვრთნელი შეიცვალა. ევროპის ერთა თასის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რუმინეთის, ესპანეთისა და ჩეხეთის ნაკრებები.

რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ფრანგი ბერნარ შარერის გადადგომის თუ გადაყენების საკითხი ჯერ კიდევ მსოფლიო თასზე გადაწყდა - რუმინული რაგბის მმართველებმა ვერ აიტანეს მათი ნაკრების მარცხი ავსტრალიელებთან, ირლანდიელებთან და არგენტინელებთან. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მათ დიდი ანგარიშით მარცხმა შეულახა თავმოყვარეობა, თორემ რუმინეთის ნაკრები არ არის ის გუნდი, რომ ამ სამეულიდან რომელიმეს დამარცხება შეეძლოს. საქართველოს რაგბის კავშირისგან განსხვავებით, რუმინელებზე დიდად არ იმოქმედა მსოფლიო თასზე ინგლისის ნაკრების წარმატებამ და ახალი მწვრთნელის ძიება ისევ საფრანგეთში განაგრძეს. ფილიპ სოტონი - ასე ჟღერს რუმინელთა ახალი თავკაცის სახელი და გვარი. "ტულონის" ყოფილი ნახევარმცველი, შემდგომში კი საფრანგეთის ცხრამეტწლამდელთა მწვრთნელი რუმინელებს წლევანდელი ერთა თასის დასრულებამდე დაუკავშირდა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, გააგრძელებს თუ არა რუმინეთის რაგბის კავშირი კონტრაქტს ფრანგ სპეციალისტთან. ეს საკითხი, სავარაუდოდ, დადებითად გადაწყდება, რადგან რუმინეთის ნაკრებს, თავისი კლასიდან გამომდინარე, შეუძლია უკლებლივ ყველა მეტოქის დამარცხება, თანაც, კავშირის პრეზიდენტს, ოქტავიან მორარიუს თუ დავუჯერებთ, ერთი მარცხი არ უნდა გახდეს ახალი მწვრთნელისთვის უნდობლობის გამოცხადების საბაბი.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ბერნარ შარერი.

რუმინეთიდან წასვლის შემდეგ შარერი დიდხანს არ დარჩენილა უმუშევარი. მის მიმართ ინტერესი გამოამჟღავნა ესპანეთის რაგბის კავშირმა და ფრანგთან ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ ნაკრების მწვრთნელობაზეც დაითანხმა. ასე რომ, აქამდე ქართველთა ორჯერ დამმარცხებელი, ამიერიდან ბორჯღალოსანთა ძლევას ესპანელთა მეშვეობით შეეცდება.

ახალი მწვრთნელი ჰყავს ჩეხეთის ეროვნულ გუნდსაც. ეს პატივი ნაკრების ყოფილ კაპიტანს იან მაჰაჩეკს ხვდა წილად. აღმოსავლეთ ევროპაში ფრანგული რაგბი დომინირებს. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის, რომ მაჰაჩეკსაც ფრანგი მიშელ ბერნარდენი დაუყენეს თანაშემწედ. ჩეხეთის რაგბის კავშირის საიტზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საფრანგეთისა და ჩეხეთის რაგბის კავშირებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის "ა" და ჭაბუკთა ნაკრებები წლეულს გაეჯიბრებიან ჩეხებს. არ არის გამორიცხული, ჩეხებმა წლეულს შეკრება მოაწყონ საფრანგეთში, სადაც, წამყვან თუ არა, მეორე დივიზიონის კლუბებთან ექნებათ შეხვედრები. ერთი სიტყვით, წლეულს თუ არა, მომავალ წელს ჩეხეთის ნაკრები უთუოდ იქცევა იმ ძალად, რომელსაც არაერთი მეტოქის დამარცხება შეეძლება.

ჩოგბურთი

# ოლიმპიადა თუ „დიდი სლემი"?

### ...ალბათ, მაინც ოლიმპიადა

სანდრო ნავერიანი

*მთავარი თემა, რაც საჩოგბურთო სამყაროში ტრიალებს, 2004 წლის ოლიმპიური თამაშებია, რომელიც ათენში გაიმართება. აგვისტომდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ტოპ-ჩოგბურთელები უკვე იმაზე ფიქრობენ, თუ რისი მოგება ჯობს - ოლიმპიური თამაშების თუ "დიდი სლემის". ზოგიერთმა უკვე გადაწყვიტა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე საერთოდ არ მიიღებს მონაწილეობას, ზოგმაც სწორედ ათენში გამარჯვება დაისახა უმთავრეს მიზნად. მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები ენდი როდიკი და ჟუსტინ ენინ არდენი თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ და იმაზე ლაპარაკობენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას და მასში გამარჯვებას.*





ენდი როდიკი და ჟიუსტინ ენინ-არდენი ოლიმპიადაზე ითამაშებენ.

ათენის ოლიმპიური თამაშები ამერიკის ღია ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე დამთავრდება და ამიტომაც ზოგიერთმა ჩოგბურთელმა (რა თქმა უნდა, წამყვანებმა) უარი თქვეს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. ერთ-ერთი ასეთი 2001-2002 წლის ნომერ პირველი ჩოგბურთელი, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტია. მან განაცხადა, რომ გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს "დიდი სლემის" ტურნირში მოპოვებულ პირველობას, ვიდრე ოლიმპიურ ოქროს. მანვე თქვა, რომ "დევისის თასიც" კი უფრო მნიშვნელოვანია. ოლიმპიადა, უბრალოდ, სპექტაკლია, რომლის რეჟისორიც ჟაკ როგია. ამავე აზრისაა მისი ბელგიელი საცოლე კიმ კლიისტერსი. მაგრამ, ლეიტონისგან განსხვავებით, კლიისტერსს კიდევ ერთი მიზეზი აქვს იმისთვის, რომ უარი თქვას ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. ფირმა, რომელიც კიმ კლიისტერსს სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფს, ბელგიელის თქმით, ძალიან ბევრს ითხოვს მისგან. ასე რომ, ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტთან ერთად არც ბელგიელი კიმ კლიისტერსი მიიღებს მონაწილეობას ათენის ოლიმპიურ თამაშებში.

კლიისტერსის თანამემამულე და ქალთა შორის ნომერ პირველი ჩოგანი ჟუსტინ ენინ არდენი კი აცხადებს, რომ ყველაზე დიდ მნიშვნელობას სწორედ ოლიმპიურ ოქროს ანიჭებს და ამის გამომჟღავნების შანსი ჯერჯერობით პირველად მიეცა. "ოლიმპიადა ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და ამიტომ ჰგონიათ, რომ "დიდი სლემის" ტურნირები გაცილებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ასე არ არის და მე ამას დავამტკიცებ. მინდა, ჩემს ყველა თანამემამულეს ვუთხრა, რომ ოლიმპიური ოქრო არა მარტო პირადი, არამედ ქვეყნის მიღწევაა. მე მთელ ჩემს ძალას და ცოდნას გამოვიყენებ იმისთვის, რათა ოლიმპიური ოქრო მოვიპოვო და ამ ჯილდოს დიდი სიამაყით გადავცემ ჩემს ქვეყანას, რათა მომავალმა თაობამ იამაყოს თავისი ქვეყნით და, რა თქმა უნდა, ჩემითაც".

როგორც ხედავთ, ენინ არდენი ოპტიმისტურად და ოლიმპიურად არის განწყობილი ათენის თამაშების მიმართ.

2003 წლის ნომერ პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა ენდი როდიკმა განაცხადა, რომ ოლიმპიურ თამაშებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას და ეცდება, ამერიკას კიდევ ერთი ოლიმპიური ოქრო შესძინოს. როდიკს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ათენიდან ოქროს მედლით ჩავიდეს შეერთებულ შტატებში. რამდენად შეძლებს, ამას მომავალი გვიჩვენებს. მისი ოცნება "უიმბლდონის" ტურნირის მოგებაა. "უიმბლდონი" ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი თვით ადრე მთავრდება. "უიმბლდონზე" კი ჩოგბურთელი იმდენ ენერგიას ხარჯავს, რაც შეიძლება მთელი წლის განმავლობაში ეყოს. ასევე ფიქრობს ესპანელი ხუან კარლოს ფერერო. ის აუცილებლად გამოვა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე. "თუ ათენის თამაშებზე არ გამოვალ, მაშინ იმის შანსი, რომ ოდესმე ოლიმპიურ ოქროს მოვიპოვებ, მინიმალური იქნება – მომდევნო ოლიმპიური თამაშებისას 28 წლის ვიქნები". ცნობილია, რომ ჩოგბურთელები ოლიმპიურ თამაშებზე ერთხელ ან ორჯერ გამოდიან. გამონაკლისიც ყოფილა, როდესაც ამა თუ იმ ჩოგბურთელს სამჯერ უთამაშია ოლიმპიურ თამაშებში, მაგრამ სასურველი შედეგისთვის არავის მიუღწევია.

ოლიმპიადამდე კი ავსტრალიის ღია პირველობა იწყება და ყველა მაღალი კლასის ჩოგბურთელი ამ ტურნირის მოსაგებად ემზადება. ყველა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ეს ტურნირი მოიგოს. ამის შემდეგ ოლიმპიადაზეც შეიძლება ფიქრი.

მოკლედ

## ვიღაცას ტრუსი მოუპარავს...

საუთჰემპტონის სუვენირების გალერეიდან დიდი ამერიკელი მოკრივის მუჰამედ ალის ავტოგრაფით დამშვენებული მოკრივის ტრუსი მოიპარეს. ტრუსის გარდა, დაიკარგა ოთხი ფოტოსურათის სტელაჟიც. ერთ-ერთ მათგანზე სწორედ ალი იყო აღბეჭდილი.

საინტერესოა, რომ მძარცველებს უამრავი სხვა ექსპონატიდან ხელი არაფრისთვის უხლიათ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქურდები დაკვეთით მუშაობდნენ. პოლიცია კი, რომელიც მძარცველებს ეძებს, ფიქრობს, რომ მოპარული რელიქვიები მალე ერთ-ერთ ინტერნეტ-აუქციონზე გამოჩნდება.

ურიგო არ იქნებოდა, ორიოდე სიტყვა თავად ალიზეც გვეთქვა. მუჰამედ ალიმ კრივისადმი ინტერესი 12 წლის ასაკში გამოავლინა. მისი სპორტული კარიერის კულმინაცია რომის 1960 წლის ოლიმპიური თამაშები და იქ მოპოვებული ჩემპიონობაა. ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებიდან ერთ წელიწადში ჩემპიონს პროფესიული რინგისკენ გაუწია გულმა. სპორტული კარიერის მანძილზე დაახლოებით 60 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. კრივიდან წასვლა კი 1981 წელს გადაწყვიტა. ამ დროისთვის ალის 56 ბრძოლა ჰქონდა მოგებული, აქედან 37 -ნოკაუტით. სხვათა შორის, იმავე წელს გავრცელდა ხმები ალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ. დღეს მუჰამედ ალი პარკინსონითაა დავადებული. ჩემპიონი, რომელსაც 17 იანვარს 62 წელი უსრულდება, ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, დღესაც მსოფლიო კრივის ისტორიის უდიდესი ოსტატია.

## "ფერარიმ" ბარიკელო ორი წლით დაიტოვა

"ფერარის" ბრაზილიელ პილოტთან, რუბენს ბარიკელოსთან დაკავშირებით 2003 წლის სეზონის დასრულების შემდეგ უამრავი ჭორი გავრცელდა. ერთნი აცხადებდნენ, ბარიკელოს იტალიურ საჯინიბოზე გული აუცრუვდაო, მეორენი პირიქით, იმას ამტკიცებდნენ, ბრაზილიელს კვლავაც სურს, "ფერარის" საჭეს მიუჯდესო. ახლა კი ყოველივეს წერტილი დაესვა. ბარიკელომ წითელ ბარონთან კიდევ ორი წლით გაიხანგრძლივა ურთიერთობა. ანუ, ბრაზილიელი სკუდერიასთან კონტრაქტის თანახმად 2006 წლის ბოლომდე დარჩება. სწორედ ამ დრომდე აქვს კონტრაქტი დადებული "ფერარისთან" გერმანელ მეწყვილეს, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერსაც. ადრინდელი კონტრაქტი ბარიკელოს იტალიური საჯინიბოს ღირსების დაცვას 2004 წლის ბოლომდე ავალდებულებდა. ვიდრე კონტრაქტს ხელი მოეწერებოდა, არაერთი ჭორი გავრცელდა იმის თაობაზე, თითქოს იტალიურ საჯინიბოში ახალ პილოტს ელოდნენ.

მას შემდეგ, რაც 2000 წელს ბარიკელო "ფერარიში" გადაბარგდა, სკუდერიას კონსტრუქტორთა თასი არ დაუთმია. რაც შეეხება გასულ სეზონს, ბრაზილიელმა მთლიანობაში ორი გამარჯვება მოიპოვა: ერთი სილვერსტოუნზე (ბრიტანეთის გრან-პრი), მეორე - სუძუკაზე (იაპონიის გრან-პრი). წლის შედეგების შეჯამების მიხედვით კი საერთო ჯამში პილოტთა შორის მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. ამასობაში იტალიური საჯინიბო ახალი ბოლიდის - F2004 ტესტირებისთვის ემზადება. ტესტირებაც და პრეზენტაციაც 26 იანვარს შედგება. "ფერარის" სპორტული დირექტორის ჟან ტოდტის ადრეული განცხადების თანახმად, სკუდერია 2004 წლის სეზონს აუცილებლად ახალი ბოლიდით დაიწყებს.

## ბობოლა კორეელს სატუსაღოში ექაჩებიან

მსოფლიო სპორტის ერთ-ერთ გავლენიან ფიგურას, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) სამხრეთკორეელ ვიცე-პრეზიდენტს, კიმ უნ იონგს შავი დღეები უდგას. სეულის პროკურატურამ მაღალჩინოსნის დაპატიმრების ორდერი გასცა. სხვადასხვა დროს კიმ უნ იონგი ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს და ტხეკვონდოს საერთაშორისო ფედერაციებს ხელმძღვანელობდა. პარალელურად დიპლომატიურ სარბიელზეც მოღვაწეობდა. ეროვნული კრების დეპუტატიც გახლდათ.

რას ერჩიან? კიმ უნ იონგს მილიონების მითვისებასა და ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ! კერძოდ, კორეელ ჩინოვნიკს ორი ბიზნესმენისგან 419 ათასი დოლარის ოდენობის ქრთამის აღება ბრალდება. ამ თანხის სანაცვლოდ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაწევრიანებისთვის რამდენიმე წევრისთვის პროტექცია უნდა გაეწია. გარდა ამისა, მას ბრალი ედება მილიონობით დოლარის გაფლანგვაში, რომელიც ბიზნესმენების მიერ ტხეკვონდოს საერთაშორისო ფედერაციის გარკვეული საქმიანობის უზრუნველსაყოფად იყო გამოყოფილი.

მაღალჩინოსნის დაპატიმრების საბოლოო გადაწყვეტილებას თუ განაჩენს მას შემდეგ გამოიტანენ, როდესაც 72 წლის ბობოლას ჯანმრთელობის მდგომარეობას გამოიკვლევენ. გუშინ საღამოს კორეელმა ჩინოვნიკმა თავი ცუდად იგრძნო და საავადმყოფოში დააწვინეს.

ბინის ჩხრეკისას უნ იონგს აღმოუჩინეს უცხოური ვალუტა, ოქროს ნაკეთობანი, ბრილიანტები და სხვა ძვირფასი ქვები, რომლის საერთო ღირებულებამაც 5,1 მილიონი დოლარი შეადგინა. კორეელის ირგვლივ ატეხილმა სკანდალმა ეს უკანასკნელი აიძულა, ცოტა ხნის წინათ პარლამენტარის მანდატი დაეთმო და ტხეკვონდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან გადამდგარიყო.

TV–სპორტი

### ხუთშაბათი. 15 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1981. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "PHILADELPHIA 76 ERS" - "MILWAUKEE BUCKS". მე-7 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "იუვენტუსი" – "გალათასარაი"
15:10 საფეხბურთო არდადეგების დღეებში. ჰოლანდიის ჩემპიონატი. "აიაქსი" – "ფეიენოორდი"
16:55 თავისუფალი დარტყმა
17:10 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:05 "დარტყმა გულისთვის"
18:20 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები. ბრაზილია – ავსტრალია
20:10 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
20:40 "FUTBOL MUNDIAL"
21:10 თავისუფალი დარტყმა
21:25 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:35 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
23:20 თავისუფალი დარტყმა
23:35 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "იუვენტუსი" – "გალათასარაი"
01:30 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:25 02:25-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. "MELWAUKEE BUCKS" - "NEW JERSEY NETS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:15, 16:45, 20:00, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
12:15 "Power week – NHL-ის კვირა"
12:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი კანადაში
13:15 ათენის გზაზე
14:30 ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი. ვაჟები
17:00 ფრენბურთი. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი გერმანიაში. ვაჟები. ფინალი
18:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
19:00 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
19:30 "სპორტის აკვატორია"
20:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წინ
21:15 "მოტოვებული კვირა"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 NBA საკალათბურთო მიმოხილვა
23:00 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკან-ზეეში
23:30 ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები
02:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
02:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**
11:30 რალი – რეიდ დაკარი
12:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი კანადაში
12:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი იტალიაში
13:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ესპანეთში
14:45 რალი – რეიდ დაკარი
15:15 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები
15:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
17:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
19:00 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები
19:15 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები
19:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრალიაში
21:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
22:30 ფეხბურთი. ეფეს პილსის თასი
00:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:30 რალი – რეიდ დაკარი
02:00 ახალი ამბები
02:15 კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიაში
03:45 რალი – რეიდ დაკარი
04:15 ახალი ამბები

# მარსის ოდისეა წითელ პლანეტაზე სიცოცხლის ნიშნებს ეძებს

მერაბ ლორთქიფანიძე

აშშ-ის კოსმოსური კვლევის სააგენტომ (NASA) ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში გაუშვა ორი კოსმოსური ხომალდი, რომლებსაც მარსის ზედაპირზე ორი საკვლევი ზონდი, "სპირიტი" და "ოპორტუნიტი" უნდა გაეგზავნათ. კოსმოსურმა მატარებლებმა წითელ პლანეტამდე მილიონობით კილომეტრი გაიფრინეს და თუ "სპირიტის" დაშვება წარმატებით განხორციელდა, "ოპორტუნიტის" ჩვენი მეზობელი პლანეტა 24 იანვრისთვის ელის.

ამერიკელთა მიერ გაგზავნილი აპარატების მარსის ორბიტაზე გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ კი 25 დეკემბერს, პლანეტაზე დაშვება სცადა კოსმოსური კვლევის ევროპული სააგენტოს მისიამ სახელად "ბიგლ 2", მაგრამ როგორც ჩანს, მასზე ევროპელებმა ტყუილად დახარჯეს 300 მილიონი ევრო, რადგან "ბიგლმა" პლანეტის ზედაპირს კი მიაღწია, მაგრამ რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, ტრაექტორიას გადაუხვია და როგორც ჩანს, ღრმა კრატერში ჩავარდა, საიდანაც ვერ ახერხებს მატარებელ "მარს ექსპლორერთან", მისი საშუალებით კი მართვის ცენტრთან დაკავშირებას.

არსებობს კიდევ ერთი ვარაუდი იმისა, თუ რატომ ვერ ახერხებს "ბიგლი" მართვის ცენტრთან დაკავშირებას – ამ ვარაუდის მიხედვით, ცუდად იმუშავა სამუხრუჭე პარაშუტების სისტემამ და არც პნევმატურმა ბალიშებმა გაამართლა. შედეგად, აპარატი დაიმსხვრა.

კრახის მიუხედავად, ევროპელები არ ცხრებიან და აცხადებენ, რომ უკვე მუშაობენ მარსზე "ბიგლ 3"-ის მივლინებაზე. ამასთან, ისინი აღიარებენ, რომ "ბიგლ 2" ერთგვარად რისკიანი პროექტი იყო, რაც მომდევნო მისიისთვის გასათვალისწინებელი ფაქტორია.

თუ ევროპული მისია უშედეგოდ დასრულდა, ამერიკელების პირველმა წარგზავნილმა, აპარატმა "სპირიტ", ყოველგვარი გართულების გარეშე შეძლო პლანეტის ზედაპირზე დაშვება და იქიდან უმაღლესი ხარისხის ორ და სამგანზომილებიან ფოტოებსაც გზავნის დედამიწაზე.

## ექვსი ჯოჯოხეთური წუთი

3 იანვრის საღამოს NASA-ს დირექტორმა შონ ოკიფმა "უმნიშვნელოვანესი საღამო" უწოდა. მისი ემოციები კი არავის გაჰკვირვებია, რადგან "სპირიტს" აშკარად გაუმართლა – იგი დაჯდა ზედაპირზე, სადაც პრაქტიკულად არ ყრია დიდი ზომის ლოდები.

კოსმოსურ ხომალდთან დაშორების შემდეგ "სპირიტი" დაახლოებით 19000 კმ/სთ სიჩქარით გაეშურა მარსის ზედაპირისკენ. აქედან მოყოლებული, დაიწყო მისიის ყველაზე საპასუხისმგებლო ექვსი წუთი, რომელსაც კალიფორნიის პასადენაში მდებარე რეაქტიული მოძრაობის ლაბორატორიაში "ექვსი ჯოჯოხეთური წუთი" უწოდეს. სწორედ ამ წუთებში უნდა გარკვეულიყო, ამაო იყო თუ არა მასზე გაწეული უზარმაზარი ხარჯი – 820 მილიონი დოლარი.



ამგვარად შეფუთული დაეშვა "სპირიტი" მარსზე.

დაშვების პროცესი ოთხ ნაწილად განხორციელდა. ზონდმა პირველ რიგში სამუხრუჭე პარაშუტი გახსნა, რასაც მოჰყვა თერმოფარისა და რეაქტიული დამუხრუჭების სისტემის ამოქმედება. ზედაპირთან შეხების შესარბილებლად კი "სპირიტი" გიგანტური პნევმობალიშებით "შეიმოსა". დაშვებიდან პირველი დღეების განმავლობაში "სპირიტი" თანდათან თავისუფლდებოდა კაპსულის კედლებისგან და პნევმობალიშებისგან. ამასთან, წარმატებით განახორციელა მზის ელემენტებით აღჭურვილი პანელების გაშლა.

"სპირიტი" ქოლგის ზომის უძრავ "ბიგლზე" დაახლოებით 15-ჯერ დიდია (დაახლოებით გოლფის კარის ზომისაა) და 173 კილოგრამს იწონის, თანაც, გადაადგილებაც შეუძლია. იგი თავის მისიას 90 დღის განმავლობაში განახორციელებს და ამ დროში დაახლოებით 660 მეტრს გაივლის თავისი ექვსი მუხლუხო-ბორბლის დახმარებით. იგი ფაქტობრივად უმაღლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ გეოლოგიურ მინი-ლაბორატორიას წარმოადგენს, რომლის დანიშნულებაა მარსის ზედაპირის დაწვრილებითი შესწავლა. მისიის დრო შეზღუდულია, რამდენადაც ფოტოელემენტების ზედაპირი, რომლებმაც "სპირიტი" მზის ენერგიით უნდა "გამოკვებოს", ამ დროში მტვრით დაიფარება, რის შემდეგაც ველარ შეძლებს სინათლის ელექტროენერგიად გადამუშავებას.

"სპირიტი" დაჯდა გუსევის კრატერში, სადაც სპეციალისტების ვარაუდით, ოდესღაც ტბა მდებარეობდა. მისიამ ეს ადგილი სპეციალურად შეარჩია, რადგან ვარაუდობენ, რომ მისი ზედაპირიდან აღებული სინჯების მეშვეობით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, თუ რატომ გაქრა მარსის ზედაპირიდან ნესტი. სწორედ ამის გარკვევაა "სპირიტის" მისიის მთავარი ამოცანა.

მარსის ზედაპირზე დაშვებიდან 9 დღის განმავლობაში "სპირიტი" გაუნძრევლად უნდა მდგარიყო, რათა ამ პერიოდში მზისგან ასამოძრავებლად აუცილებელი ენერგია მიეღო. თუმცა, ამოძრავებამდე აპარატმა დაიწყო მართვის ცენტრში ფოტოსურათების გადმოგზავნა. პირველ რიგში ეს ფოტოები შავთეთრი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მუშაობა დაიწყო აპარატის პერისკოპებმა და მათზე დამონტაჟებულმა ულტრათანამედროვე პანორამულმა აპარატებმა, შესაძლებელი გახდა დიდი გარჩევადობის ფერადი ფოტოების გადაღებაც.

## "საფოსტო ბარათი" მარსიდან

6 იანვარს NASA-ს მკვლევარებმა მედიას წარუდგინეს გუსევის კრატერიდან (მისი ფართობი დაახლოებით აშშ-ის შტატ კონექტიკუტისას უტოლდება) "სპირიტის" ტყუპი პერისკოპ-კამერით გადაღებული მარსის ზედაპირის პანორამული ფოტოსურათი, რომელიც ფაქტობრივად უამრავი მომცრო ზომის ფოტოსურათის ნაერთს წარმოადგენს. მასზე კარგად ჩანს გუსევის კრატერის ლანდშაფტი, სადაც თვალში გხვდება უნაყოფო, ქვიშაში ჩაფლული ქვებით დაფარული უდაბნო.

ფოტოები იმდენადაა საინტერესო, რომ მათზე კარგად ჩანს ქვების ფორმა და აგებულება, ქარებისგან გამომშრალი კენჭები და ქარბუქების მიერ დატოვებული ტალახის კვალი. ყველაზე საინტერესო სწორედ ეს კვალია, თუმცა მეცნიერები აცხადებენ, რომ აქ ტალახს არაფერი ესაქმება. "ეს ლაქები ტალახს კი წააგავს, მაგრამ ამგვარი რამ გამორიცხულია. აქ სრულიად სხვა რამესთან გვაქვს საქმე", - ამბობს NASA-ს პასადენას ლაბორატორიის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარი სტივენ სკვაიერსი.



ასე გამოიყურება "სპირიტი".



"სპირიტის" ტყუპი კამერების მიერ გადაღებული ფერადი ფოტოები 16-ჯერ მეტი გარჩევადობისაა, ვიდრე იმავე ზონდის მიერ დაშვების შემდეგ გადმოცემული შავ-თეთრი ფოტოები. ამასთან, ეს ფოტოები სამ-ოთხჯერ უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე მარსის აქამდე არსებული საუკეთესო ფოტოები, რომლებიც დედამიწაზე 1997 წელს გადმოსცა მისია "პატფინდერის" აპარატმა.

## "სპირიტის" პირველი პრობლემები

8 იანვარს სპეციალისტებს "სპირიტის" გზიდან უნდა მოეშორებინათ ის წინაღობები, რომლებსაც დაშვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოყენებული პნევმობალიშების არასაკმარისად დაჩუტული ტომრის გარსი ქმნის. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მოდულის ზედაპირიდან ჩამოსვლისას "სპირიტი" შეიძლება ამ გარსს წამოედოს და იქვე ჩარჩეს. ასევე შესაძლებელია მზის ბატარეების და იმ მანიპულატორების დაზიანება, რომლებიც "სპირიტის" პროდუქტიული მუშაობისთვისაა აუცილებელი.

იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი გზით "სპირიტის" მოდულიდან ჩამოსვლა ვერ განხორციელდებოდა, ექსპედიციას კიდევ ორი სარეზერვო ვარიანტი გააჩნდა, თუმცა ისინი აპარატს საკმაო ხიფათს უქმნიდნენ. კერძოდ, არ იყო გამორიცხული, რომ ამ დროს მას საკმაოდ რთული პირუეტების განხორციელება მოუწევდა, რასაც შეიძლება მისი დაზიანება გამოეწვია.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ "სპირიტის" გადაადგილება პასადენას მართვის ცენტრიდან რადიოსიგნალების საშუალებით ხორციელდება. ამ სიგნალებს კი წითელ პლანეტამდე მისაღწევად მინიმუმ, ოთხი წუთი ესაჭიროებათ. ამ დროის განმავლობაში მარსზე სიტუაცია შეიძლება ძლიერ შეიცვალოს. ფაქტობრივად, სპეციალისტებს ბრმად უწევთ "სპირიტის" მართვა.

პარალელურად, პასადენაში იმაზეც ზრუნავენ, რომ მარსზე დაშვება განახორციელოს მარსმავალმა სახელად "ოპორტუნიტი", რომლის წითელ პლანეტაზე დაშვებაც 24 იანვრისთვისაა დაგეგმილი. ეს აპარატი პლანეტაზე გუსევის კრატერის საპირისპირო მხარეს უნდა დაჯდეს. იმ არეალში დღეისათვის მტვრის ქარიშხალი მძვინვარებს, რომელიც ატმოსფეროს მახასიათებლებს (ტემპერატურას და სიმკვრივეს) მნიშვნელოვნად ცვლის, რასაც "ოპორტუნიტის" დაშვებისას მნიშვნელოვანი პრობლემების შექმნა შეუძლია.

## ბუში მარსზე ადამიანსაც გააგზავნის

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი წლის წინ ამერიკულმა კოსმოსურმა სააგენტომ სერიოზული კრახი განიცადა, როცა ატმოსფეროში შემოსვლისას კატასტროფა განიცადა კოსმოსურმა ხომალდმა "შატლმა", მარსის ექსპედიციის პირველი წარმატებული დღეების შემდეგ ბუშის ადმინისტრაციამ მოამზადა პროექტი, რომელიც უახლოეს ათწლეულში წითელ პლანეტაზე ადამიანის გაგზავნას, მთვარეზე კი მუდმივი კოსმოსური სადგურის აშენებას ითვალისწინებს.

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ეს პროგრამა ოთხშაბათს (ჩვენი დროით ხუთშაბათ დილით) უნდა გამოექვეყნებინა. ზოგიერთი მოსაზრებით, ეს იქნება წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მარსსა და მთვარეზე ადამიანის მივლინების იდეა ჯერ კიდევ უფროს ჯორჯ ბუშს აწუხებდა მისი პრეზიდენტობის დროს. სპეციალისტების წინასწარი ვარაუდით, მარსისა და მთვარის ათვისების განსახორციელებლად საჭირო იქნება, არც მეტ, არც ნაკლები, 400 მილიარდი დოლარი (!). ასეა თუ ისე, თუ ბუშის პროგრამა განხორციელდა, ადამიანი მთვარეს მეორედ 2013 წელს ესტუმრება.

**P.S.** ბოლო ინფორმაციით, "სპირიტმა" 10 იანვარს ექვსივე ბორბალი "გაშალა" და პრაქტიკულად გაემზადა მარსის მოდულთან დასაშორებლად. სიმბოლურია, რომ როცა ეს ოპერაცია ხორციელდებოდა, პასადენაში განლაგებულ მართვის ცენტრში ბობ მარლის სიმღერა Get Up, Stand Up ისმოდა. რობოტის ფეხზე დაყენების ოპერაციის ხელმძღვანელ კრის ვურხისის სიტყვებით, ეს იყო ერთ-ერთი ურთულესი ოპერაციათაგანი, რომლებიც კი ოდესმე კოსმოსურ რობოტებს განუხორციელებიათ.

თუმცა, ყოველივე მაინც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ "სპირიტი" უსაფრთხოდ გადავიდეს მარსის ზედაპირზე. ამ, არანაკლებ რთული ოპერაციის ჩატარება 14 იანვრისთვის (ჩვენი დროით 15 იანვრის დილისთვის) გადაიდო, მანამდე კი "სპირიტმა" პასადენაში მორიგი 225 ფერადი ფოტო და მარსის ზედაპირის პირველი სპექტროგრამები გამოაგზავნა, ამ უკანასკნელზე კი მეცნიერებმა წყლის კვალი აღმოაჩინეს.

# კოსმოსური ხომალდი კომეტას გამოიკვლევს

აშშ-ის კოსმოსური კვლევის ეროვნული სააგენტოს (NASA) მიერ გაშვებული ხომალდი "სტარდასტი" (ვარსკვლავების მტვერი) კომეტა "უაილდ 2"-ის შესასწავლად იქნა გაშვებული კოსმოსში და როგორც ჩანს, მან თავისი მისიის პირველი ნაწილი წარმატებით დაასრულა.

იმ დროს, როდესაც კომეტის ბირთვის ჩვენი პლანეტიდან 389 მილიონი კილომეტრით იყო დაშორებული, "სტარდასტი" მას დაახლოებით 240 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდა და კოსმოსური მტვერის ათასობით ნიმუში შეაგროვა, რომლებსაც თავადაც გამოიკვლევს და თუ დედამიწაზე დაბრუნდა, მეცნიერებს შესანიშნავ საჩუქარსაც ჩამოუტანს შორეული მოგზაურობიდან.

200 მილიონი დოლარის ღირებულების "სტარდასტს" კოსმოსური მტვრის შესაგროვებლად აქვს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც რაღაცით ჩოგანს მოგვაგონებს. იგი დამზადებულია მასალისგან, რომელსაც აეროგელს უწოდებენ და მის 99.8 პროცენტს ჰაერი შეადგენს. სწორედ მსგავსი "ამკრეფის" საშუალებით მოხერხდა 1999 წელს ვარსკვლავთშორისი მტვერის შეგროვება.



"სტარდასტს" ჩვენი პლანეტის სიახლოვეს 2006 წლისთვის ელიან. იგი იუტას შტატის ტერიტორიაზე ჩამოაგდებს კოსმოსში შეგროვებულ ძვირფას ტვირთს. სააგენტოს მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მისიის ბოლომდე განხორციელების შემთხვევაში, მათ საშუალება ექნებათ, დაწვრილებით შეისწავლონ კოსმოსური მტვრის აგებულება. მოპოვებულ მასალას ასევე ბევრი პასუხის გაცემა შეუძლია კოსმოსის ისტორიასთან დაკავშირებულ კითხვებზე.

NASA-ს ზონდი ხუთი წლის წინ იქნა გაშვებული. კომეტამ, რომლის ბირთვის დიამეტრიც 5.4 კილომეტრს შეადგენს, ხუთმეტრიან "სტარდასტს" 21960 კმ/სთ სიჩქარით ჩაუქროლა, მაგრამ მისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, დონ ბრაუნლის თქმით, ამას ზონდი არ დაუზიანებია.

"კომეტები ყინულისგან შედგებიან. ისინი ძალიან დაბალ ტემპერატურას ინარჩუნებენ შექმნის წუთებიდანვე. დაბალი ტემპერატურა კომეტებში არსებულ მატერიას გადახურებისგან იცავს. ამგვარად, შეიძლება ვარაუდი, რომ მათი შემადგენლობა წარმოქმნის დღიდან არ შეცვლილა. ეს ის პერიოდია, როცა მთლიანად მზის სისტემა ყალიბდებოდა. ასე რომ, კომეტების შესწავლას სამყაროს ისტორიის ბევრი ნიუანსის გამოაშკარავება შეუძლია. "სტარდასტის" მიერ მოპოვებული მტვერი ჩვენთვის წარმოადგენს დროის ერთგვარ მცირე კაფსულას, რომელშიც 4.5 მილიარდი წლის წინანდელი ინფორმაციაა თავმოყრილი", - აცხადებს მისია "სტარდასტის" ბრიტანელი მონაწილე, დოქტორი საიმონ გრინი.

## ესპანეთს ასტონიანი მეტეორიტი დაეცა

ოთხიოდე დღის წინ უცნაური სანახაობის მომსწრენი გახდნენ ესპანეთის მცხოვრებნი – ღამით ცაზე მოულოდნელად გამოჩნდა "ცეცხლოვანი ბირთვები", რომლებმაც პირენეის ნახევარკუნძულს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გადაუფრინეს.

როგორც გაირკვა, უჩვეულო ატმოსფერული მოვლენა მსხვილი მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგი იყო, რომლის ფრაგმენტებიც პროვინციების, ლეონისა და პალენსიას საზღვარზე ჩამოცვივდა.

"ცეცხლოვანი ბირთვების" ჩამოვარდნას თან სდევდა ძლიერი ხმაური, რომელიც მძლავრი აფეთქებით დასრულდა. გალისიის ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორ ხოსე ანხელ დოკობოს განცხადებით, მეტეორიტის მასა შეიძლება 50-100 ტონის ფარგლებში ყოფილიყო. უკვე ნაპოვნია მეტეორიტის რამდენიმე ფრაგმენტი. რაც მთავარია, მის ჩამოვარდნას ნგრევა და მსხვერპლი არ გამოუწვევია.

## საწვავს მთვარიდან ჩამოგვიტანენ

რუსი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ჩვენს პლანეტას გლობალური ენერგეტიკული კრიზისიდან იხსნის მთვარიდან ტრანსპორტირებული ენერგომატარებლები.

"მომავალი საუკუნის შუაწელში დედამიწაზე პრაქტიკულად ამოიწურება ენერგიის ჩვეულებრივი წყაროები. ბირთვული ენერგიის რესურსები კი პლანეტას არ ეყოფა. სწორედ ამიტომ, დღესვე საჭიროა ალტერნატიულ ენერგომატარებლებზე ფიქრი", - საპლანეტთაშორისო კოსმოსურ აპარატ "ლუნა-1"-ის გაშვების 45 წლისთავისადმი მიძღვნილ სემინარზე განაცხადა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური ბიუროს წევრმა, აკადემიკოსმა ერიკ გალიმოვმა. მანვე მიუთითა, რომ ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა შეიძლება გახდეს მთვარეზე თერმობირთვული სინთეზით ენერგიის გამომუშავება და მისი შემდგომი ტრანსპორტირება დედამიწაზე. გალიმოვის თქმით, მთვარის გამოყენება ხელსაყრელი იქნება არამხოლოდ ენერგეტიკული პრობლემების მოსაგვარებლად, არამედ მასზე შეიძლება ასევე შორეული კოსმოსის კვლევის სადგურების განთავსება. იქვე განლაგდება ასტეროიდების მოძრაობის მონიტორინგის ბაზა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი პლანეტისთვის პოტენციურად საშიში კოსმოსური ობიექტების მოძრაობას. გარდა ამისა, მთვარის დაწვრილებით შესწავლამ მეცნიერებს შეიძლება დედამიწის ფორმირების ზოგიერთი პროცესის და ევოლუციის ახსნაშიც შეუწყოს ხელი.

## დედამიწის მაგნიტური ველი უჩინარდება

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ განუხრელად მცირდება ჩვენი პლანეტის მაგნიტური ველის ძალა, რაც დედამიწას და მის ბინადარ ცოცხალ ორგანიზმებს მზიდან წამოსული მეტისმეტად სახიფათო გამოსხივებისა და რადიოაქტიური ნაწილაკებისგან იცავს.

ჰარვარდის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ 1845 წლიდან მოყოლებული, დღემდე პლანეტის მაგნიტური ველის ძალამ დაახლოებით ათი პროცენტით იკლო და ყოველწლიურად აგრძელებს კლებას.

უფრო მეტიც, ჰარვარდელებმა უკვე გამოითვალეს ისიც, რომ დედამიწა დაახლოებით 1500-2000 წლის შემდეგ ამ ველის გარეშე დარჩება. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მისი ძალის კლება მანამდე არ გამოიწვევს კატაკლიზმებს. მაგალითად, უკვე დღეისათვის კოსმოსური რადიაციის ინტენსივობა ატლანტიკის თავზე უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე პლანეტის სხვა ნაწილში. ეს კი აქტუალურია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ევროპიდან ამერიკაში და პირუკუ ხშირი გადაფრენები უწევთ. ერთი ასეთი გადაფრენის დროს ადამიანი რადიაციის წლიურ ნორმას ითვისებს. დაახლოებით 800 ათასი წლის შემდეგ სრულიად შეიცვლიან თავიანთ მდებარეობას დედამიწის მაგნიტური პოლუსები, ასეთი რამ კი პლანეტის არსებობის ისტორიაში უკვე არაერთხელ მომხდარა.

# ფეხბურთი მოდაში და პირიქით



ყველაფერი დევიდ ბექჰემით დაიწყო და დღეს უკვე მოდას ახალი სექს-სიმბოლო ჰყავს - ფეხბურთელი. ის როკ-ვარსკვლავებისა და მსახიობების მსგავსად მამაკაცურობის იდეალს წარმოადგენს.

ჯორჯო არმანი და "დოლჩე & გაბანა", დონატელა ვერსაჩე და ვივიენ ვესტვუდი, ყველა, ვინც 2004-05 წლების ზამთრის სეზონის მზა ტანსაცმლის კოლექციებს უჩვენებს, მთავარ ფსონს ევროპელ ფეხბურთელებზე დებს. გარდა იმისა, რომ სპორტსმენებს პოდიუმებზე სასეირნოდ ეპატიჟებიან, მათ მოღვაწეობას ფოტო-გამოფენებსაც უძღვნიან, ადგენენ წიგნებს, იწვევენ ჩვენებების შემდეგ გამართულ წვეულებებზე, ერთი სიტყვით, შთაგონებას იღებენ მათი ჩაცმულობისგან.

"ისინი თანამედროვე მოდის ახალი კერპები არიან: ახალგაზრდები, ხშირ შემთხვევაში სიმპათიურები და ძალიან, ძალიან მდიდრები", - წერენ სტეფანო გაბანა და დომენიკო დოლჩე ახალ წიგნში "კალჩო", რაც იტალიურად ფეხბურთს ნიშნავს და ფეხბურთსა და ფეხბურთელებს ეძღვნება.

კვირას კი, კოქტეილ-წვეულების თანხლებით, ჯორჯო არმანიმ გახსნა ფოტო-გამოფენა სახელწოდებით "სპორტის სახეები". გამოფენილია იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავების პორტრეტები და ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულთა ფოტოებიც. მოგვიანებით გამოფენას არმანი ერთ წიგნად აქცევს. შემოსულ თანხას კი ინვალიდ ათლეტთა ოლიმპიურ კომიტეტს გადაურიცხავს.

ასე რომ, დევიდ ბექჰემის მცდელობა უშედეგოდ ნამდვილად არ ჩაუვლია. მისი ჰიპური ტანსაცმელი, საყურე, ქერა კუდი – ეს სტილი მოდური ფეხბურთელის სტანდარტად იქცა და მას ბევრმა სხვა სპორტსმენმა და ფანმაც მიბაძა. მეტიც, შარშან "დოლჩე & გაბანამ" ბექჰემს მთელი კოლექცია მიუძღვნა, არმანიმ კი "ბექჰემი" დაარქვა თავის ცნობილ ქურთუკს.

სპორტული შთაგონებით იყო სავსე "დოლჩე & გაბანას" ბოლო მილანური ჩვენებაც. დიზაინერებმა რომის ტრევის შადრევანის ასლი თავიანთ სტუდიაში გადაიტანეს და ერთმანეთს შეუთავსეს მარჩელო მასტროიანისა და ბექჰემის სტილი.

მილანში იყო ვივიენ ვესტვუდი და კრისტოფერ ბეილიც – ინგლისიდან. ჩვენების ბოლოს წითელი ვარდებით წარმატება ვესტვუდს კარლო კუდიჩინიმ – "ჩელსის" იტალიელმა მეკარემ მიულოცა (ვესტვუდი, რომელიც კოლექციებს ძირითადად იტალიაში აკეთებს ახლა მილანში საკუთარ მაღაზიასაც ფლობს).

"ბარბერის" ჩვენებასაც დონატელა ვერსაჩესთან ერთად ანდრეი შევჩენკო ესწრებოდა. "მილანის" უკრაინელი თავდამსხმელი თურმე დიდ პატივს სცემს "ვერსუსის" ახალგაზრდულ კოლექციებს, მაგრამ ოფიციალური შეხვედრებისთვის "ვერსაჩეს" ნაცრისფერ სამნაწილიან კოსტუმს ამჯობინებს ხოლმე.

ფეხბურთის სტილსა და კულტურაში შეჭრის თემას აგრძელებს ბუენოს აირესში დადგმული მიუზიკლიც "ნომერი ათი: სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის", რომელიც მარადონას მიეძღვნა. სპექტაკლში ყველაფერი დიდი გულწრფელობით ყოფილა გადმოცემული, მათ შორის, ნარკოტიკის პრობლემაც. თურმე, პირველივე სცენაში ჩანს ახალგაზრდა მარადონა რომელიღაც პარიზულ წვეულებაზე. მას მომხიბვლელი ქალი უახლოვდება, პატარა კოლოფს აჩვენებს და ეკითხება, - "გინდა, ცოტა გაგასინჯო?" "რა უნდა გამასინჯო?" – კითხვას უბრუნებს დაბნეული მარადონა... შემდეგ უკვე ის ფეხბურთის მოედანზე მუხლებზეა დამხობილი და ვარსკვლავებით სავსე ცას გასძახის: "ღმერთო, რად მინდა მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელის სახელი, თუ ბედნიერი მაინც არ ვარ?"

მსგავსი ფრაზების გამო, ბევრმა კრიტიკოსმა დაასკვნა, რომ მიუზიკლი სავსე იყო ყალბი პათეტიკით და ის სენტიმენტალურ ზღაპარს უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალურ ცხოვრებას. ზოგმაც პირდაპირ თქვა, როდის იყო, დიეგო ასეთი სიტყვებით ლაპარაკობდაო. თუმცა, ასეა თუ ისე, ხალხმა მიუზიკლი მაინც სიამოვნებით მიიღო. მართალია, თვითონ მარადონა პრემიერას არ დასწრებია, მაგრამ პროექტი სწორედ მისი თანხმობის შემდეგ განხორციელდა.

თეორეტიკოსებმა კი გადაწყვიტეს, რომ მარადონას მიუზიკლიც ფეხბურთისა და კულტურა-სტილის ურთიერთობის საუკეთესო მაგალითია.

# ჯეკ ბლეკის
## აღშფოთების საგანი




ჰოლივუდის მსახიობი ჯეკ ბლეკი თავის კოლეგის, ჯენიფერ ლოპესის წარმატების გამო აღშფოთებას ვერ მალავს. "ის, რომ ვიღაცა უკანალის ქნევით ახერხებს კარიერის გაკეთებას, სრულიად აბსურდულ რამედ მიმაჩნია," განაცხადა 34 წლის მსახიობმა ჟურნალ Brigitte Young Miss-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. მიუხედავად იმისა, რომ ჯეკი თავადაც სიამოვნებით აჩენს ხოლმე კამერის წინ თავის უკანალს, ჯენიფერის საჯდომი მას ძალიან აბრაზებს: "ამ ამბავს MTV-ს უნდა ვუმადლოდეთ".

საერთოდ, ჯეკ ბლეკს ბევრი რამ არ მოსწონს, მათ შორის პოპ-ვარსკვლავი ენრიკე იგლესიასიც: "მას მერე, რაც ამ წყეულმა იგლესიასმა რაღაც-რაღაცეები მიიჭრ-მოიჭრა, მის კომპაქტ-დისკებს კიდევ უფრო ბევრი ქალი ყიდულობს". მან აქვე სასწრაფოდ დაურთო, რომ იგლესიასის ქალებთან წარმატება სულაც არ შურს: "უკვე შვიდი წელია, ჩემს შეყვარებულთან ერთად ვარ. მეტი ქალის ყურადღება ნამდვილად ზედმეტი იქნებოდა".

# "...იმისთვის, რომ გულისამრევი იყოს"

შეერთებული შტატების ჟურნალისტების თქმით, პერის ჰილტონი, სასტუმროს მფლობელთა მემკვიდრე, უფრო ხშირად გახდილია ხოლმე, ვიდრე ჩაცმული. მიუხედავად ამისა, მან ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმული ქალების სიაში პირველი ადგილი დაიკავა.

ამ სიის გამომქვეყნებელი, ამერიკელი მოდის კრიტიკოსი რიჩარდ ბლეკველი თავის გადაწყვეტილებას ამგვარად ასაბუთებს: "პერისი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გულსამრევი იყოს, და ცდილობს, ეს სხვებსაც გადასდოს. მისი დიდებული ტელეშოუც ამას ისახავს მიზნად" – საუბარია სერიალ "უბრალო ცხოვრებაზე", რომელიც შეერთებულ შტატებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

"2003 წლის მოდის ტერორისტთა" ათეულში მოწინავე პოზიციები მადონას, ბრიტნი სპირსს, შანია ტვეინს, დაიანა კიტონს და სელინ დიონს უკავიათ.

"მოდის მამა" განსაკუთრებით MTV-ს ჯილდოების გადაცემაზე მადონასა და ბრიტნი სპირსის კოცნითაა შეძრწუნებული. მართალია, მან ვარსკვლავებისთვის კეთილი სიტყვაც გაიმეტა: "მრავალი მათგანი უწინდელზე ბევრად უკეთ გამოიყურება, ათი საშინლად ჩაცმულის პოვნა საკმაოდ ძნელი იყო". საუკეთესოდ ჩაცმულ გამოჩენილ ადამიანთაგან დიზაინერმა ნიკოლ კიდმანი გამოჰყო.

## სკანვორდი









## TV პროგრამა

15 იანვარი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **09.40** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **10.10** მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** კურიერი **11.15** მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" **12.20** მხ. ფილმი "ჯადოსნური ზღაპარი" **15.20** მხ. ფილმი "ფორსაჟი" **16.00, 17.00, 18.00, 21.00** კურიერი **16.15** მხ. ფილმი "ფორსაჟი" **17.40** მხ. ფილმი "მე დავდივარ მოსკოვში" **19.10** მხ. ფილმი "ფანტომასი" **22.00** მუსიკა **23.00** ღამის კურიერი **01.00** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი". მთ. რ-ში: ვივიენ ლი, კლარკ გეიბლი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბასკერვილების ოჯახი" **10.10** მხ. ფილმი "ლურჯი ფრინველი" **11.45, 21.35** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 23.55** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **15.15** მხ. ფილმი "გალია ბოცვერისათვის" **16.50** ერთი თეთრიც ფულია **17.00** სერიალი "ჩემი ყველაზე მშვენიერი არდადეგები" **17.25** "წლები გასულან"-თეატრი გვილოცავს **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.00** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.45** ეკონომიქსი **22.25** "ოქროს ფონდიდან"- "მეტეხის ჩრდილში" **22.55** "ახალი ახალი წელი" **00.05** მხ. ფილმი "მეექვსე ელემენტი"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "ჭლექიანი პარასკევი". მთ. რ-ში ჯეიმ ლი კერტისი, ლინდსი ლოხანი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "აღთქმული ცხოვრება" მთ.რ-ში იზაბელ იუპერი, პასკალ გრეგორი. **01.40** "ღამურა" "თანამგზავრები" მთ.რ-ში პატრიკ სუეიზი, მელანი გრიფიტი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მხ. ფილმი "ბანდიტები" **13.45** მხ. ფილმი "ნიანგი დანდი" **16.10** მხ. ფილმი "სანტა კლაუსი 2" **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" მე-4 ს. **19.00** სერიალი "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "ანგარიში გასწორებულია" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "პიანისტი".

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.35** კინოსეანსი "რეკორდი" **21.30** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **22.10** მხ. ფილმი "ჭრიჭინა"

### კავკასია

**12.00** მულტფილმი "ოთხი პერი" **14.30** მხ. ფილმი "ვარსკვლავური დესანტი" **16.30** მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ფლაბერი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მგლის საძმო" **23.30, 00.30** მუსიკა

### იბერია

**08.00** ანონსი, დიალოგი **10.30, 14.50, 17.20, 17.50, 21.55, 01.05** მუსიკა **11.00** დოკ. ფილმი **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** დოკ. ფილმი **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "თეთრი შობა" **17.30** მულტფილმი **18.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე ვიდეო **21.00** დოკ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ოლივერი"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 13.35, 15.40, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "მშვიდი ამერიკელი" **14.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **16.00** სერიალი "ზამთრის ალუბალი" **16.35** დოკ. სერიალი "ველური ვარსკვლავები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ზამთრის ალუბალი" **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ყვითელი კვადრატი" **23.00** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** ცხელი ცხრიანი **00.30** რუს. ფილმი "დარტანიანი და სამი მუშკეტერი" მე-2ს

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.00, 16.45, 17.20, 00.40** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** "უდაბნოს სამჭედლოები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.15** მხ. ფილმი "დოყლაპია ინსპექტორი" **15.15** მხ. ფილმი "ოსკარი" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.25** ქრონიკა **17.25** ერთხელ ჰოლივუდში **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **22.50** მხ. ფილმი "ავრორა: ოპერაცია-შეჩერება"

### არხი

**08.00, 14.00, 18.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.10, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** მუსიკა **09.40** სათავგადასავლო ფილმი "თავზეხელაღებულთა კუნძული" **11.40** მუსიკა **12.20** ფილმი-ფანტასტიკა "ვარსკვლავური ომები" ჯედაის დაბრუნება **14.35** მელოდრამა "გზაჯვარედინები" **16.20** მულტფილმი "შერლოკ ხოლმსის თავგადასავალი" **17.10** კომედია "არლეტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** დრამა "ფათერაკების მაძიებელნი" **21.50** მუსიკა **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "ექსკლუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მხატვრული ფილმი "ბრონქსის ისტორია" **02.55, 05.30** მუსიკა **03.40** ბოევიკი "წმინდანები ბუნდოკიდან" 16 იანვარი

### ОРТ

**07.00** Доброе утро! **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Худ.фильм "Железнодорожный романс", 1 с. 11.30, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.40** Мультсериал "Базз и его команда" **13.20 Сериал "Неудача Пуаро" 14.30** Спецназ **15.10** Город женщин **16.20** Угадай мелодию **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** Большая стирка **19.30** Док. детектив **21.00** Слабое звено **22.00, 00.30** Время **22.30 Худ.фильм "Железнодорожный романс", 2 с. 23.40** Человек и закон **00.50** Док.фильм "Ворота в рай" **01.40** Гении и злодеи **02.10** Идолы **02.40 Худ.фильм "Долг" 04.20 Худ.фильм "800 пуль"**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "Русские амазонки-2" 10.50** "Короткое замыкание". Ток-шоу **11.45, 14.45, 17.25, 00.20** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30, 00.00** Вести-Москва **12.50** Ток-шоу "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Неотложка" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Маросейка, 12" 19.05 Сериал "Навеки Джулия" 20.00 Сериал "Тайны следствия. Мягкая лапа смерти" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "Русские амазонки-2" 23.00 Сериал "Неотложка" 00.35 Худ.фильм "Малхолланд Драйв" 03.25** Дорожный патруль **03.40** Агентство одиноких сердец **04.05 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.55 Сериал "Таксистка" 11.00** Сегодня утром **11.25** Квартирный вопрос: в стиле "Домино" **12.15** ТТок-шоу "ССтраанаа советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.55** "Сегодня" **13.35 Худ.фильм "Испытательный срок" 15.30** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.25 Сериал "Она написала убийство" 19.30** Протокол **20.45 Сериал "Как в старом детективе". 4 с. 21.50 Сериал "Таксистка". 4 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.45** "К барьеру!" Ток-шоу **00.50 Худ.фильм "1941"**



# ყველაზე ლამაზი საბავშვო ოთახი

ავსტრალიაში მცხოვრები მსახიობის, რასელ კროუს ვაჟი, ჩარლზ სპენსერ კროუ, ამ ქვეყანას გასული წლის დეკემბერში მოევლინა. თავის მემკვიდრეს გამოჩენილი მამა ცივ ნიავს არ აკარებს და მართლაც მეფურ პირობებში ზრდის.

გაზეთი "სტარი" იუწყება, რომ კროუმ მის ლოგინში 70 ათასი ევრო გადაიხადა – მეცხრამეტე საუკუნის სკანდინავიური ავეჯი სწორედ ასეა შეფასებული.

მზრუნველ მამას საბავშვო ოთახი 210 ათასი ევრო დაუჯდა. მასში ყველაზე ძვირფასი ნივთი ხელოვნების ნიმუშია: ნახატი, რომელიც კედელს ამშვენებს, კროუმ 105 ათას ევროდ იყიდა.

"ჩემი ვაჟისთვის ყველაფერი საუკეთესო მინდა," - ამბობს კროუ. მისი პატარა მართლაც მთელს ავსტრალიაში ყველაზე ლამაზ ოთახში იზრდება.

# რუსი ფანები გულუხვი ხალხია



როგორც ჩანს, უიტნი ჰიუსტონს ყველაზე მეტი თაყვანისმცემელი რუსეთში ჰყავს. სააგენტო იტარ-ტასის ცნობით, მისი შოუსთვის, რომელიც 10 და 11 თებერვალსაა დაგეგმილი, ფანებმა 1300 დოლარი გადაიხადეს – ზოგიერთისთვის ეს თანხა 10 თვის ხელფასს აღემატება. ყველაზე იაფფასიანი ბილეთები 200 დოლარი ღირს.

ჰიუსტონი რუსეთში სამ კონცერტს ჩაატარებს – მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში. მისთვის ეს რუსეთში პირველი გამოსვლა იქნება. თავად მომღერლის ჰონორარი ერთ მილიონ დოლარზე მეტს შეადგენს.

# ორმხრივი სიძულვილი



ჯასტინ ტიმბერლეიკს დიდი ბრიტანეთი სძულს, და ეს ანტიპათია აშკარად ორმხრივია. ის, რომ ჯასტინმა ლონდონში ყოფნისას მშვენიერი სქესის წარმომადგენელ თაყვანისმცემლებთანაც კუშტად დაიჭირა თავი, მხოლოდ და მხოლოდ შიშით იყო განპირობებული.

მომღერლის შიში უმიზეზო არ ყოფილა. ლონდონის სოჰოში, "რექს კლუბის" შესასვლელში მას ერთ-ერთმა სტუმარმა, თითქოს სრულიად უმიზეზოდ, სახეში გაარტყა. ჯასტინმა კლუბი ვერც კი დატოვა, რადგან ისევ ცემის შეეშინდა.

"დიდი ბრიტანეთი გიჟების მხარეა. აქ ჩამოსვლა ძალიან მეჯავრება ხოლმე," განაცხადა ტიმბერლეიკმა.


**ფსიქოთერაპიული ცენტრი "არსი"**
**(ხელმძღვანელი პროფ. გივი მერაბიშვილი)**

კურნავს ფსიქიკურ აშლილობას. ახორციელებს მშობელთა კონსულტაცია-ტრენინგებს და ამზადებს სპეციალისტებს.

**ტელ: 93-11-05, 57-37-13.**



**განცხადება**

შპს "ფორტუნა 2003" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ მოგვმართოთ 10 დღის განმავლობაში მისამართზე: თბილისი, ლილოს დასახლება, კახეთის გზატკეცილი.

**ტელ: 94-25-74 დავით კვიტაიშვილი.**
**საქ. კანონი "მეწარმეთა" შესახებ 14.2**















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.